

ტარიელ ფუტკარაძე, მაია მიქაუტაძე

ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა

სახელმძღვანელო
უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის

თბილისი
2014

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტარიელ ფუტკარაძე, მაია მიქაუტაძე

ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა

სახელმძღვანელო
უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის

თბილისი
2014

Saint Andrew the First-Called Georgian University of Patriarchate of Georgia
Akaki Tsereteli State University

Tariel Putkaradze, Maia Mikautadze

Phonetics of the Georgian Literary Language

Course Book
for Undergraduate Students

Tbilisi
2014

ენისა და ეთნოსის ისტორიის კვლევა, სიტყვათა ისტორიისა თუ წარმომავლობის დადგენა, მართლწერა თუ მართლმეტყველება შეუძლებელია ფონეტიკის გააზრებული ცოდნის გარეშე; არადა, ბოლო პერიოდის ქართულ სინამდვილეში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზეც კი ნაკლები ყურადღება ექცევა ქართული ენის ფონეტიკის შესწავლას.

წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, ბაკალავრიატის სტუდენტებს შეასწავლოს ქართული ენის ფონეტიკის ზოგადი კურსი.

"ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა" შექმნილია აკად. გიორგი ახვლედიანისა და სხვა ენათმეცნიერთა (ს. ჟღენტი, გ. ნებიერიძე, თ. უთურგაიძე...) კვლევების გათვალისწინებით.

რეცენზენტები:

პროფ. მერაბ ბერიძე

პროფ. ეკა დადიანი

პროფ. ია ვაშაკიძე

გამომცემლობა "უნივერსალი"

© ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე

ISBN-99928-79-69-4

ფონეტიკის ძირითადი საკითხების შესწავლა შექმნის აკადემიურ საფუძველს, რომ:

- ჩავუდმავდეთ ენის ისტორიას (ენის ისტორია კი ერის ისტორიის მაგისტრალურ ხაზს წარმოაჩენს);
- ობიექტურად წარმოვიდგინოთ ცალკეული სიტყვების ისტორია და ეტიმოლოგია;
- გააზრებულად შევისწავლოთ მართლწერა და მართლმეტყველება;
- გავერკვეთ ანბანისა და ენის სამეტყველო ბგერების მიმართებაში;
- კვალიფიციურად დავაკვირდეთ ენაში მიმდინარე პროცესებს;
- არგუმენტირებულად ვიმსჯელოთ ენათა /და ხალხთა/ ნათესაობის შესახებ;
- გავერკვეთ ერთი ენის დიალექტებს შორის არსებული მეორეული სხვაობების არსში...

ტარიელ ფუტყარაძე

სარჩევი

შესავალი	9
0.1. ქართველთა ენობრივი სამყარო. ქართული სამწიგნობრო ენა - ქართველთა დედაენა, საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ენა, ქართველთა ერვნული კულტურის ენა.....	9
0.2. სასწავლო კურსის “ქართული ენა“ ძირითადი ნაწილები: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფია; ქართული საეკლესიო მწერლობის ენა, ქართველური დიალექტოლოგია... კურსის პირველი ნაწილით /“ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა“/ გათვალისწინებული ლექციების ციკლის მიზანი	24
I თავი. ქართული ენის სამეტყველო ბგერები	29
1.1. ბგერა. სამეტყველო ბგერა. ფონეტიკის საგანი	29
1.2. საწარმოთქმო ორგანოები.....	34
1.3. ბგერის წარმოთქმა. ბგერათა ზოგადი დახასიათება: თანხმოვანი /სონორი, ჩქამიერი/, ხმოვანი, სონანტი	43
1.4. ქართული ენის ხმოვანთა სამი რიგი და სამგვარი აწეულობა; ხმოვანთა სამკუთხედი; ლაბიალური ხმოვნები	49
1.5. თანხმოვანთა დახასიათება.....	57
1.6. ქართულ ენის ჩქამიერ თანხმოვანთა დახასიათება ლოკალური რიგის მიხედვით. ჰომორგანული და ჰეტერორგანული ბგერები	60
1.7. ქართული ენის ჩქამიერ თანხმოვანთა დახასიათება ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედ-ვით. აფრიკატების საკითხი ..	65
1.8. ქართული ენის ჩქამიერ თანხმოვანთა დახასიათება მჟღერობა-სიყრუისა და ფშვინვიერობა-მკვეთრობის მიხედვით	70
1.9. ქართული ენის სონორ თანხმოვანთა დახასიათება	73

1.10. სამეულები, წყვილეულები, ცალეულები. დისკუსია ყ ბგერის შესახებ. თანხმომავანთა პარადიგმატული ცხრილი.....	77
1.11. ქართულენოვან ტექსტში სამეტყველო ბგერათა გამოვლენის სიხშირე	81
II თავი. ბგერათკომპლექსი. მარცვალი. მახვილი.....	83
2.1. ბგერათმომდევრობის სახეები	83
2.2. ბგერათშეერთების I წესი. გრძელი ხმოვნების საკითხი ქართულ ენაში	87
2.3. ბგერათშეერთების II წესი. დიფთონგების საკითხი ქართულში	89
2.4. ბგერათშეერთების III წესი. ჰარმონიული კომპლექსების საკითხი ქართულ ენაში	94
2.5. მარცვლის რაობა. მარცვლის სახეები	99
2.6. მარცვალთგასაყარი. დამარცვლის წესები	105
2.7. მახვილი და ინტონაცია.....	110
III თავი. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.	
მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხები.....	122
3.1. სამეტყველო ბგერათა სინტაგმატური მიმართებები	122
3.2. ასიმილაცია	130
3.3. დისიმილაცია	136
3.4. მეტათეზისი.....	139
3.5. ბგერათმონაცვლეობა და ბგერითი ანალოგია	140
3.6. ბგერის ჩართვა და დაკარგვა	146
3.7. კუმშვა და კვეცა. ფონეტიკურ პროცესებთან.....	152
დაკავშირებული მართლწერის საკითხები.....	152
3.8. ორთოეპია	162
3.9. ფონეტიკური ცვლილებებით გამოწვეული ომონიმია..	165
3.10. ფონეტიკური ვარიანტები და ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა.....	167
გამოყენებული ლიტერატურა.....	173
დანართი	177
1. ქართული ასოთნიშნების სატრანსლიტერაციო სქემა.....	178
2. თანხმომავანთა პარადიგმატული ცხრილები (გ. ახვლედიანი, ჰ. ფოგტი, რ. რობინსი და ნ. ვატერსონი)	179

3. ბგერათა ვიზუალური გამოსახულებები - სპექტროგრამები /მასალა მომზადებულია პროფ. ივანე ლეჟავას მიერ/:	182
4. პრაქტიკული სამუშაოების ნიმუშები.....	188
4.1. სამეტყველო ბგერათა დახასიათება	188
4.2. რამდენიმე ქართული დასახლებული პუნქტი (ცხინვალი, შავშეთი, სოჭი, ცხუმარი, ცხენისწყალი) და ქართული გვარსახელი (დავით აღმაშენებელი) საერთაშორისო ტრანსკრიფციითა და ინგლისური ენის ანბანით:	191
4.3. დიალექტურ ტექსტში შემავალი ფონეტიკურად სახეცვლილი სიტყვების დახასიათება განხორციელებული ფონეტიკური პროცესის მიხედვით.....	191

დედაენა პიროვნების სახეა
დედაენა პიროვნების სახეა

სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია
სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია

ენა და ერი ურთიერთგანმსაზღვრელი მოვლენებია: ხალხი
ქმნის ენას და ენა ქმნის ერს. ცნებებია

ენა და ერი ურთიერთგანმსაზღვრელი მოვლენებია: ხალხი
ქმნის ენას და ენა ქმნის ერს.

შესავალი

0.1. ქართველთა ენობრივი სამყარო. ქართული სამწიგნობრო ენა - ქართველთა დედაენა, საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ენა, ქართველთა ერვნული კულტურის ენა

დედამიწის მოსახლეობის ენათა რაოდენობა ზუსტად არ არის დადგენილი; თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა მერყეობს 4 000-დან 7000-მდე. დაახლოებით სამი ათასი ენობრივი ერთეულის სტატუსი სპეციალისტების მიერ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. ასეთ დიდ სხვაობას იწვევს არა ენობრივ ერთეულთა რიცხვის დაუდგენლობა, არამედ მათი სტატუსის სხვადასხვაგვარი განსაზღვრა (მოცემული ლინგვისტური მონაცემი ენაა, დიალექტი თუ კილოკავი?). სანდო კრიტერიუმების არარსებობის გამო რთულია ენისა და კილოს გამიჯვნა, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა; განსაკუთრებით რთულია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა. ვფიქრობთ, ლოგიკურია, უმწერლობო ენად ჩაითვალოს იმ ხალხის ენა, რომელსაც დედაენაზე სამწიგნობრო კულტურა არა აქვს, ხოლო დიალექტია მოცემული ეთნოსის ნაწილის მეტყველება, რომელიც ენათესავება ამ ეთნოსის ენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა აქვს ეთნოსს/ერს, დიალექტი კი - ეთნოსის/ერის ნაწილს; შდრ. მონათესავე ენობრივი ერთეულების ერთი ენის ვარიანტებად თუ სხვადასხვა ენებად ჩათვლა უმუალოდ უკავშირდება მოცემული საზოგადოების (საზოგადოებების)

მიჩნევას ერთი ისტორიული კულტურის მქონე ეთნოსად (ერად თუ ნაციად).

არაიშვიათად, ენის სტატუსი განისაზღვრება რელიგიური ან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიდგომის მიხედვითაც, ზოგჯერ კი აგრესორი ქვეყნების მესვეურნი თვითმიზნურ ენობრივ პოლიტიკას იდეოლოგიურ იარაღად იყენებენ: დასაპყრობი ტერიტორიის მცხოვრებთა ერთიანი ეროვნული ცნობიერების დასაშლელად მათ დიალექტებს აცხადებენ ენებად, შემდეგ კი ამ დიალექტების მიხედვით უქმნიან ისტორიულისგან განსხვავებულ ანბანს და უბიძგებენ კულტურულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნისკენ.

მსოფლიოს ხალხებისა და ენა-კილოების მიმართებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მონათესავე ენობრივი ვარიანტების იერარქია თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებით; კერძოდ, აქტუალურია სქემა: ერი — მისი სამწიგნობრო ენა — ამ ერის ცალკეულ თემთა (ტერიტორიულ თუ სოციალურ ჯგუფთა) საშინაო მეტყველებანი.

ქართველთა ენობრივი ისტორია ასე გამოიყურება: ქართველური ენა-კილოები კავკასიური და წინა აზიის თუ ევროპის ძველი ენების (შუმერული, ხეთური, ურარტული... აგრეთვე, ეტრუსკული, პელაზგური, ბასკური...) მონათესავე ჩანს. ცალკე ენობრივი ერთეულის სახით უნდა არსებულიყო იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენა, რომლის არსებობის დრო ქრონოლოგიურად შეიძლება დაუკავშირდეს მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის არსებობის პერიოდს; ვფიქრობთ, რომ იბერიულ-კავკასიურისგან მომდინარე საერთოქართველური ენის დასაბამი და გავრცელების არეალი თანხვედრა დიდ კოლხურ ცივილიზაციას, კერძოდ, თანამედროვე სამეცნიერო კვლევების მიხედვით, ივარაუდება, რომ საერთოქართველური ენა საერთოკავკასიური ენიდან გამოცალკეებულა დაახლოებით 3500 წლის წინ; წინარექართველური ტომების

მეტყველების ბაზაზე საერთოქართველური ენის ფორმირება ემთხვევა კოლხური (ქართველური) ცივილიზაციის ჩამოყალიბების პროცესს. საერთოქართველური ენის მემკვიდრეა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის (საეკლესიო) ენა, რომლის უშუალო გაგრძელებაა თანამედროვე სამწიგნობრო ქართული ენა; არქაული ქართულის მეტ-ნაკლებად შეცვლილ განშტოებებს კი წარმოადგენს ქართველური დიალექტური ჯგუფები: ცენტრალური კილოები, სვანური კილოები, ზანური (მეგრულ-ლაზური) კილოები, მესხური კილოები, ფხოური კილოები, რაჭული კილოები, ჰერული კილოები.

საქართველოს სახელმწიფო ენა - კავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილის სამწიგნობრო ენა - უწყვეტად არსებობს ბოლო 16 საუკუნის განმავლობაში.

ტრადიციულად, სამწიგნობრო კულტურისა და ეთნიკურ-კულტურული ისტორიის გათვალისწინებით, მიიჩნეოდა, რომ ქართველებს ერთი სამშობლო ენა და მრავალი შინაური (“თემური“) კილო გვაქვს. მართლაც, ქართველი ერი - საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველობა (მეგრელები, ლაზები, სვანები, კახელები, მესხები, ჰერები, იმერლები, ჯავახები, თუშები, აჭარლები, რაჭველები, ტაოელები, ქართლები...) ქმნის სამწიგნობრო კულტურას; შესაბამისად, იგი ყველა ქართველის დედაენაა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის ჟამსაც კი წირვა-ლოცვა ქართველთა მთელ ტერიტორიაზე ქართული სამწიგნობრო ენით აღესრულებოდა (სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა: ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, იოვანე მინჩხის, X საუკუნეში მოღვაწე ჰიმნოგრაფისა და მთარგმნელის, სტეფანე

სანანოს ძე ჭყონდიდლისა და XVII საუკუნეში მოღვაწე ანტონ ჭყონდიდლის ქმნილებების ენა).

ქართველთა ერთიანი ენობრივ-ეთნიკური ცნობიერების წარმოსაჩენად განსაკუთრებით საინტერესოა “ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც 1790 წელს მოაწერეს ხელი ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა. ისტორიულ დოკუმენტში მკაფიოდაა ნათქვამი:

“ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (= ურთიერთვალდებულებითი) სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“.

ისტორიული ტრადიციის თვალსაზრისით, საყურადღებო ფაქტია ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეში (მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთშიც) ლაპიდარული და ეპიგრაფიკული ძეგლების, აგრეთვე, პირადი მიმოწერის ენა ყოველთვის იყო ქართული სალიტერატურო ენა.

ძველი დროიდანვე ქართველთა დიალექტებით უწყვეტად მდიდრდებოდა სალიტერატურო ენა; კერძოდ, მეგრული, სვანური, მესხური, ფხოური, ქართლური თუ იმერხეული თვისობრივად ერთნაირად იყო მასაზრდოებელი ხანმეტი ტექსტების, “ვეფხისტყაოსნის” თუ პეტრიწის შრომების ენისთვის. საინტერესოა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი: ძველი ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით.

კავკასიაში რუსეთის იმპერიის გავლენის გაძლიერების შემდეგ ცარიზმის მოხელეები შეეცადნენ, ქართველთა ნაწილისთვის გაეუცხოებინათ წინაპართა მიერ შექმნილი წერილობითი კულტურა და საშინაო კილოები უმწერლობო

ენებად გამოუცხადეს, რითაც მათ (ი. ვოსტორგოვმა, ქ. პატკანიანმა...) ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის თითქოსდა უწყინარი თემის მძაფრი პოლიტიზება მოახდინეს; რუსეთის იმპერიის მიზანი იყო, "ენობრივად" "სხვადასხვა" ქართველობა ცალკეულ ეთნოსებად წარმოედგინა და ამგვარად დაცალკევებული ქართველი ერის ისტორიული მიწა-წყალი იოლად დაეპყრო (დღეს იმავეს მიღწევას ცდილობს ის, ვინც აპირებს, ქართველური დიალექტური მასალის საფუძველზე, სამ- ან ოთხენოვანი ტექსტების კორპუსი შექმნას).

დიდი ილიას მეთაურობით, საქართველოში საპასუხო ანტიიმპერიული მოძრაობა დაიწყო: ქართველმა საეკლესიო და საერო მოღვაწეებმა ქართული ენა ეროვნების ბურჯად გამოაცხადეს და "დაუშრეტელი ზრუნვის საგნად აქციეს" (ბ. ჯორბენაძე, 1987, გვ. 17). განსაკუთრებით აღსანიშნავია "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრთა და სხვა სასულიერო თუ საერო პირთა ღვაწლი (მათი ნაწილი - წმინდა ილია მართალი, წმინდა მღვდელმოწამე კირიონი... საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა; შდრ. ქართველ მოღვაწეთა დაუძინებელი მტერი - მღვდელი ი. ვოსტორგოვი - რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა 2000 წელს).

XX საუკუნეშიც ბევრმა ქართველმა დაიცვა თავისი ეროვნული ენის ღირსება და არგუმენტირებულად უკუაგდო ქართველთა დამაქუცმაცებელი ენობრივი "თეორია". დავასახელებთ ბოლო ორი საუკუნის სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა ერთ ნაწილს: წმინდა ამბროსი ხელაია, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე ჭარაია, მოსე ჯანაშვილი, პეტრე მირიანაშვილი, წმინდა ალექსი შუშანია, ლუარსაბ ლოლუა, სოსიკო მერკვილაძე, ვალერიან გუნია, პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, სილოვან ხუნდაძე, ივანე

ჯავახიშვილი, თედო სახოკია, თედო ჟორდანია, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, ოთარ გიგინეიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, ერეკლე საღლიანი, იაშა თანდილავა და სხვ.

ცარიზმის დროს ვერა, მაგრამ საბჭოთა იმპერიაში აშკარად გაბატონდა ქართველური “ენების” თეორია; საბჭოთა პერიოდის ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ი. სტალინის მიერ “ერთადერთად” აღიარებული თვალსაზრისისათვის, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1913 წელს წიგნში: “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი” (გამოიცა ვენაში ვ. ლენინის აქტიურობით. წიგნი ასევე გამოიცა 1920, 1934 და 1951 წლებში). დავიმოწმებთ ერთ ციტატას 1951 წლის თბილისის გამოცემის მიხედვით:

“კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტათ თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა. მაგრამ კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?” (გვ. 138-139)... “ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები...) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

რეპრესიული რეჟიმის პირობებში ენათმეცნიერთაგან წინააღმდეგობის გაწევა ან განსხვავებული თვალსაზრისის მტკიცება თვითმკვლევლობის ტოლფასი იყო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოური ტრადიციის გავლენით, ზოგმა მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი - ლაზეთ-სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობა - უმწიგნობრო ტომებად, მათი დიალექტები კი უმწერლობო ენებად გამოაცხადა; ამგვარ უმართებულო დასკვნას დიდი პოლემიკა უძლოდა წინ; მაგ., სილოვან ხუნდაძე და ივანე ჯავახიშვილი იცავდნენ ტრადიციულ თვალსაზრისს და აცხადებდნენ, რომ ქართველებს მხოლოდ ერთი დედაენა გვაქვს, რომლის დიალექტებია მეგრულ-ლაზებისა და სვანების კუთხური მეტყველებები.

საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული კლასიფიკაციის გავლენით, თანამედროვე უცხოურ ენციკლოპედიებშიც ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია სამ/ოთხ ენად; კერძოდ, “სვანურ ენაში“ აერთიანებენ სვანეთის ქართველთა 4/5 დიალექტს: ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლენტეხურს, ლაშხურსა და ჩოლურულს (ზოგჯერ), მაგრამ აზრთა სხვადასხვაობაა მეგრულ-ლაზურის კვალიფიკაციისას: მკვლევართა ნაწილი (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...) მეგრულსა და ჭანურს “ზანური ენის“ დიალექტებად მიიჩნევს, ნაწილს კი (თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია...) ლაზურიცა და მეგრულიც დამოუკიდებელ ენებად მიაჩნია.

საბჭოთა იმპერიის პერიოდშივე ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას შეეწინააღმდეგა როგორც სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობა, ასევე, მოწინავე ქართული ინტელიგენცია; განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამ კუთხეებიდან გამოსული ცნობილი მოღვაწეები. დიდმა

მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ კი ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის საფუძველზე დღესაც აქტუალური თეორიული მოძღვრება ჩამოაყალიბა:

“ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...” (კონსტანტინე გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, 1983, ტ. VII, გვ. 411).

შდრ., აგრეთვე:

“XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (კონსტანტინე გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ. VII, გვ. 499).

რატომ მიაჩნდათ დიდ ქართველ მოღვაწეებს მეგრული, სვანური, ლაზური... ქართული ენის კილოებად? პასუხი ერთია: ორი დედაენა არ არსებობს; ყველა ქართველის ისტორიული დედაენა ქართულია.

სამწიგნობრო ქართულსა და ამჟამინდელ ქართველურ კილოებს შორის სხვაობა მატულობს დედაქალაქთან (სასულიერო-კულტურულ და მმართველობით ცენტრთან) კილოს დაშორების პროპორციულად. სამწიგნობრო ქართულის გავლენის კლების შესაბამისად, ქართველთა თანამედროვე საშინაოსამეტყველო ერთეულები უნდა დაიყოს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტებად; თავის მხრივ, განაპირა დიალექტებს ექვს ქვეჯგუფად წარმოვადგენთ:

ცენტრალური კილოები: კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

განაპირა კილოები: მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჯავახური;
ჰერული კილოები: კაკური, ალიაბათური;
ფხოური კილოები: ჩალმათუშური, ფშაური, ხევსურული, მოხევური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე, “ასოცირებულ“ დიალექტად შეიძლება განვიხილოთ წოვათუშურიც, რომელიც შეიცავს როგორც ჩეჩნურ-ინგუშურის, ასევე, ქართულის მსგავს ფენებს;
რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული;
სვანური კილოები: ბალსქვემოური, ბალსზემოური, ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული;
ზანური კილოები: მეგრული, ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები: ფერეიდნული, “ჩვენებურების ქართული“ (ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება) და ყიზლარ-მოზდოკურ-პლასტუნკური ქართული.

ქართველთა სამწიგნობრო კულტურა თვისობრივად ერთგვარად იქმნებოდა საქართველოს ყველა კუთხეში; შდრ., მაგ., ქართული სამწიგნობრო ენის უძველესი კერები იყო: ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთ-ეგრისის, ლაზეთ-ჭანეთის, სვანეთ-თაკვერის, ქართლ-კახეთის, გურია-აჭარის, მთიულეთ-ხევის, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთის, ჰერეთის სასულიერო ცენტრები.

ეკლესია-მონასტრებში ჩამომერწილ ქართულ სამწიგნობრო ენას არსებითი ცვლილება დღემდე არ განუცდია - იგი დღესაც გასაგებია; ამჟამადაც საქართველოს ეკლესიებში, როგორც წესი, წირვა-ლოცვა აღესრულება საუკუნეების წინ შემუშავებული ენობრივი ნორმების

დაცვით. ამ საინტერესო ფაქტს ახსნა აქვს: სამწიგნობრო ქართულის ისტორიის მანძილზე განცდილი გარკვეული ცვლილებები ევოლუციური ხასიათისაა და არა - რადიკალური; შდრ. სამწიგნობრო ენის არსებით მეტამორფოზას იწვევს რადიკალური ენობრივი რეფორმა ან საბაზო ენობრივი ერთეულის (კონინეს, დიალექტის) შეცვლა, როგორც ეს მოხდა ბერძნულის, სომხურისა და სხვა შემთხვევებში. აღსანიშნავია ისიც, რომ დროთა განმავლობაში ყოველ ენაში ჩნდება ახალი ლექსიკა და გრამატიკული ნორმების დახვეწის აუცილებლობა, მაგრამ დიდი ტრადიციების მქონე ენა მაინც ინარჩუნებს საკუთარ კალაპოტს.

ქართული ენის ისტორიული გზისა და პერსპექტივის შესახებ საინტერესოა ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი:

“ჩვენი ენის სათავეა ძველი კლასიკური ქართული ლიტერატურული ენა... მწერალი უნდა იბრძოდეს საერთოეროვნული ენის ინტერესებისთვის, რომელიც აერთიანებს ენობრივ განშტოებებს, დიალექტების სახელით რომ ვიცნობთ... ახალი ქართული მწერლობის ვალია, საერთოეროვნულ ენაში დაამკვიდროს ჩვენი ენის არქაული ფორმები, თანამედროვე ქართველების დიალექტებში არსებული გაურყვნელი ფორმები“...

საუკუნეების მანძილზე ქართველობა არა მხოლოდ ქმნიდა სამწიგნობრო ენას, არამედ მისი თაობები იწრთობოდა კიდევ ამ სამწიგნობრო ენის კულტურულ ველში, შესაბამისად, ქართველთა კულტურულ-ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცნობიერებას საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა ერთიანი და ტრადიციული წერილობითი კულტურა.

სამწიგნობრო ენის შექმნისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით საქართველოში უნიკალური ვითარება გვაქვს:

ა. ბერძნული, გერმანული, ესპანური, ფრანგული თუ სხვა სალიტერატურო ენებისგან განსხვავებით, ქართველთა სამწიგნობრო ენა არ ეფუძნება რომელიმე ცნობილ დიალექტს; შდრ. ესპანური, კატალონიური, პროვანსული (ანუ ოქსიტანური) ლათინურისგან მომდინარე ერთგვაროვანი მოძმე ენა-კილოებია, რომლებზეც სხვადასხვა დროს შეიქმნა დამწერლობა; მათგან ზოგი გამოცხადდა სახელმწიფო ენად, ზოგი - არა; შესაბამისად, მათ შორის დღემდე გრძელდება მეტოქეობა იმის მიუხედავად, რომ ზოგ მათგანს ენის სტატუსი აქვს მინიჭებული, ზოგს - დიალექტისა (მაგ., დღემდე საკამათოა, კატალონიური და პროვანსული ერთი ენის კილოებია თუ ორი დამოუკიდებელი ენაა). სულ სხვაგვარია ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია:

თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენა უშუალო მემკვიდრეა არქაული საეკლესიო ენისა; ის, თავის მხრივ, ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს, რომლის სახესხვაობებია ქართველური (ქართლური, ლაზურ-მეგრული, მესხური თუ სვანური...) კუთხური ზეპირი მეტყველებები (დიალექტები).

ქართული სამწიგნობრო ენა და ქართველური დიალექტები მრავალი საუკუნეა თანაარსებობენ (შდრ. არაბულენოვანი სამყაროს ერთენოვანი დიგლოსია): ქართველური დიალექტური ნაკადულებით საზრდოობს ქართველთა ეროვნული სამწიგნობრო ენა.

ბ. ქართული სამწიგნობრო ენა ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც, სულ მცირე, 16 საუკუნეა უწყვეტად ფუნქციონირებს, როგორც სახელმწიფო, საეკლესიო და სალიტერატურო ენა და რომლის ფონემათა წარმოთქმა არსებითად არ შეცვლილა.

ქართული სამწიგნობრო ენა (/ქართველური სამწიგნობრო ენა) - ქართული კულტურის, ცნობიერების ჩამომდერწავი ფენომენი და ქართველთა მეობის განმსაზღვრელი მრავალსაუკუნოვანი ფაქტორია.

ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან - ქუჯ-ფარნავაზის დროიდან ო მოყოლებული დღემდე; გარდა ამისა, ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ენაა. საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურება დღემდე სრულდება ქართული სამწიგნობრო ენის არქაული სახესხვაობით.

საუკუნეთა განმავლობაში გარეშე მტრების მიერ ქართველთა განაპირა მხარეებში განხორციელებული გენოციდისა და ამ ტერიტორიების ანექსიის გამო, დღეს არსებითადაა შეზღუდული ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, გავრცელების არეალი.

როგორც წესი, სახელმწიფო ენის სტატუსსა და მოქმედების არეს განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია (აგრეთვე — სხვა კანონები). ნორმალურ სახელმწიფოში სახელმწიფო ენა ამ ქვეყნის მოქალაქეებს კრავს ერთიან საზოგადოებად, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, გარკვეულწილად განსაზღვრავს მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ცნობიერებასა და პატრიოტულ

სულისკვეთებას. იგი სახელმწიფოს ერთიანობისა და ძლიერების საფუძველია. სამწუხაროდ, ამ კუთხით ბევრი სამუშაოა გასაწევი პოსტსაბჭოთა (პოსტიმპერიულ) საქართველოში, სადაც, ჯერჯერობით, მოსახლეობის მაკონსოლიდირებელ ფუნქციას ნამდვილად ვერ ასრულებს ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა.

შდრ.: საქართველოს ისტორიაში ცნობილია ერთიანი სახელმწიფოს იდეის აღორძინების ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი და ორსავე შემთხვევაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, როლი წამოიწია შინა პლანზე; ერთია ქუჯ-ფარნავაზის მოღვაწეობის პერიოდი:

“არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა“ ...

მეორეა გრიგოლ ხანძთელის ეპოქა, როცა ითქვა: “ქართლად ფრიადი ქუეყანა“ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა“ ყოველი აღესრულების“.

მოცემული საზოგადოების მიერ თავისი დედაენისა თუ სამწიგნობრო ენის ფლობა და ამ ენის მიხედვით თვითაღქმა უშუალოდაა დამოკიდებული აკადემიური განათლების ხარისხზე. მაგ., მრავალწახნაგოვანი ისტორიული კატაკლიზმების გამო, ამჟამინდელ ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ფაქტორებზე; კერძოდ:

ლაზთა ერთი ნაწილი (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, ამ მოსახლეობამ იცის, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ-მეგრული წარმოშობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები: იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუშისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა.

ლაზთა მეორე ნაწილი აღიზარდა თურქეთის სახელმწიფოში. მას დავიწყებული აქვს თავისი კილო და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევს.

თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე ლაზთა მესამე ნაწილისათვის უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან. მათ იციან, რომ ლაზები და მეგრელები ერთი “ხალხია“, მაგრამ იდენტიფიცირებას ვერ ახდენენ ქართველ ერთან, რამდენადაც არ იციან, რომ ქართველი ერის ნაწილია და, სხვა ქართველებთან ერთად ქართული კულტურის შემოქმედია ტრაპიზონიდან ძველ ლაზიკამდე (ანაკოფიამდე) მცხოვრები მეგრელი, რომელსაც უცხოურად ლაზი ჰქვია. ამჟამინდელი თურქეთის მოქალაქე ლაზთა ეს ჯგუფი დღეს ემიჯნება ზოგადქართულ კულტურას და საკუთარი კუთხური მეტყველების ბაზაზე ცდილობს, ახლა შექმნას

სამწიგნობრო ენა და “გადაარჩინოს“ “ეთნიკური“ თავისთავადობა; სწორედ ამ დროს კი კარგავს თავის ისტორიულ ეთნიკურ და ეროვნულ მეობას.

საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების გარეთ მცხოვრებ ქართველებს ხშირად არა აქვთ ინფორმაცია საკუთარი ისტორიის/კულტურის შესახებ. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ძნელი არაა სამეცნიერო ცოდნის განსაზოგადოებრიობა; ჩვენს შემთხვევაში საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში უნდა შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს, იცოდეს:

ა. კოლხური (კოლხურ-ყოზანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ კოლხური სახელმწიფო იგივე ქართლის სახელმწიფოა, რომელიც ოცზე მეტ ქართველურ თემს აერთიანებდა და თავისი არსით ზოგადქართული ხასიათისაა;

ბ. ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთო ქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართლურს, კახურს ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი; ზოგადად, მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის ავტორი ისევეა ლაზი (ანუ მეგრელი), როგორც მესხი, კახელი თუ სვანი...

გ. ქართულენოვანი სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-მეგრულ-სვანური წარმოშობის დიდგვაროვნები (ქუჯი, ბაგრატიონები, ჭყონდიდლები, მარუშიანი და სხვა);

დ. ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი

უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს - თამარს; ქართველთა საერთო ისტორიის ამსახველი ეს მასალა ი. ყიფშიძის მიერ ერთი საუკუნის წინაა ჩაწერილი.

ამ და სხვა ანალოგიური ფაქტების ცოდნა ობიექტურ ველს შექმნის ლაზთა ეთნიკური თვითაღქმისათვის.

არა მხოლოდ ლაზებს, არამედ ადამიანთა ყოველ ერთობას აქვს უფლება, იცოდეს თავისი წარმომავლობა და წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის რეალური ისტორია.

0.2. სასწავლო კურსის “ქართული ენა“ ძირითადი ნაწილები:

ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფია; ქართული საეკლესიო მწერლობის ენა, ქართველური დიალექტოლოგია... კურსის პირველი ნაწილით /“ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა“/ გათვალისწინებული ლექციების ციკლის მიზანი

ენა ნიშანთა მოწესრიგებული სისტემაა, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით აღიწერება ენათმეცნიერული ტერმინოლოგიითა და დებულებებით; კერძოდ, ენის ბგერით სახეს ასახავს ფონეტიკა (ფონოლოგია), სიტყვათა აგებულებას - მორფოლოგია, სიტყვაწარმოებასა და სიტყვათა შინაარსს (სემანტიკას) - ლექსიკოლოგია (რომლის ნაწილადაც შეიძლება განვიხილოთ ეტიმოლოგია, სემასიოლოგია...), ლექსიკონების აგების პრინციპებსა და ლექსიკონების სახეებს - ლექსიკოგრაფია, სიტყვათა კავშირებისა და წინადადების სახესხვაობებს - სინტაქსი, ტექსტს - ტექსტის ლიგვისტიკა.

ენათმეცნიერების თითოეულ ამ დარგში შედის მართლწერისა და მართლმეტყველების წესებიც, რომლებიც შეიძლება ცალკე საგანში - სტილისტიკაშიც - იქნას განხილული; სტილისტიკა არის ფილოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ენობრივი გამოხატვის ფაქტებსა და მათი სწორად შერჩევა-გამოყენების ხერხებს. ენათმეცნიერების ცალკე დარგებად განიხილება, ასევე: დიალექტოლოგია, ტერმინოლოგია, კორპუსის ლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა...

ენა არის არსი, ხოლო ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, ტექსტის ლინგვისტიკა... ამ არსის გადმოცემის მცდელობა ლინგვისტების მიერ¹. მოცემული კონკრეტული ენისთვის რაც უფრო ლოგიკური და ზუსტია ლინგვისტთა მიერ ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სემანტიკური აღწერილობა, მით უფრო საინტერესო და იოლი შესასწავლია ამ ენის ბგერითი სტრუქტურა, მორფემული აგებულება, სიტყვათა კავშირების თავისებურებანი თუ ენობრივი სემანტიკა.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო მოდული “ქართული ენა“ მოიცავს ენათმეცნიერების ყველა ძირითად დარგს; კერძოდ: ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკოლოგიას, ლექსიკოგრაფიას, დიალექტოლოგიას; ასევე, კურსით გათვალისწინებულია ქართული საეკლესიო მწერლობის ენის თავისებურებების შესწავლა². ქვემოთ

¹ სხვაგვარი შედარებაც შეიძლება მოვიყვანოთ: ენა არის სხელი, გრამატიკა კი - სხელს მორგებული სამოსი.

² უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის - საგანმანათლებლო პროგრამითაა დაგეგმილი: სტილისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა (რომელიც შეისწავლის ტექსტის სტრუქტურულ და ფუნქციურ მახასიათებლებს), კორპუსის ლინგვისტიკა (რომელშიც განიხილება ლინგვისტური კორპუსების

შედარებით ვრცლად მიმოვიხილავთ ფონეტიკის მიზანს, სხვებს კი მოკლედ შევეხებით.

ფონეტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანის სამეტყველო ბგერათა წარმოთქმის, გაგონების, აღქმის თავისებურებებს და ადგენს მათ არსებით ნიშნებს; აგრეთვე: შეისწავლის ბგერათა ცვალების კანონზომიერებებს მეტყველების პროცესში და სამეტყველო ბგერის სოციალურ ღირებულებას ენობრივი ნიშნის ფარგლებში. ფონეტიკასთან მჭიდრო კავშირშია გრაფიკა - მოძღვრება სამეტყველო ბგერათა ასოებით გრაფიკული გამოხატვის შესახებ.

მორფოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვათა ჯგუფებს (მეტყველების ნაწილებს), სიტყვათა აგებულებასა და სიტყვაფორმის ისეთ ცვალებას, რომელსაც უკავშირდება სემანტიკური (და არა - ლექსიკური) ცვლილებაც. ქართული ენის სახელის ფორმაწარმოება ხდება ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებით, ხოლო ზმნისა - ზმნისწინით, ხმოვანი პრეფიქსებით, მწკრივის, პირის, რიცხვისა და კაუზატივის ნიშნებით; სიტყვას სემანტიკურ ნიუანსს უცვლის, ასევე, დამხმარე სიტყვა (თანდებული, ნაწილაკი), შესაბამისად, ქართული ენის მორფოლოგია შეისწავლის გრამატიკული ფუნქციების მქონე (ფორმაწარმოებელ) აფიქსებსა და დამხმარე სიტყვებს, სახელის ბრუნებასა და ზმნის უღლებას; გარდა ამისა, მორფოლოგია შეისწავლის ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის ფორმების წარმოებას.

ტიპები, მონიშვნა, ანოტირება, "კოლოკაცია", "კოლიგაცია", სიხშირე, კორპუსის აგებისათვის საჭირო პროგრამული ხელსაწყოები, ელექტრონული კორპუსების საერთაშორისო სტანდარტები და სხვ.), ტერმინოლოგიის ძირითადი პრობლემები და სხვ.

სინტაქსი არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვათა წყვილებს, სიტყვათა შეკავშირების წესებს, სიტყვათა დამაკავშირებელ ელემენტებს, წინადადების სახეებსა და წინადადების წევრთა ფუნქციებს.

მორფოლოგია და სინტაქსი ერთიანდება გრამატიკაში; გრამატიკა არის მეცნიერება ენის აგებულების შესახებ; იგი სწავლობს ენაში არსებულ სიტყვებს, სიტყვათა ცვლილებებს, სიტყვათა შეკავშირების წესებსა და წინადადებას. “გრამატიკა“ ბერძნული სიტყვაა; მომდინარეობს ბერძნული “გრამმა“ ფორმიდან, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: “წერილობით ნიშანს“, “ასოს“; ძველად გრამატიკა მიიჩნეოდა ხელოვნების დარგად, რომლის მიზანი იყო სწორი ზეპირი და წერილობითი მეტყველების სწავლება.

ლექსიკოლოგია (ფართო გაგებით) არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ახალი სიტყვების წარმოქმნას, ენის ლექსიკურ მარაგს, სიტყვის მნიშვნელობის ცვლილების კანონზომიერებებსა და სიტყვათა ისტორია-ეტიმოლოგიას; ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობის ცვლილების კანონზომიერებების შემსწავლელ დარგს ცალკე გამოყოფენ და სემასიოლოგიას უწოდებენ, ხოლო სიტყვათა წარმომავლობის შემსწავლელ მეცნიერებას - ეტიმოლოგიას.

ლექსიკოგრაფია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ლექსიკონთა ტიპებსა და ლექსიკონის აგების პრინციპებს.

დიალექტოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ეროვნული ენის ზეპირ (არასტანდარტულ) სახესხვაობებს - დიალექტებს; შდრ. სამწიგნობრო ენა არის ეროვნული ენის სტანდარტული, ნორმირებული სახესხვაობა. საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი ქართველური დიალექტოლოგიის ზოგადი კურსის მიზანია, სტუდენტს შეასწავლოს ქართველური

დიალექტების განფენის სივრცე ხეობებისა და თანამედროვე დარაიონების მიხედვით; ასევე, კილოთა ზოგადი ენობრივი მახასიათებლები.

ქართული ენის მოდულის ერთ-ერთი ძირითადი კურსია ქართული საეკლესიო მწერლობის ენა, რომლის მიზანია სტუდენტებისათვის საეკლესიო (სასულიერო) ხასიათის ქართულენოვანი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ქმნილებებისა და ქართულად ნათარგმნი ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების, ასევე, სხვა სახის ქრისტიანული ლიტერატურის თარგმანების ენობრივი თავისებურებების (სტილის) სწავლება.

სასწავლო კურსის პირველი ნაწილი: ქართული ენის ფონეტიკა მოიცავს შესავალი ლექციების ციკლსა და ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკის ძირითად საკითხებს. შესავალი ლექციები მიზნად ისახავს, ბაკალავრიატის სტუდენტს შეასწავლოს ქართული ენის ისტორია (ზოგად შტრიხებში), საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული სამწიგნობრო ენის - ფუნქციონირების არსებითი საკითხები, ქართული სამწიგნობრო ენის ფონემატური სტრუქტურის ძირითადი საკითხები, ფონეტიკურ პროცესებთან დაკავშირებული მართლწერა და ფონეტიკური ვარიანტების სიტყვაწარმოებითი პერსპექტივა; კერძოდ:

- ხმოვანთა და თანხმოვანთა რელევანტური ანუ არსებითი ნიშნები (ხმოვანთა რიგი, აწეულობა, ლაბიალურობა; თანხმოვანთა საწარმოთქმო ადგილი, ხშულობა-ნაპრალოვნობა, მჟღერობა-სიყრუე),
- მეტყველების ნაკადში ბგერათკომპლექსათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები (რედუქცია, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი...),
- მარცვალი, მახვილი, ინტონაცია,
- მართლწერისა და ორთოეპიის ძირითადი საკითხები.

სასწავლო კურსის მიზანია, ასევე, სტუდენტმა გამოიმუშაოს სამეცნიერო ლიტერატურისა თუ საინტერნეტო მასალების მოძიებისათვის საჭირო ჩვევა და ცალკეული საკითხების შესახებ არსებული განსხვავებული თვალსაზრისების შეპირისპირებითი ანალიზისა და დისკუსიის უნარი.

I თავი

ქართული ენის სამეტყველო ბგერები

1.1. ბგერა. სამეტყველო ბგერა. ფონეტიკის საგანი

სამყაროში უამრავი ბგერა თუ ბგერათმომდევრობა წარმოიქმნება: ბგერა შეიძლება იყოს ფიზიკური (წკარუნი, რახუნი, ჩუხჩუხი, შრიალი...) და ბიოლოგიური, რომელსაც ცოცხალი არსებები - ცხოველები და ადამიანები გამოსცემენ. ბგერათმომდევრობა შეიძლება იყოს დაუნაწევრებელი და დანაწევრებული; დაუნაწევრებელია (ცხოველურია): ყვირილი, ღრიალი, წივილი, ყეფა, ჭიხვინი, ხველება, კვნესა... დანაწევრებულია (ადამიანურია): მარცვალი, სიტყვა, წინადადება, ტექსტი...

ადამიანის მიერ წარმოთქმულ ბიოლოგიურ ბგერათაგან სოციალური ღირებულების მქონეა მხოლოდ სამეტყველო ბგერები.

სამეტყველო ბგერა მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. დარვინიზმის მიმდევარი მეცნიერები თვლიან, რომ ადამიანის წინაპრის ცხოველურ ბგერათა ერთი ნაწილი დროთა განმავლობაში გადამუშავდა და სამეტყველო ერთეუ-

ლებად იქცა, თუმცა ფაქტია, რომ ადამიანის მეტყველება ევოლუციას არ განიცდის: იხვეწება მხოლოდ ტექნიკური სფერო: სამეტყველო ბგერების შესაბამისი ასოები და წერის კულტურა. ადამიანის ენა იმთავითვე იყო სამეტყველო ბგერით ნიშანთა მოწესრიგებული სისტემა, ამდენად, ადამიანის სამეტყველო ბგერათა ჩამოყალიბება და ადამიანის შექმნა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული; შესაბამისად, ნაკლებლოგიკურია დავუშვათ, რომ არსებობდა ადამიანის წინაპარი ცოცხალი არსება, რომლის ბიოლოგიური ბგერები დროთა განმავლობაში იქცა სამეტყველო ბგერებად³.

ენაში მკაცრადაა განსაზღვრული სამეტყველო ბგერათა რაოდენობა; მაგ., თანამედროვე სამწიგნობრო ქართულში ოცდაცამეტი სამეტყველო ბგერაა.

ადამიანის სამეტყველო ბგერის უმთავრესი თვისებაა სიტყვის ჟღერადობის ისე შეცვლა, რომ მან სიტყვის მნიშვნელობის ცვალემა განაპირობოს; ბგერის ასეთი უნარის გამოცალკევების მიზნით არის შემოღებული ტერმინი - ფონემა. სამეტყველო ბგერა და ფონემა სინონიმურ ტერმინებად შეგვიძლია განვიხილოთ.

ფონემას მნიშვნელობის შეცვლის ანუ სადიფერენციაციო ფუნქცია აკისრია; მაგალითად, გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვას (ვთქვათ, ლომს) თუ შევუცვლით ერთ რომელიმე ფუძისეულ ფონემას, ეს სიტყვა დაკარგავს უწინდელ მნიშვნელობას: მივიღებთ სხვა სიტყვას; შდრ. ლომი: გომი, რომი, ტომი, ცომი... ან სულაც დაგვრჩება ბგერათა ჯგუფი, რომელსაც ქართულ ენაში არ ექნება რაიმე მნიშვნელობა: წომი, შომი, ქომი....

³ თუმცა არ გამოირიცხება, რომ ზოგი ფიზიკური თუ ბიოლოგიური ბგერათმომდევრობა იქცა ე.წ. ხმაბაძვით სიტყვებად; ასეთი ლექსიკა ენის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

მეტყველებაში შეიძლება არსებობდეს ისეთი ბგერაც, რომელიც მოცემულ ენაში არ გამოიყენება სიტყვათგანმასხვავებელი ანუ დისტინქტური ფუნქციით; მაგ., ქართულ სიტყვაში: “ვთხოვე“ ვ წარმოითქმის როგორც ფ ბგერა, მაგრამ ის მნიშვნელობას არ ცვლის, რამდენადაც ქართულში ფ არაა გამოყენებული სიტყვათგანმასხვავებლად; ე.ი. ქართულ ენაში ფ ბგერა ფონემას არ წარმოადგენს.

ფონემა რეალურად არსებობს მხოლოდ სიტყვაში; მაგ., ფონემა კ არსებობს სიტყვებში: კარი, კვერი, კოხტა, კიბე, კუზი; აკლდამა, უკარება, კრება, შეკრთომა, სიტკბო და ასე შემდეგ; აქვე აღვნიშნავთ, რომ არსებობს იმდენნაირი კ, რამდენნაირ მეზობლობაშიც შეიძლება მოხვდეს იგი სხვადასხვა სიტყვაში; ასეთ შემთხვევაში რატომ ვამბობთ, რომ ქართულში გვაქვს მხოლოდ ერთი კ ფონემა?

პასუხი მარტივია:

იმიტომ, რომ ქართულში არსებული ყველა კ მსგავსია ძირითადი მახასიათებლების მიხედვით და არსებითად მსგავსი ჟღერადობის გამო სხვადასხვა სიტყვაში ერთი ფუნქციით გვევლინება; ე.ი. ქართული კ-ს მრავალი ზეპირი სახესხვაობა (/ალოფონი) განზოგადებულია ერთი კ ფონემის სახით.

ამგვარად, დღევანდელი ქართული ენის 33 სამეტყველო ბგერიდან (ფონემიდან) თითოეული წარმოადგენს თავისი მრავალი სახესხვაობის გაერთიანებას, განზოგადებას.

ფონემა ანუ სამეტყველო ბგერა ხასიათდება მარცვლის შექმნის უნარის ქონა-არქონით, წარმოითქმის ადგილით (ანუ ლოკალური რიგით), წარმოითქმაში ენისა და სახმო სიმების მონაწილეობა-არმონაწილეობითა და ხშულობა-ნაპრალოვნობით და სხვ. (იხ. ქვემოთ).

მაშასადამე, ფონემა (სამეტყველო ბგერა) არის განსაზღვრული არტიკულაციურ-აკუსტიკური თვისებების მქონე ისეთი უმცირესი (განუყოფელი) სამეტყველო

ერთეული, რომელსაც შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისაგან სიტყვები ან სიტყვის ფორმები.

ტერმინი “ფონემა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან კჰონე “ხმა, ბგერა“; ამავე სიტყვიდანაა ნაწარმოები: კჰონეტიკოს “სახმო, ხმის შესახები რამ“ და კჰონეტიც (მეცნიერების დარგი); ამ უკანასკნელის სინონიმად შეიძლება განვიხილოთ ფონოლოგია, თუმცა ზოგი სამეცნიერო მიმდინარეობა ფონეტიკასა და ფონოლოგიას სხვადასხვა მეცნიერებად თვლის; კერძოდ, დღეს ენათმეცნიერებაში ტერმინი ფონეტიკა იხმარება ორი მნიშვნელობით:

1. ვიწრო მნიშვნელობით საკუთრივ ფონეტიკის საგნად თვლიან სამეტყველო ბგერების არტიკულაციურ-აკუსტიკურ შესწავლას; მაგ., ქართულის 3 ბგერა შეისწავლება მისი არტიკულაციური და აკუსტიკური მახასიათებლების /თვისებების/ მიხედვით;

2. ფართო მნიშვნელობით ფონეტიკის საგანია სამეტყველო ბგერების არტიკულაციურ-აკუსტიკური დახასიათებაც, მისი სიტყვაში გამოვლენის წესების დადგენაც და სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციის შესწავლაც.

ის, ვინც იყენებს ტერმინ “ფონეტიკას“ ვიწრო მნიშვნელობით, ბგერათა სიტყვაში გამოვლენისა და მათი სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციის შემსწავლელ მეცნიერებას ფონოლოგიას უწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ “ფონოლოგიურმა“ (ფუნქციურმა ასპექტმა) არსებითად გაამდიდრა ფონეტიკა, როგორც ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი დარგი, მეცნიერთა ნაწილი მაინც იმ შეხედულებისაა, რომ არსებობს მხოლოდ ერთიანი ფონეტიკა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რომ ფონეტიკის საგანია სამეტყველო ბგერის შესწავლა ორი ასპექტით — არტიკულაციურ-აკუსტიკურად და ფუნქციონალურად (“ფონოლოგიურად“).

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში ტერმინი ფონეტიკა გამოიყენება ფართო გაგებით, ხოლო ტერმინები: სამეტყველო ბგერა და ფონემა სინონიმებად მიიჩნევა. ფონეტიკის შიგნით შეიძლება გამოიყოს:

- არტიკულაციური ფონეტიკა; მიზანი: სამეტყველო ბგერების წარმოქმნის თავისებურებების შესწავლა;
- აკუსტიკური ფონეტიკა; მიზანი: სამეტყველო ბგერების ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა;
- პერცეფციული ფონეტიკა; მიზანი: სამეტყველო ბგერების აღქმის თავისებურების შესწავლა;
- ფუნქციონალური ფონეტიკა; მიზანი: სიტყვაში ბგერის გამოვლენის წესების დადგენა და სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციის შესწავლა.

1.2. საწარმოთქმო ორგანოები


მეტყველების დროს ადამიანი წარმოთქვამს სამეტყველო ბერას, მარცვალს, ბუნებრივ თანხმოვანთკომპლექსსა და მახვილს; შესაბამისად, წარმოთქმის ძირითადი ელემენტებია: ცალკეული ფონემები, ბგერათშეერთებანი და მახვილი. წარმოთქმის ელემენტების საწარმოებლად გამოყენებულია: ფილტვები და დიაფრაგმა (და მათთან დაკავშირებული კუნთები), ხორხი, სახმო სიმები, ციცხვისებრი ხრტილები, სასა, ნაქი, ქვედა ყბა, ენა, კბილები და ტუჩები; ბუნებრივია, ძირითადი საწარმოთქმო ორგანოა ენა; სწორედ ამიტომ, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ადამიანურ მეტყველებას ჰქვია ენა (ქართული ენა, ინგლისური ენა, ჩინური ენა, სპარსული ენა, თურქული ენა, სომხური ენა, რუსული ენა...).

წარმოთქმულ ელემენტებს ჩვენ აღვიქვამთ სმენით იმ ფიზიკური თვისებების მიხედვით, რომლებიც აქვთ მათ; ეს თვისებებია: სიმაღლე, სიძლიერე, ტემბრი, ხანგრძლივობა; შესაბამისად, სამეტყველო ბგერის შესასწავლად აუცილებელია, ერთი მხრივ, საწარმოთქმო ორგანოების ანუ ლოკალური რიგების შესწავლა, მეორე მხრივ კი - ბგერის ფიზიკური თვისებებისა.

მსოფლიოში არსებულ ყველა ენაში სამეტყველო ბგერების წარმოთქმა, ძირითადად, ემყარება სუნთქვას. სუნთქვა ბგერათა წარმოთქმის ძირითადი წყაროა.

სამეტყველო ბგერა წარმოითქმება სამეტყველო ორგანოების მოქმედების შედეგად. სამეტყველო ორგანოების ზოგადი სურათი ასე გამოიყურება:

RESPIRATORY SYSTEM (ANTERIOR VIEW)



საწარმოთქმო ორგანოები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ:

- სასუნთქი აპარატი: ფილტვები, შუასაძგიდე ანუ დიაფრაგმა, სასუნთქი მილი ანუ სასულე, ხორხი, სახმო სიმები, ხახა;
- პირის ღრუ: რბილი სასა, ნაქი, ენა, მაგარი სასა, ნუნები, კბილები;
- ზაგეები;
- ცხვირის ღრუ.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

ფილტვები - მარჯვენა და მარცხენა - მოთავსებულია გულ-მკერდის ღრუში. ფილტვები რბილი და ელასტიკური სხეულია, წყალზე მსუბუქი - მათში ჰაერის მუდამ ყოფნის გამო. ფილტვებს შუა (მარცხენა მხარეს) ძევეს გული.

დიაფრაგმა (შუასაძგიდე) წარმოადგენს ფართო კუნთს, რომელიც ყოფს ერთმანეთისაგან გულ-მკერდისა და მუცლის ღრუებს; დიაფრაგმა შეზნექილია ქვემოდან (მუცლის ღრუს მხრიდან) და გუმბათისებრ ამოზნექილია გულ-მკერდისაკენ. დიაფრაგმას აძევეს ფილტვები, ხოლო მის ქვეშაა მუცლის ორგანოები. დიაფრაგმის შეკუმშვა-მოშევა იწევეს შესუნთქვა-ამოსუნთქვას: როცა შეიკუმშება, იგი ბრტყელდება, ქვემოთ დაიწევა და ამით გამოიწევეს გულ-მკერდის ღრუს მოცულობის გადიდებას (ესაა შესუნთქვის მომენტი); როცა დიაფრაგმა მოეშევა, იგი ამოიწევა ზემოთკენ და ამით დაავიწროებს გულ-მკერდის ღრუს მოცულობას (ესაა ამოსუნთქვის მომენტი).


სასუნთქი მილი შედგენილია ხრტილოვანი რგოლებისაგან და დაფარულია შიგნიდან ლორწოვანი გარსით; რგოლების უკანა მესამედი აპკოვანია და წარმოადგენს კედელს, რომლითაც სასუნთქი მილი მიდებულია საყლაპავ მილზე. სასუნთქი მილი იწყება ხორხის ქვეშ (შეიძლება თითით მოსინჯვა), გაივლის გულ-მკერდის

ღრუში და განშტოვდება ორ მთავარ ბრონქად. ბრონქები, თავის მხრივ, განშტოვდებიან ფილტვებში უამრავი ბრონქიოლისა და ბუშტულის სახით. სასუნთქი მილი წარმოადგენს ჰაერნაკადის სამოდრაო გზას ფილტვებიდან გარეთ (ამოსუნთქვა) და გარედან ფილტვებისაკენ (შესუნთქვა).

ხორხი. სასუნთქი მილის ზემოთ მოთავსებულია ხორხი, ლარინგსი (ბერძ. ლარყნხ), რომელიც შედგება ბექდისებრი, ფარისებრი და პირამიდისებრი ხრტილებისაგან. ბექდისებრი ხრტილი წარმოადგენს ხორხის ფუძეს. ფარისებრი ხრტილი დაყრდნობილია ბექდისებრ ხრტილზე. იგი წარმოადგენს ორი ოთხკუთხა ფართო ფირფიტის შეერთებას. შეერთების კუთხე წამოშვერილია წინისაკენ - მეტადრე მამაკაცისა. პირამიდისებრი ხრტილები წარმოადგენს ორ პატარა სამწახნაგიან პირამიდისებრ ხრტილს, რომელიც ბექდისებრი ხრტილის ფართო ნაწილის თავზეა მოთავსებული. ისინი მოძრაობენ თავისი ღერძის გარშემო, მათ წინა მორჩზე მიმაგრებულია სახმო სიმები ანუ მბგერი იოგები.

სახმო სიმები წარმოადგენს ორ ჰორიზონტალურ ნაოქს; ისინი ელასტიკურნი არიან. მათ შეუძლიათ გაგრძელდნენ, დავიწროვდნენ, დაიჭიმონ და მოდუნდნენ. სახმო სიმებს ზოგჯერ სახმო ბაგეებსაც უწოდებენ, რადგანაც მათ, ისევე როგორც ბაგეებს, შეუძლიათ სხვადასხვაგვარად მოეწყონ სამეტყველო ბგერის წარმოსაქმნელად; შდრ. ღია, ნახევრად ღია და დახურული სახმო სიმების განლაგება⁴:

⁴ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თვალსაჩინოებების ერთი ნაწილი მოგვაწოდა ფილოლოგიის დოქტორმა ივანე ლეჟავამ.



სახმო სიმებს შუა გასწვრივ ნაპრალს ემახიან ყიას (გლოტის); ყიის გაგრძელებას წარმოადგენს სამკუთხი ნაპრალი ციციხვისებრ ხრტილებს შუა: ამას ემახიან ხრტილებშუა ნაპრალს. ყიას შეუძლია მიიღოს მრავალგვარი ფორმა - იმის მიხედვით, ერთმანეთს მიახლოებულია თუ დაშორებული სახმო სიმები და - რამდენად. შეიძლება, ყია სრულიად დაიკეტოს, ხოლო ხრტილებშუა ნაპრალი ღია დარჩეს.

გასათვალისწინებელია ყიისა და ხრტილებშუა ნაპრალის ხუთი მთავარი მდგომარეობა:

1. ყია ამოსუნთქვისას: ყია და ხრტილებშუა ნაპრალი გაერთიანებულია ერთ მთლიან ნაპრალად, რომელსაც წაგრძელებული სამკუთხედის ფორმა აქვს;
2. ყია ჩასუნთქვისას: ყია და ხრტილებშუა ნაპრალი გაერთიანებულია ერთ მთლიან ნაპრალად, რომელსაც წაგრძელებული სამკუთხედის ფორმა აქვს, მაგრამ გაცილებით ფართოა, ვიდრე ამოსუნთქვისას;

3. ყია და ხრტილებშუა ნაპრალი დაკეტილია, ე.ი. სახმო სიმეზიც და ხრტილებიც ერთმანეთზეა მიბჯენილი; ამომდინარე ჰაერნაკადი ზედიზედ ჯახებით აათრთოლებს სახმო სიმებს და აჟღერებს მათ;

4. ყია დაკეტილია, მაგრამ ღიაა ხრტილებშუა ნაპრალი, — ესაა ჩურჩულის მდგომარეობა (ჩურჩული შესაძლებელია, აგრეთვე, ყიაში, თუ ყია ვიწროდაა და სიმეზი მოდუნებული);

5. ყია და ხრტილებშუა არე დაკეტილია და ჰაერნაკადის ამოდინება (სუნთქვა) სრულებით შეწყვეტილია, — ესაა მდგომარეობა ყელხშული (გლოტალიზებული) ბგერების ანუ აბრუპტივების (მკვეთრი ბგერების) წარმოსათქმელად.

ხახა (ბერძ. პპარყნხ) იწყება ხორხის ღრუს ზემოთ და პირის ღრუს უკავშირდება ხახის პირით, ხოლო ცხვირის ღრუს - ცხვირ-ხახით. ხახა წარმოადგენს ღრუს, სადაც ერთმანეთს ხვდებიან სუნთქვისა და საჭმლის ყლაპვის გზები. მაშასადამე, იგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საყლაპავი მილის ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, გადადის პირისა და ცხვირის ღრუებში. ხახის შუა ნაწილი მოსაზღვრულია წინიდან ენისძირის ზედაპირით, ხოლო უკანიდან — ხახის კედლით. ხახაში გვაქვს ორი რკალი: სასა-ენის რკალი და სასა-ხახის რკალი. ხახის ღრუს ზედა ნაწილია ცხვირ-ხახის ღრუ. ცხვირ-ხახის ღრუ უერთდება ცხვირის ღრუს ორი ხვრელით, რომლებსაც ქოანები ეწოდება.

პირის ღრუ ისაზღვრება ზედა და ქვედა ბაგით (ლათ. ლაბიუმ). ქვედა ბაგე უფრო მოძრავია, ვიდრე ზედა. ზედა და ქვედა კბილების ორი რიგი წარმოადგენს პირის ღრუს უძრავ საზღვარს. თითოეულ რიგშია: ოთხი საჭრელი, ორი საკბეჩი, ოთხი მცირე ძირითადი და ექვსი ძირითადი კბილი. ზედა რიგის კბილებს წარმოთქმისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს.

კბილები მოთავსებულია ნუნებში (ლათ. ალვეოლი); პირის ღრუსა და ცხვირის ღრუს ერთმანეთისგან ყოფს სასა.

სასის პირველ ნაწილს - ნუნებიდან ბოლო კბილების ხაზამდე ეწოდება მაგარი სასა (ლათ: პალატუმ); დანარჩენ ნაწილს ნაქის (ლათ. უგულა) ჩათვლით ჰქვია უკანა სასა ანუ რბილი სასა (ლათ. ველუმ). რბილი სასა მოძრავია, ხოლო მაგარი სასა - უძრავი. რბილი სასა აწესრიგებს ჰაერნაკადის მიმართულებას. როცა რბილი სასა ნაქითურთ აიწვეს და მიეზღინება ხახის კედელს, ჰაერნაკადი ცხვირში ვედარ გაივლის, ხოლო როცა მოდუნებულად დაეშვება ქვემოთ, ჰაერნაკადს უშვებს ცხვირის ღრუში.

პირის ღრუში ყველაზე მოძრავია ენა, რომელიც ოთხ ნაწილად შეიძლება გაიყოს:

1. ენის წვერი (ლათ. აპეხ);
2. ენის ტანი, რომლის ზედა ზედაპირს ემახიან ენის ზურგს (ლათ. დორსუმ); ამ უკანასკნელს ყოფენ წინა, შუა და უკანა ენად;
3. ენის ძირი (რადიხ), რომელიც მოქმედებს ხახის კედლის მიმართ;
4. ენის გვერდითი კიდეები, რომლებიც მოქმედებენ კბილების რიგების მიმართ — ეხებიან, უახლოვდებიან ან შორდებიან მათ.

პირის ღრუს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბგერათწარმოთქმაში, ვინაიდან: (1) მასში მდებარეობს ძლიერ მოძრავი ორგანოები, რომლებიც წარმოქმნიან მრავალგვარ ჩქამს (თანხმოვნისთვის საკმარის ბგერას) და (2) თავად პირის ღრუს შეუძლია ნაირგვარად იცვალოს თავისი მოყვანილობა, რაც აპირობებს ხმოვანთათვის დამახასიათებელ განსხვავებულ ტემბრს.


ცხვირის ღრუ მოთავსებულია პირის ღრუს თავზე და გაყოფილია მისგან მაგარი სასის ძვლით. ცხვირის ღრუ გაყოფილია შუაზე ცხვირის ძგიდით. ცხვირის ხვრელებს ემახიან ნესტოებს (წინიდან) და ქოანებს (უკან). პირის

ღრუდან ჰაერნაკადი გადის, როცა რბილი სასა ნაქითურთ დაშვებულია.

ხორხის ზემოთ მდებარე აქ აღწერილი ღრუები ცნობილია საერთო სახელწოდებით - “ზესადგამი მილი“.

სამეტყველო ბგერები წარმოიქმნება რამდენიმე სამეტყველო ორგანოს მონაწილეობით, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ბგერის საწარმოთქმო ადგილად ანუ ლოკალურ რიგად სახელდება ერთი რომელიმე ორგანო (ადგილი); ქვემოთ წარმოვადგენთ ლოკალური რიგების ამსახველ ერთ-ერთ ნახატს, რომელშიც გამოყოფილია:

1. Bilabial - წყვილბაგისმიერი თანხმოვნების წარმოთქმის ადგილი;
2. Labiodental - კბილბაგისმიერი თანხმოვნების ლოკალური რიგი;
3. Dental and Interdental - კბილისმიერი (და კბილთშუა) თანხმოვნების წარმოთქმის ადგილი;
4. Alveolar - წინანუნისმიერი თანხმოვნების წარმოთქმის ადგილი;
5. Postalveolar - უკანანუნისმიერთა ლოკალური რიგი;
6. Palatal - მაგარსასისმიერი თანხმოვნების წარმოთქმის ადგილი;
7. Velar - რბილსასისმიერი თანხმოვნების წარმოთქმის ადგილი;
8. Uvular - ნაქისმიერი თანხმოვნების წარმოთქმის ადგილი;
9. Pharyngeal - ხახისმიერი თანხმოვნების ლოკალური რიგი.



ყველა ის საწარმოთქმო ორგანო, რომლებიც მოძრავია და მოქმედებს სხვა ორგანოების მიმართ, იწოდება არტიკულატორად (აქტიურ ორგანოდ), ხოლო საარტიკულაციო წერტილებად იწოდებიან ის (პასიური) ორგანოები, რომლებიც თვითონ არ მოძრაობენ, მაგრამ მათზე მიბჯენით ან მათთან მიახლოებით წარმოითქმება ესა თუ ის ბგერა; შესაბამისად, გამოიყოფა აქტიური და პასიური საწარმოთქმო ორგანოები:

აქტიურია ის საწარმოთქმო ორგანოები, რომლებიც ასრულებენ ბგერათწარმოთქმაში მთავარ როლს: ისინი მოძრავნი არიან და მოქმედებენ სხვა ორგანოების მიმართ, რომელნიც, თავის მხრივ, ასრულებენ მხოლოდ დამხმარე როლს; ეს უკანასკნელები პასიური საწარმოთქმო ორგანოებია.

აქტიური ორგანოებია (იგივე არტიკულატორები): სახმო სიმები, ქვედა ყბა, ენა (ყველა თავისი ნაწილით: ენის წვერი,

წინა, შუა და უკანაენა, ენისძირი), რბილი სასა ნაქითურთ, ხახის კედელი და ტუჩები.

პასიური ორგანოებია (იგივე საარტიკულაციო წერტილები): კბილები, ნუნები და მაგარი სასა.

ზოგჯერ აქტიური ორგანო ასრულებს პასიურის როლს: ასეთია, მაგალითად, რბილი სასა გ, ქ, კ თანხმომცნების წარმოთქმის დროს. ზოგჯერ რომელიმე ბგერის წარმოებაში მონაწილეობს ორი აქტიური ორგანო: ასეთია, მაგალითად, ზედა და ქვედა ტუჩები ბ, ფ, კ თანხმომცნების წარმოთქმისას.

1.3. ბგერის წარმოთქმა. ბგერათა ზოგადი დახასიათება: თანხმომცნი /სონორი, ჩქამიერი/, ხმომცნი, სონანტი

ბგერის წარმოთქმა. ბგერის წარმოთქმის პროცესის გასააზრებლად ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ:

- არტიკულაცია და საწარმოთქმო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობა;
- რესპირაცია და ფონაცია.

არტიკულაცია ეწოდება საწარმოთქმო ორგანოების მოქმედებას ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას. თითოეულ სამეტყველო ბგერას და მის ყოველგვარ სახესხვაობას აქვს თავისი საკუთარი არტიკულაცია, ე.ი. თავისი საკუთარი მოძრაობა ან მდგომარეობა. ამა თუ იმ ბგერას აღვიქვამთ მხოლოდ მაშინ, როცა მის არტიკულაციას ერთვის ჰაერნაკადის სათანადო დინება. არტიკულაციისათვის ამოსავალია სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობა. ე.ი. ის მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ

უძღვის წინ ბგერის წარმოთქმას. ამ მდგომარეობის დამახასიათებელია წყნარი სუნთქვა.

ინდიფერენტულ მდგომარეობაში ზემოთ განხილული საწარმოთქმო ორგანოები შემდეგნაირად არიან განლაგებულნი:

- ხორხი თავახდილია, ე.ი. ხორხსარქველი ვერტიკალურადაა;
- ყია ღიაა, ე.ი. სახმო სიმები დაშორებულია ერთმანეთს და ჰაერი უჩქამოდ ამოედინება სასუნთქიდან;
- რბილი სასა ჩამოშვებულია და, მაშასადამე, ჰაერი შეისუნთქება და ამოისუნთქება ცხვირის გზით, თუ პირი მოკუმულია;
- ენა ძვეს უძრავად ქვედა კბილებთან და ეხება ზედა კბილების რიგსაც, თუ პირი მოკუმულია.

ორი ენა ან ორი დიალექტი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობით, რამდენადაც ეს მდგომარეობა უშუალოდ წინ უძღვის წარმოთქმას. განსხვავებულია სხვადასხვა ენათა/დიალექტთა საწარმოთქმო ორგანოების მოქმედება ანუ არტიკულაცია. გარდა ამისა, შესაძლებელია, ის საწარმოთქმო ორგანოები, რომლებიც გამოყენებულია ერთი ენის/დიალექტის სამეტყველო ბგერის წარმოთქმის დროს, სრულიად არ იყოს გამოყენებული მეორე ენის/დიალექტის სამეტყველო ბგერის წარმოთქმის შემთხვევაში. ყველა ენაში/დიალექტში არტიკულაცია ხდება მასში გამოიმუშავებული ჩვევების შედეგად; ამა თუ იმ ენის/დიალექტის საწარმოთქმო ჩვევებს, რომელიც დროთა განმავლობაშია შემუშავებული, საარტიკულაციო ბაზისი ეწოდება. სხვადასხვა ენებისა თუ დიალექტების საარტიკულაციო ბაზისი მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან. მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის გამოყენებას უცხოურ ენაზე მეტყველებისას უწოდებენ

“აქცენტს“. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სხვა ენის საარტიკულაციო ბაზისის შეთვისებას, რაც საკმაოდ რთული პროცესია.

ტერმინები: რესპირაცია და ფონაცია სუნთქვას მიემართება. ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვა რესპირაციაა; იგი მოიცავს თითქმის თანასწორი ხანგრძლივობის ორ მოძრაობას: ჩასუნთქვას (ინსპირაციას) და ამოსუნთქვას (ექსპირაციას). ამოსუნთქვა ოდნავ უფრო ხანგრძლივია ჩასუნთქვაზე. ჩასუნთქვის დროს სასუნთქი მილის გავლით ფილტვები ივსება ჰაერნაკადით, ხოლო ამოსუნთქვის დროს ამოსულ ჰაერნაკადს მოძრაობაში მოჰყავს საწარმოთქმო ორგანოები.

ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვა (რესპირაცია) განსხვავდება სამეტყველო სუნთქვისაგან, რომელსაც ფონაცია ეწოდება. ფონაცია რესპირაციისაგან განსხვავდება სამი ნიშნით:

- ა. რესპირაცია ავტომატურია, ფონაცია ონებისმიერი;
- ბ. რესპირაციაში შესუნთქვის ხანგრძლიობა თითქმის უდრის ამოსუნთქვისას, ხოლო ფონაციაში შესუნთქვა გაცილებით ნაკლებ ხანგრძლივია ამოსუნთქვაზე. ფონაციაში შესუნთქვა ხდება სწრაფად, ერთბაშად, ხოლო ამოსუნთქვა — დაყოვნებით, თანდათანობით; ეს იმიტომ, რომ ფილტვებში შესუნთქული ჰაერის მარაგი წარმოთქმის დროს იხარჯება თანდათანობით, დაზოგვით;
- გ. რესპირაცია ხდება უმეტესად ცხვირით, ხოლო ფონაცია - უმეტესად პირით.

ფონაციის დროს წარმოითქმება სამეტყველო ბგერა. სამეტყველო ბგერის წარმოთქმის პროცესში გამოიყოფა სამი ეტაპი: პირველს ჰქვია ექსკურსია ანუ შემართვა; მეორეს - მწვერვალი ანუ დაყოვნება; მესამეს - რეკურსია ანუ დამართვა.

ბგერის არტიკულაციის სამი მომენტი და საარტიკულაციო ორგანოების მიმართება ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ბგერის შემართვის ანუ ექსკურსიის დროს ხდება საარტიკულაციო ორგანოების სათანადო მომზადება: საწარმოთქმო ორგანოები გამოდიან იმ ინდიფერენტული მდგომარეობიდან, რომელიც წინ უძღვის არტიკულაციას, მოეწყობიან წარმოსათქმელი ბგერის საწარმოებლად და იწყებენ შესაბამის მოძრაობას. ეს ხდება წამის მეასედი ნაწილის განმავლობაში.

შემართვას მოსდევს ბგერის წარმოთქმის ძირითადი ეტაპი, როცა საწარმოთქმო ორგანოები შეასრულებენ წარმოსათქმელი ბგერისთვის საჭირო უმთავრეს მოძრაობას, რასაც ეწოდება დაყოვნება ანუ ფონემის მწვერვალი. ეს ეტაპი ყველაზე ხანგრძლივია.


ბგერის წარმოთქმის მესამე ეტაპზე, დამართვისას (ანუ რეკურსიის დროს), საწარმოთქმო ორგანოები უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას.

თვალსაჩინოებისათვის ფონემის წარმოთქმის სამი ეტაპი სქემატურად ასე წარმოვიდგინოთ:



AB არის შემართვა, BE - დაყოვნება, ED - დამართვა. წარმოთქმის სამივე ეტაპისთვის საჭირო დროის ხანგრძლიობა ჩანს AD ხაზზე: AE არის შემართვის ხანგრძლიობა (1/60 წ.), EF — დაყოვნებისა (3/60 წ.) და ED — დამართვისა (1/60 წ.).

წარმოდგენილი სქემა ასახავს იზოლირებულად წარმოებული ბერის წარმოქმის სამ ეტაპს; ჩვეულებრივ, სამეტყველო ბერის წარმოქმა ხდება სიტყვაში (ფრაზაში), სხვა ბერებთან მეზობლობაში, შესაბამისად, მხოლოდ სიტყვის თავკიდურ ბერას აქვს სრული შემართვა, მხოლოდ ბოლოკიდურ ბერას აქვს სრული დამართვა, სხვებს კი სანახევრო შემართვა-დამართვა აქვს; მაგ., სიტყვაში მზე მ-ს შემართვა იწყება ინდიფერენტული მდგომარეობიდან და ამიტომ ეს შემართვა ნორმალურია; მაგრამ ზ-ს შემართვა იწყება არა ინდიფერენტული მდგომარეობიდან, არამედ მ-ს ჯერ დაუმთავრებელი დამართვიდან: მომდევნო ზ-ს შემართვამ არ დაასრულებინა მ-ს დამართვა; თავის მხრივ, არც ზ-ს შემართვაა სრული; არაა სრული არც დამართვა ზ-სი, რადგანაც მომდევნო ე-ს შემართვამ არ დაასრულებინა ზ-ს დამართვა. არც ე-ს აქვს სრული შემართვა, რადგანაც იგი არ იწყება ინდიფერენტული მდგომარეობიდან; მას აქვს სრული მხოლოდ დამართვა. ნორმალური მეტყველების დროს დაყოვნება (მწვერვალი) ყველა ბერას თავისი აქვს. სიტყვა მზეში შემავალი ბერების წარმოქმის სამი ეტაპი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



წარმოდგენილი სქემიდან კარგად ჩანს უშუალო მეზობლობაში მყოფ ფონემათა შემართვა-დამართვის ურთიერთობა: ერთი ბერის დამართვა ჯერ არ არის დამთავრებული, როცა იწყება მეორე ბერის შემართვა; ეს კი განაპირობებს მეზობელ ფონემათა ძლიერ ურთიერთგავლენასა და ფონეტიკურ ცვლილებებს.

ბერათა ზოგადი დახასიათება: თანხმოვანი /სონორი, ჩქამიერი/, ხმოვანი, სონანტი. სამეტყველო ბერები იყოფა ორ

ძირითად ჯგუფად: ხმოვნებად და თანხმოვნებად. ხმოვნებს აქვთ მარცვლის შექმნის უნარი, თანხმოვნებს კი - არა. ხმოვნებს, როგორც მარცვლის შექმნის უნარის მქონე სამეტყველო ბგერებს, მეტყველების პროცესის გასაადვილებლად არსებითი როლი ენიჭება. ზოგ ენასა თუ დიალექტში არის ისეთი სამეტყველო ბგერები, რომლებიც ზოგ პოზიციამში მარცვალს წარმოქმნიან, ზოგში კი - ვერა; ასეთ სამეტყველო ბგერებს სონანტები ეწოდება; მაგ., ზოგ ქართველურ კილოში (აჭარულში, იმერხეულში, ლაზურში...) ი/“ და უ/ჟ ბგერების ვარიანტთა გამოვლენა შეპირობებულია პოზიციით - სხვა ბგერათა მეზობლობით, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დიალექტებში გვაქვს: ხმოვნები (ა, ე, ო), თანხმოვნები (ბ, ფ, ვ...) და სონანტები (ი/“ და უ/ჟ)⁵.

ხმოვნების წარმოთქმის დროს საარტიკულაციო აპარატი ღია მდგომარეობაშია, თანხმოვანთა წარმოთქმის დროს კი - საწარმოთქმო აპარატში გვაქვს დაბრკოლება (ხშვა, ნაპრალი). ნორმალურად წარმოთქმული ყველა ხმოვანი მჟღერია (ჩურჩულით საუბრისას ყველა ბგერა ყრუდ ისმის) და შეიძლება უსასრულო გაგრძელებით წარმოითქვას. გარდა ამისა, ხმოვანი იწარმოება სათანადო საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებით; შდრ. თანხმოვანი წარმოთქმის ჩქამნარევი ხმის (სონორულ თანხმოვნებში), ხმანარევი ჩქამის (მჟღერ თანხმოვნებში) ან მხოლოდ ჩქამის გამოღებით შესაფერისი საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას; შესაბამისად: თანხმოვნები დინამიკური წარმოების ბგერებია, ხმოვნები კი სტატიკური წარმოებისა.

⁵ ზოგ სახელმძღვანელოში „ და E ბგერების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი: "ნახევარხმოვანი". „ და E ბგერები თანხმოვნებია; არაიშვიათად, ,, E გამოვლენილია ი, უ ხმოვნების უმარცვლო ვარიანტებად, შესაბამისად, მათ დასახასიათებლად არალოგიკური ტერმინია ნახევარხმოვანი.

აკუსტიკური თვალსაზრისით, სამეტყველო ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მეტ-ნაკლები ხმასავსეობით ანუ სონორობით. ბგერის სონორობას ქმნის ხმის მონაწილეობა ბგერაში, მაგრამ ეს არ არის ბგერის სონორობის შექმნის ერთადერთი ფაქტორი. მჟღერ ბგერებში ხმასავსეობით გამოირჩევიან ხმოვნები. სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით, რაც უფრო ღიაა ბგერა, მით უფრო ხმასავსეა იგი. თანხმოვნებს შორის შედარებით ხმასავსე ბგერებია მ, ნ, რ, ლ (ასევე, ი-სა და უ-ს უმარცვლო ვარიანტები: ვ/ჟ, „) რომელთა წარმოთქმა სახმო სიმების პერიოდული რხევებითაა შესაძლებელი; ამ ბგერებს სონორ თანხმოვნებს უწოდებენ.

სხვა თანხმოვნების (ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ზ, ს, ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ, გ, ქ, კ, ღ, ხ, ყ, ჰ) წარმოთქმა ხორციელდება არაპერიოდული ჟღერით ანუ ჩქამით, შესაბამისად, არაპერიოდული რხევებით წარმოთქმულ სამეტყველო ბგერებს ჩქამიერი თანხმოვნები ეწოდება.

1.4. ქართული ენის ხმოვანთა სამი რიგი და სამგვარი აწეულობა; ხმოვანთა სამკუთხედი; ლაბიალური ხმოვნები

ხმოვნები ერთმანეთს ჰგვანან მარცვლის შექმნის უნარით, სახმო სიმების პერიოდული ჟღერით, საწარმოთქმო არეალის ღიაობით. ხმოვნებს ერთმანეთისაგან განასხვავებს წარმოთქმისას ენის მდებარეობა და ენის სხვადასხვა ნაწილის მონაწილეობა, ასევე, ბაგეების მონაწილეობა-არმონაწილეობა.

თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაში 5 ხმოვანია; ამათგან ა, ე, ი ხმოვნები წარმოითქმის ბაგეების მონაწილეობის გარეშე და ერთმანეთისგან განსხვავდებიან

ენის მდებარეობით, ო და უ ხმოვნები კი ხასიათდებიან ბაგისმიერობითაც.

აკად. გ. ახვლედიანმა ქართული ენის ხმოვნების დასახასიათებლად საკმარისად ჩათვალა წარმოთქმისას ენის მდებარეობა და ენის სხვადასხვა ნაწილის მონაწილეობაზე მითითება; ამ პარამეტრების მიხედვით მან ააგო ხმოვანთა სამკუთხედი; კერძოდ:

ხმოვნის წარმოთქმისას სასის მიმართულებით ენის ზურგის წინა ნაწილი აიწევს, შუა თუ უკანა, გამოიყოფა სამი რიგის ხმოვანი:

წინა რიგის ხმოვნებია ე და ი; მათი წარმოთქმისას ენის წვერი დაშვებულია და ძევს ქვედა კბილებთან, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი აიწევს მაგარი სასის მიმართულებით. ამ ხმოვნებს ეწოდებათ პალატალური (ლათ. პალატუმ - სასა) ანუ მაგარი სასისმიერი ხმოვნები.

შუა რიგის ხმოვნების წარმოქმნისას სასისკენ ოდნავ აიწევს ენის ზურგის შუა ნაწილი, ან ენა სრულიად ნეიტრალურ მდგომარეობაშია. როგორც წესი, ქართული ა შუა რიგის ხმოვანია (თუმცა ზოგ პოზიციებში ენა შეიძლება უკანაც დაიწიოს). ყოველთვის შუა რიგის ხმოვანია გ ბგერა, რომელიც საერთაშორისო ანბანში გამოიხატება ა ნიშნით, მაგ., ასეთია სვანურ და მეგრულ დიალექტებზე არსებული ე.წ. ნეიტრალური ხმოვანი სიტყვებში: მჟირ (სვან.) - სველი, ქერი (მეგრ.) - ქორი, ცგრა (მეგრ.) - ცირა/ქალიშვილი და სხვა.


უკანა რიგის ხმოვნების წარმოთქმისას ენის წვერი დაშვებულია და დაშორებულია ქვედა კბილებს, ხოლო ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასის მიმართულებით; უკანა რიგის ხმოვნებია ო და უ.

ხმოვნები სამად ჯგუფდება ენის აწეულობის მიხედვითაც; კერძოდ, ხმოვნის წარმოთქმისას ენის ზურგის


აწეულობის შესაბამისად ხმოვანი შეიძლება იყოს: დაბალი, საშუალო და მაღალი.

ქართულში დაბალი აწეულობის ხმოვანია ა, რამდენადაც მისი წარმოთქმისას ენა ძვეს ქვედა ყბაზე; ასეთ დროს საარტიკულაციო აპარატი მაქსიმალურად ღიაა, შესაბამისად, ა ყველაზე ფართო სამეტყველო ბგერაა.

საშუალო აწეულობის ხმოვნებია წინა რიგში ე, უკანა რიგში კი ო. დანარჩენი ორი ხმოვანი მაღალი აწეულობისაა; კერძოდ: ი-ს წარმოთქმისას მაქსიმალურადაა აწეული ენის წინა ნაწილი, ხოლო უ-ს წარმოთქმისას - ენის უკანა ნაწილი; შდრ. ენის აწეულობა ა ე და ი ხმოვნების წარმოთქმის დროს:



შდრ. ენის აწეულობა ა, ე და ი ხმოვნების წარმოთქმის დროს:



ამრიგად,

ა ხმოვანი ხასიათდება ორი ნიშნით: შუარიგისმიერობითა და დაბალი აწეულობით;

ე ხმოვანი - წინარიგისმიერობითა და საშუალო აწეულობით;

ი ხმოვანი - წინარიგისმიერობითა და მაღალი აწეულობით,


ო ხმოვანი - უკანარიგისმიერობითა და საშუალო აწეულობით;

უ ხმოვანი - უკანარიგისმიერობითა და მაღალი აწეულობით.


სამეტყველო ბგერათა დამახასიათებელ ნიშნებს რელევანტური ნიშნები ეწოდება.

ხმოვანთა რიგი და აწეულობა აპრობებს მათ ღიაობას - საარტიკულაციო აპარატის გახსნილობას; რაც უფრო დაბალი და უკანა რიგისაა ხმოვანი, მით უფრო ფართო და ღიაა საარტიკულაციო აპარატი - რეზონატორი⁶; შდრ.

⁶ ზესადგამი მილი - საარტიკულაციო აპარატის ძირითადი ნაწილი - რეზონატორია ყველა ბგერითი რხევისათვის, რომლებსაც წარმოქმნიან სახმო სიმები და სხვა საწარმოთქმო ორგანოები.



ხმოვანთა დასახელებული რელევანტური ნიშნების გათვალისწინებით და ქართული ენის ხმოვნების ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად, აკად. გ. ახვლედიანმა ააგო ხმოვანთა შემდეგი სახის სამკუთხედი:




სამკუთხედის ძირში მოთავსებულია ა: შუა რიგისა და დაბალი აწეულობის ხმოვანი; მის მარცხენა გვერდზე წარმოდგენილია წინა რიგის საშუალო აწეულობის ე და მაღალი აწეულობის ი, ხოლო მარჯვენა გვერდზე - საშუალო აწეულობის ო და მაღალი აწეულობის უ.

როგორც აღინიშნა, დაბალი აწეულობის ა ყველაზე ფართოა; რაც უფრო მაღალი აწეულობისაა ხმოვანი, მით

უფრო ვიწროა იგი; შესაბამისად, მაღალი აწეულობისაა ქართული ი და უ ხმოვნები.

წარმოდგენილ სამკუთხედთან დაკავშირებით საკამათოა ა-ს შუარიგისმიერობა და ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობის, როგორც დიფერენციალური ნიშნის, იგნორირება; აქვე აღვნიშნავთ, რომ პროფ. თ. უთურგაიძის სამართლიანი შენიშვნით, ო-ს აწეულობა ქართულში შეიძლება მერყეობდეს საშუალოსა და დაბალს შორის; შესაბამისად, მხოლოდ რიგისა და აწეულობის მიხედვით გაჭირდება ქართული ა-სა და ო-ს გამიჯვნა; ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი გახდება დიფერენციალური ნიშნის: ლაბიალურობა-არალაბიალურობა - შემოტანა; კერძოდ: ა დახასიათდება როგორც უკანა თუ საშუალო რიგის, დაბალი აწეულობის არალაბიალური ხმოვანი, ო კი - უკანა რიგის დაბალი თუ საშუალო აწეულობის ლაბიალური ხმოვანი; შესაბამისად: უ - უკანა რიგის მაღალი აწეულობის ლაბიალური ხმოვანი, ე - წინა რიგისა და საშუალო აწეულობის არალაბიალური ხმოვანი, ი - წინა რიგისა და მაღალი აწეულობის არალაბიალური ხმოვანი.



ა ხმოვნის უკანარიგისმიერად მიჩნევის შემთხვევაში ახვლედინისეული ტოლფერდა სამკუთხედი მართკუთხა სამკუთხედის ფორმით შეიძლება წარმოვადგინოთ:



აქ წინა რიგში მოთავსებულია საშუალო აწეულობის ე და მაღალი აწეულობის ი ხმოვნები, ხოლო უკანა რიგში - დაბალი აწეულობის ა, საშუალო აწეულობის ო და მაღალი აწეულობის უ ხმოვნები.

არტიკულაციური მახასიათებლების გარდა (აწეულობა, რიგი, ლაბიალურობა), ხმოვნები ხასიათდებიან აკუსტიკური ნიშნებითაც; კერძოდ, ბგერის სიძლიერის (/ინტენსივობის), სიმაღლისა და ხანგრძლივობის მიხედვით⁷. აკუსტიკური მახასიათებლების ამსახველი სურათები ასე გამოიყურება (მეტყველების ნაკადში ბგერების ვიზუალური გამოსახულებები - სპექტროგრამები - იხ. დანართში):

⁷ სამეტყველო ბგერის რხევის სიხშირე აპირობებს ბგერის სიმაღლეს; ბგერის რხევის ამპლიტუდა - ბგერის სიძლიერეს, სამეტყველო ბგერის რხევის ხანგრძლივობა კი - ბგერის ხანგრძლივობას.



1.5. თანხმოვანთა დახასიათება

სამეტყველო ბგერა შეიძლება დახასიათდეს მრავალი მახასიათებლის (ნიშნის) მიხედვით; კერძოდ: საწარმოთქმო ადგილის (ლოკალური რიგის), ლოკალურ რიგში ნაპრალის ქონა-არქონის, სახმო სიმების მონაწილეობა-არმონაწილეობის, ენის აქტიურობა-პასიურობის, პირისა და ცხვირის ღრუების, როგორც რეზონატორებისა და სხვა მრავალი ნიშნის მიხედვით. სამეცნიერო მიზნებისთვის აუცილებელია, შეირჩეს მოცემული ბგერისთვის დამახასიათებელ ისეთ ნიშანთა უმცირესი რაოდენობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მოცემული სამეტყველო ბგერა იოლად გავარჩიოთ სხვა ბგერათაგან. ასეთ მახასიათებლებს არსებითი ანუ რელევანტური (დიფერენციალური) ნიშნები ეწოდება.

ქართული ენის ყველა თანხმოვნის დახასიათება შესაძლებელია რამდენიმე დიფერენციალური ნიშნით; კერძოდ:

ა. ლოკალური რიგით - მოცემული ბგერის საწარმოთქმო ადგილით: სამეტყველო ბგერის წარმოებაში არსებითია ამომავალი ჰაერნაკადის დაბრკოლების ადგილი, რომელიც იქმნება საარტიკულაციო ორგანოების ერთმანეთთან მიახლოებით (ნაპრალის წარმოქმნით) ან მჭიდროდ მიბჯენით. ჰაერნაკადის დაბრკოლება ხდება ზესადგამი მილის სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვაგვარად. სამეტყველო ბგერის წარმოქმნის აუცილებელი პირობაა ჰაერნაკადის მიერ დაბრკოლების გადალახვა. დაბრკოლება შეიძლება შექმნან: ბაგეებმა, ენის წვერმა და კბილებმა, ენის წვერმა და ნუნამ, ენის უკანა ნაწილმა და რბილმა სასამ, ენის ძირმა და ხახის უკანა კედელმა და სხვა. შეგვიძლია ვთქვათ: ლოკალური რიგი ბგერის დაბადების ადგილია.

ბ. ხშულობა-ნაპრალეზობით: ერთ ლოკალურ რიგში წარმოთქმული ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან

დაბრკოლების ხასიათით; კერძოდ, დაბრკოლება შეიძლება იყოს შექმნილი სამეტყველო ორგანოების მიახლოებით ან მიბჯენით; შესაბამისად, თანხმოვანი შეიძლება იყოს ნაპრალოვანი ან ხშული: თუკი ბგერის შემართვის პროცესში ლოკალურ რიგში გვაქვს ნაპრალი, თანხმოვანი ნაპრალოვნად იწოდება (მაგ., ს), ხოლო თუკი ბგერის შემართვის პროცესში ლოკალურ რიგში საწარმოთქმო ორგანოები ერთმანეთზე მიბჯენილია (დახშულია ლოკალური რიგი), თანხმოვანი ხშულად იწოდება (მაგ., დ). როგორც წესი, ხშული ბგერები მეყსეულად, სწრაფად წარმოითქმება, ნაპრალოვანი ბგერები შეგვიძლია წარმოვთქვათ როგორც დაყოვნებით, ასევე, გაგრძელებით; ამ მახასიათებლების გამო, ხშულებს მყისიერ თანხმოვნებს უწოდებენ, ნაპრალოვნებს კი - მყოვარ თანხმოვნებს. ხმოვნებისა და ქართული სამწიგნობრო ენის 3 ბგერის წარმოთქმის დროს საარტიკულაციო აპარატში დაბრკოლება ნაკლებად გვაქვს.

გ. მჟღერობა-სიყრუით: ზოგ შემთხვევაში მოცემული ორი ბგერა ერთნაირი შეიძლება იყოს ლოკალური რიგის მიხედვითაც და ხშულობა-ნაპრალოვნობითაც; ასეთ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბგერის წარმოებაში სახმო სიმების მონაწილეობა-არმონაწილეობას, ანუ მჟღერობა-სიყრუეს: მოცემულ ლოკალურ რიგში შეიძლება იწარმოებოდეს რამდენიმე ხშული ბგერა; მაგ., ქართულ ენაში კბილებისა და ენის მიბჯენით შექმნილ ლოკალურ რიგში იწარმოება სამი თანხმოვანი: დ, თ, ტ; ამათგან ერთი მათგანის წარმოთქმისას სახმო სიმები ჟღერს - თანხმოვანი მჟღერია; სხვების წარმოთქმისას კი სახმო სიმები არ ჟღერს - წარმოთქმული თანხმოვნები ყრუა; კერძოდ, დ-ს წარმოთქმისას სახმო სიმები ჟღერს - დ მჟღერი ბგერაა; თ, ტ კი - ყრუ ბგერებია.

შდრ.: ქართული მჟღერი ბგერა ოთხი სახისაა: ხმოვანი /ბგერა, რომელიც ქმნის მარცვალს/ - პერიოდულად ჟღერადი

ბგერა, რომელსაც დაბრკოლების ადგილი არ აქვს და მის თვისობრიობას რეზონატორის მოცულობა განსაზღვრავს; სონანტი - პერიოდულად ჟღერადი ბგერა, რომელსაც დაბრკოლების ადგილი არ აქვს და მის თვისობრიობას რეზონატორი განსაზღვრავს, მაგრამ, განსხვავებით ხმოვნისგან, ჰაერნაკადის მოცულობის გამო ზოგ პოზიციამი მარცვალს ქმნის, ზოგში კი - ვერა; სონორი - პერიოდულად ჟღერადი ნაპრალოვანი (ან ხშულ-ნაპრალოვანი) ბგერა, რომელიც ვერასოდეს ქმნის მარცვალს და წარმოიქმნება დაბრკოლების გადალახვით; ჩქამიერი თანხმოვანი - მეყსეულად მჟღერი ბგერა.

დ. ფილტვებიდან ამონადენი ჰაერის მონაწილეობით: სხვა ენებისგან განსხვავებით, ქართულ ენაში (ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ და ზოგ სხვა ენაშიც) გვაქვს ორი სახის ყრუ ბგერა: ზოგი ბგერის წარმოთქმის ეფექტს ქმნის ფილტვებიდან ამოსული დიდი რაოდენობის ჰაერის ნელი გამოდევნა პირის ღრუდან - ასეთ დროს წარმოითქმის სუნთქვისმიერი ანუ ფშვინვიერი თანხმოვნები; ასეთებია, მაგ., ფ, თ, ც... ზოგი ბგერის წარმოებისას კი საერთოდ არ მონაწილეობს ფილტვებიდან ამონადენი ჰაერი - ამ ბგერების წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის; ასეთებია: პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ. მათი წარმოთქმისას, როგორც წესი, ხორხში დახშულია სახმო სიმები (დაკეტილია ყია), შესაბამისად, ამ ბგერებს ყელხშულებს უწოდებენ. ე.წ. ყელხშულ თანხმოვანთა წარმოთქმის ეფექტს ქმნის მხოლოდ სახმო სიმებს ზემოთ და პირის ღრუში დარჩენილი ჰაერის მკვეთრი გამოდევნა, ამიტომაც, აკუსტიკური ეფექტის შესაბამისად, ასეთ სამეტყველო ბგერებს მკვეთრი თანხმოვნები ეწოდება. მათ აღსანიშნავად გამოიყენება ასევე, ტერმინები: აბრუპტივი (ლათინ. აბრუპტუს “მოწყვეტილი”), “კავკასიური ხშულები“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სამეტყველო ბგერა შეიძლება იყოს:

- ან ბაგისმიერი, ან კბილისმიერი, ან ნუნისმიერი, ან ხორხისმიერი და სხვ.
- ან ხშული, ან ნაპრალოვანი;
- ან მჟღერი, ან ყრუ;
- ან ყრუ-სუნთქვისმიერი, ან ყრუ-მკვეთრი.

1.6. ქართულ ენის ჩქამიერ თანხმოვანთა დახასიათება ლოკალური რიგის მიხედვით. ჰომორგანული და ჰეტერორგანული ბგერები

1.6.1. ბაგისმიერი თანხმოვნები. ბაგეების (ტუჩების) ერთმანეთზე მიბჯენით თუ ერთმანეთთან დაახლოებით მიღებულ ლოკალურ რიგში წარმოითქმება სამი სახის სამეტყველო ბგერა:

ზედა და ქვედა ბაგის მჭიდროდ მიბჯენით წარმოიქმნება ხშვა; ფილტვებიდან ამომავალი თუ პირის ღრუდან გამომავალი ჰაერნაკადი სკდომით ხსნის არსებულ დახშულობას, რის შედეგადაც წარმოითქმება წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური (ლათ. ლაბიუმ “ტუჩი”, ლაბიალის “ტუჩისმიერი”) ხშული თანხმოვნები: ბ, ფ, პ.

ზედა და ქვედა ბაგე უახლოვდება ერთმანეთს; ფილტვებიდან ამომავალი ჰაერნაკადი ნაპრალში წარმოქმნის წყვილბაგისმიერ ანუ ბილაბიალურ ნაპრალთან (სონორ) ბგერას - ვ-ს, რომელსაც ზეპირ მეტყველებაში ვარიანტად უვლინდება როგორც მარცვლოვანი უ ხმოვანი, ასევე, კბილბაგისმიერი ვ სპირანტი. როგორც წესი, იმ ენებში, სადაც ძირითადი ვარიანტია (ალოფონია) კბილბაგისმიერი ნაპრალთან მჟღერი ვ, იქვე ვლინდება კბილბაგისმიერი ნაპრალთან ყრუ ბგერა ფ/ფ. არც ისტორიულ ქართულ

სამწიგნობრო ენაში და არც მის თანამედროვე სახესხვაობაში არ გვაქვს კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი ყრუ ბგერა, შესაბამისად, ქართული ენის ვ ფონემის ძირითად ვარიანტად (ალოფონად) უნდა ჩავთვალოთ წყვილბაგისმიერი ნაპრალოვანი სამეტყველო ბგერა.

ზედა და ქვედა ბაგის მჭიდროდ მიბჯენით წარმოქმნილ ხშვას მეყსეულად ხსნის ფილტვებიდან ამომავალი ჰაერის ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი კი თავისუფლად გამოედინება ცხვირის ღრუში; შედეგად წარმოიქმნება ბაგისმიერ-ცხვირისმიერი მ ბგერა, რომელსაც არ გააჩნია ყრუ სახესხვაობა.

1.6.2. კბილისმიერი თანხმოვნები. ენის წვერი მჭიდროდ ებჯინება ზედა წინა კბილებს; წარმოქმნილი დახშული არე სკდება ფილტვებიდან ამომავალი ან პირის ღრუდან გამომავალი ჰაერნაკადის დაწოლით; შედეგად წარმოითქმება ენა-კბილისმიერი თანხმოვნები: დ, თ, ტ ბგერები, რომელთაც, მოკლედ კბილისმიერი ანუ დენტალური (ლათ. dent “კბილი”) თანხმოვნები ეწოდება.

1.6.3. წინანუნისმიერი თანხმოვნები. ენის წვერი მჭიდროდ ებჯინება ან უახლოვდება წინა კბილების შიდა ღრძილის - ნუნის - ქვედა ნაწილს; წარმოქმნილი დახშული არის ჰაერნაკადით განხშვით თუ ნაპრალში გამომავალი ჰაერნაკადით წარმოითქმება ენა-წინანუნისმიერი თანხმოვნები: ძ, ც, წ; ზ, ს; ლ ბგერები, რომელთაც მოკლედ წინანუნისმიერი ანუ პრეალვეოლარული (ლათ. ალვეოლი) თანხმოვნები ეწოდება. ამავე რიგში წარმოითქმება ნ-ც: ფილტვებიდან ამომავალი ჰაერის ერთი ნაწილი სკდომით ხსნის ლოკალურ რიგში არსებულ დახშულობას, მეორე ნაწილი კი თავისუფლად გამოედინება ცხვირის ღრუში; შედეგად წარმოიქმნება ნუნისმიერ-ცხვირისმიერი ნ ბგერა, რომელსაც არ გააჩნია ყრუ სახესხვაობა.

1.6.4. უკანანუნისმიერი თანხმოვნები. ენის წვერი მჭიდროდ ებჯინება ან უახლოვდება წინა კბილების შიდა ღრძილის - ნუნის - ზედა ნაწილს; წარმოქმნილი დახშული არის ჰაერნაკადით განხშვით თუ ნაპრალში გამომავალი ჰაერნაკადით წარმოითქმება ენა-უკანანუნისმიერი თანხმოვნები: ჯ, ჩ, ჭ; ჟ, შ; რ, რომელთაც მოკლედ უკანანუნისმიერი ანუ პოსტალვეოლარული თანხმოვნები ეწოდება.

1.6.5. რბილსასისმიერი თანხმოვნები. ენის უკანა ნაწილი იწევა უკან და ზემოთ, მჭიდროდ ებჯინება რბილ სასას; წარმოქმნილი დახშული არე სკდება ფილტვებიდან ამომავალი ან ხახიდან გამომავალი მცირე მოცულობის ჰაერნაკადის დაწოლით; შედეგად წარმოითქმება გ, ქ, კ თანხმოვნები, რომელთაც ვუწოდებთ რბილსასისმიერ ან ველარულ (ლათ. ველუმ “აფრა, ფარდა“ სასისა) თანხმოვნებს.

1.6.6. ხახისმიერი თანხმოვნები. ენის ძირის უკანა ნაწილი მჭიდროდ ებჯინება ან უახლოვდება ხახის უკანა კედელს; წარმოქმნილი დახშული არის ჰაერნაკადით განხშვით თუ ნაპრალში გამომავალი ჰაერნაკადით წარმოითქმება ჯ⁸, ყ; ღ, ხ ბგერები, რომელთაც ვუწოდებთ ხახისმიერ (ფარინგალურ) ბგერებს.

1.6.7. ხორხისმიერი თანხმოვნები. ღია მდგომარეობაში მყოფი საარტიკულაციო აპარატში ხორხიდანვე წარმოითქმის ჰ თანხმოვანი, რომელსაც ხორხისმიერ ანუ ლარინგალურ ბგერას უწოდებენ.

ლოკალური რიგის (საწარმოთქმო ადგილის) გათვალისწინებით, ქართული ენის თანხმოვანები ასე შეიძლება დაჯგუფდეს:

წყვილბაგისმიერნი: ბ ფ კ ვ მ

⁸ ჯ ბგერა სალიტერატურო ენაში ადრე გამოიყენებოდა; დღეს აღარ გამოიყენება, მაგრამ აქ მაინც განვიხილავთ /თანამედროვე ქართველთა ნაწილი ცოცხალ მეტყველებაში იყენებს B ბგერასაც/.

კბილისმიერნი: დ თ ტ
წინანუნისმიერნი: ძ ც წ ზ ს ნ ლ
უკანანუნისმიერნი: ჯ ჩ ჭ ქ ჟ შ რ
რბილსასისმიერნი: გ ქ კ
ხახისმიერნი: ჳ ყ ღ ხ
ხორხისმიერი: ჰ

აქვე აღვნიშნავთ:

ერთი საწარმოთქმო ორგანოთი ნაწარმოებ ბგერებს ჰომორგანული ბგერები ეწოდება; ჰომორგანულია, მაგ.: ძ, ც, წ; სხვადასხვა ლოკალურ რიგში წარმოქმნილ ბგერებს ჰეტერორგანულ ბგერებს უწოდებენ; ჰეტერორგანულია, მაგ., ძ და ჯ (ბერძ. ჰომოს “მსგავსი“, ჰეტერო “სხვადასხვა“).

სამეცნიერო ლიტერატურაში ლოკალური რიგების მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახელწოდებები დასტურდება; ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე თვალსაზრისს:

გ. ახვლედიანის სქემა:

წყვილბაგისმიერნი: ბ ფ პ
ბაგე-კბილისმიერნი: ვ ჭ
ენაკბილისმიერნი: დ თ ტ ძ ც წ ზ ს
ენანუნისმიერნი: ჯ ჩ ჭ ქ ჟ შ
უკანანუნისმიერნი: გ ქ კ ხ ღ
ენისძირისმიერნი: ჳ ყ
ხორხისმიერნი: ჰჟ (სქემის სრული ვარიანტი იხ. დანართში).

ა. შანიძის სქემა:

ბაგისმიერნი: ბ ფ პ მ
კბილისმიერნი: დ თ ტ
წინა ნუნისმიერნი: ძ ც წ ზ ს
უკანა ნუნისმიერნი: ჯ ჩ ჭ ქ ჟ შ
უკანა სასისმიერნი: გ ქ კ ღ ხ
ხახისმიერნი: ყ

ხორხისმიერი: ჰ⁹.

ჰ. ფოგტის სქემა:

ლაბიალურნი: ბ ფ ვ მ

დენტალურნი: დ თ ტ ნ რ ლ

პოსტ-დენტალურნი: ძ ც წ ზ ს

პრეალვეოლარულნი: ჯ ჩ ჭ ჟ შ

პოსტ-პალატარულნი: გ ქ კ

ველარულნი: ჳ ყ ღ ხ

ლარინგალურნი: ჰ (სქემის სრული ვარიანტი იხ. დანართში).

რ. რობინსისა და ნ. ვატერსონის სქემა:

წყვილბაგისმიერნი: ბ ფ ვ მ ვ

კბილისმიერნი: დ თ ტ ნ

წინაენა-ნუნისმიერნი: ძ ც წ ზ ს ლ

უკანანუნისმიერი: რ

ნუნა-სასისმიერნი: ჯ ჩ ჭ ჟ შ

ენისმიერნი: გ ქ კ ღ ხ

უკანაენისმიერი: ყ

ხორხისმიერი: ჰ (სქემის სრული ვარიანტი იხ. დანართში).

თ. უთურგაიძის სქემა:

ბაგისმიერნი: ბ ფ ვ მ ვ

კბილისმიერნი: დ თ ტ ნ ლ

წინანუნისმიერნი: ძ ც წ ზ ს ნ ლ

შუანუნისმიერნი: ნ რ

უკანანუნისმიერნი: ჯ ჩ ჭ ჟ შ ნ

რბილსასისმიერნი: გ ქ კ ღ ხ ყ

სახმოსიმებისმიერი: ჰ (სქემის სრული ვარიანტი იხ. დანართში).

⁹ ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1980, გვ. 13-17.

1.7. ქართული ენის ჩქამიერ თანხმოვანთა დახასიათება ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედ-ვით. აფრიკატების საკითხი

სამეტყველო ბგერა შეიძლება იყოს ხშული, ნაპრალოვანი და ხშულ-ნაპრალოვანი (ერთდროულად ახასიათებს ორივე რაგვარობა). ჩქამიერ თანხმოვნებს ხშვა და ნაპრალი ერთდროულად არ ახასიათებთ, შესაბამისად, ჩქამიერი თანხმოვნები ორ ჯგუფად იყოფა: ხშულებად და ნაპრალოვნებად.

ხშული ბგერებია: ბ ფ ვ დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ; გ ქ კ ჯ ყ.

ხშული ბგერები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა:

- სამეტყველო ბგერები, რომელთა განხშვა ხდება მეყსეულად - სკდომით; ასეთებია: ბ ფ ვ დ თ ტ გ ქ კ ჯ ყ;

- სამეტყველო ბგერები, რომელთა განხშვა ლოკალურ რიგში ხდება ნაპრალის გაჩენა-გაფართოებით; ასეთებია ძ ც წ ჯ ჩ ჭ.

ხშულობის შედარებით ნელა მოშლა ზოგ მეცნიერს საფუძველს აძლევს, ისაუბროს ძ ც წ ჯ ჩ ჭ ბგერების ორმაგ რაგვარობაზე და მათ მიიჩნევს ხშულ-ნაპრალოვნებად. პროფ. შ. გაფრინდაშვილისა და პროფ. თ. უთურგაიძის სამართლიანი დასკვნით, დასახელებულ ბგერებს ერთდროულად არ ახასიათებთ ხშვა და ნაპრალი; გარდა ამისა, სხვა ხშულების მსგავსად და ნაპრალოვნებისგან განსხვავებით, შეუძლებელია ძ ც წ ჯ ჩ ჭ ბგერების გრძლად წარმოთქმა; შესაბამისად, ასეთ ბგერებს ე.წ. რთულ ბგერებად ვერ მივიჩნევთ.

შდრ. რთულ ბგერებად მისაჩნევია ისეთი ბგერები, რომელთაც ხშვა აქვთ პირში, ნაპრალი კი - ცხვირში (იხ. ქვემოთ “სონორები”); ყველა ჩქამიერი თანხმოვნის წარმოთქმისას რბილი სასა აწეულია ზემოთ და კეტავს

ცხვირის ღრუს; გამომდინარე აქედან, ჩქამიერ თანხმოვნებს რთულ ბგერებად ვერ მივიჩნევთ.

ქართულ ენაში ნაპრალოვანი ბგერებია: ზ ს ყ შ ლ ხ ჰ. ამ სამეტყველო ერთეულებს, არაიშვიათად, სპირანტებს ან ფრიკატივებს უწოდებენ.

მოცემულ ლოკალურ რიგში ჩქამიერი ბგერების ხშვა-განხშვისა და ნაპრალობაში წარმოთქმის პროცესი ასე შეიძლება აღვწეროთ:

წყვილბაგისმიერი თანხმოვნები: ბ ფ ვ წარმოითქმება ერთმანეთს მჭიდროდ მიბჯენილი ზედა და ქვედა ბაგეების მიერ შექმნილი დახშულობის სკდომით; კ-ს წარმოთქმისას დახშულია ყიაც - ამ ბგერის წარმოთქმის დროს ჰაერი არ ამოდის ფილტვებიდან.

კბილისმიერი თანხმოვნები: დ თ ტ წარმოითქმება ენის წვერისა და ზედა კბილების მჭიდროდ მიბჯენით შექმნილი დახშული არის ჰაერნაკადით სკდომით; ტ-ს წარმოთქმისას დახშულია ყიაც - არც ამ ბგერის წარმოთქმის დროს ამოდის ჰაერი ფილტვებიდან.

წინანუნისმიერი თანხმოვნები: ძ ც, წ წარმოითქმება ენის წინა ნაწილისა და წინ ნუნების მჭიდროდ მიბჯენით შექმნილი დახშული არის ჰაერნაკადით მოშლით; წ-ს წარმოთქმისას დახშულია ყიაც - არც ამ ბგერის წარმოთქმის დროს ამოდის ჰაერი ფილტვებიდან.

უკანანუნისმიერი თანხმოვნები: ჯ, ჩ, ჰ წარმოითქმება ენის წინა ნაწილისა და უკანა ნუნების მჭიდროდ მიბჯენით შექმნილი დახშული არის ჰაერნაკადით მოშლით; ჰ ბგერაც ყელხშულია (გლოტალიზებულია).

რბილსასისმიერი ხშულები: გ ქ კ წარმოითქმება ენის ზურგის უკანა ნაწილის რბილ სასასთან მიბჯენით წარმოქმნილი დახშული არის სკდომით; კ ბგერაც ყელხშულია.

ხახისმიერი ხშულები: ჳ ყ წარმოითქმება ენის ძირის ხახის უკანა კედელზე მიბჯენით წარმოქმნილი დახშული არის ჰაერნაკადით სკდომით; ყ ყელხშული ბგერაა¹⁰.

ზ და ს წინანუნისმიერი ნაპრალოვანი თანხმოვნები წარმოითქმება ენის წინა ნაწილისა და წინა ზედა კბილების მიერ შექმნილ ნაპრალში.

ჟ და შ უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი თანხმოვნები წარმოითქმება ენის წინა ნაწილისა და უკანა ნუნას შორის არსებულ ნაპრალში.

ღ და ხ ხახისმიერი ნაპრალოვანი თანხმოვნები წარმოითქმება ხახის უკანა კედელზე ენის ძირის მიახლოებით წარმოქმნილ ნაპრალში.

ჰ ხორხისმიერი თანხმოვანი წარმოითქმის ღია მდგომარეობაში მყოფი საარტიკულაციო აპარატში; ამ ბგერის წარმოითქმის დროს საარტიკულაციო აპარატში რაიმე სახის დაბრკოლება არ იქმნება; ამ თვალსაზრისით ის ემსგავსება ხმოვნებს, თუმცა ჰ-ს წარმოებისას სახმო სიმები არ ჟღერს; შესაბამისად, ჰ ყრუ ბგერაა (იხ. ქვემოთ).

ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედვით ქართული სამწიგნობრო ენის ჩქამიერ თანხმოვანთა ორივე ჯგუფი ასე გამოიყურება:

ხშულები: ბ ფ პ დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ გ ქ კ ჳ ყ

ნაპრალოვნები: ზ ს ჟ შ ღ ხ ჰ

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთნაირი რაგვარობის ბგერებს (მაგ., ხშულებს: ძ ც წ; ნაპრალოვნებს: ზ, ს) ჰომოგენურ სამეტყველო ბგერებს უწოდებენ, განსხვავებული რაგვარობისას (მაგ., ძ და ზ) კი - ჰეტეროგენურ ბგერებს (გენი

¹⁰ ზოგი სპეციალისტი ყ-ს ნაპრალოვნად მიიჩნევს; ზოგის აზრით, ყ ბგერა ზოგ პოზიციაში ნაპრალოვანია, ზოგ პოზიციაში კი - ხშული (იხ. ქვემოთ).

- “წარმომავლობა“, “მოდგმა“; ძვ. ბერძნული: γένος; ჩვენს შემთხვევაში - “რაგვარობა“).

შდრ. სხვა მეცნიერთა განსხვავებული კვალიფიკაციები:

გ. ახვლედიანი, როგორც ზემოთ ითქვა, ძ ც წ ჯ ჩ ჭ თანხმოვნებს რთულ ბგერებად - აფრიკატებად (ლათ. აფფრიცარე ხეხვა) - მიიჩნევს, ხოლო ბ ფ ვ დ თ ტ გ ქ კ (ვ)ყ თანხმოვნებს - მარტივად (იხ., ასევე, დანართში წარმოდგენილი სქემა); გარდა ამისა, მისი აზრით, ყოველი აფრიკატი, ჩვეულებრივ, შედგება ორი კომპონენტისაგან; ხშული+ნაპრალოვანი: ძ < დ+ზ, ც < თ+ს, წ < ტ+ს, ჯ < დ+ჟ, ჩ < თ+შ, ჭ < ტ+შ; აფრიკატის თითოეული კომპონენტი რედუცირებული სახით არის წარმოდგენილი: აფრიკატი იწყება ხშვით და სკდომის მოუხდენლად გადადის ნაპრალისებურ გაგრძელებაში.

ასეთი ანალიზი ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს; საერთოქართველური ენიდან მომდინარე ძ ც წ ჯ ჩ ჭ ბგერები ჩვეულებრივი მარტივი ბგერებია, ისინი წარმოქმნილნი არ არიან ბგერათა შერწყმით; გარდა ამისა, თ. უთურგაიძის მართებული შენიშვნით, მაგ., ძ-ს ე.წ. კომპონენტები: დ და ზ ერთმანეთს ვერ შეერწყმიან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი ჰეტერორგანული სამეტყველო ბგერები არიან; მათ, როგორც ნებისმიერ სხვა თანხმოვნებს, შეუძლიათ ერთმანეთზე იქონიონ რაიმე სახის გავლენა, მაგრამ შერწყმა გამოირიცხულია.

ე.წ. აფრიკატებს ცალკე ჯგუფად გამოყოფენ რ. რობინსი და ნ. ვატერსონი; კერძოდ, ჩვენ მიერ ხშულებად განხილულ სამეტყველო ერთეულებს ისინი ორ ჯგუფად წარმოადგენენ: მსკდომები: ბ ფ ვ დ თ ტ გ ქ კ
აფრიკატები: ძ ც წ ჯ ჩ ჭ.

3. ფოკტიც ცალკე გამოყოფს ძ ც წ ჯ ჩ ჭ ბგერებს და მათ ნახევრადხშულებად თვლის; თუმცა, მეტყველების ნაკადში

ქცევის მიხედვით, იგი ე.წ. ნახევრადხშულებს (აფრიკატებს) ჩვეულებრივ ხშულებად მიიჩნევს¹¹.

დასასრულ, წარმოდგენილი ინფორმაცია ასე შეგვიძლია შევაჯამოთ: ბ ფ ჰ დ თ ტ გ ქ კ და ძ ც წ ჯ ჩ ჭ ხშულების განხშვას შორის არსებობს მცირეოდენი განსხვავება: პირველი რიგის ბგერების ხშვის მოშლა ხდება სწრაფად - სკდომით, ხოლო მეორე რიგის ბგერებისა - შედარებით ნელა - საწარმოთქმო რიგში გაჩენილი ნაპრალი ნელა იზრდება - ხშულობის მოშლა შედარებით ნელა ხორციელდება; ეს განსხვავება არსებით მოვლენად ვერ ჩაითვლება: ორივე შემთხვევაში ბგერათა შემართვისას საარტიკულაციო აპარატში - ლოკალურ რიგში - გვაქვს სრულფასოვანი ხშვაც და განხშვაც; ის ფაქტი, რომ ერთ შემთხვევაში განხშვა ხდება ნაპრალის სწრაფად გაჩენით, მეორე შემთხვევაში კი - ნელა, არსებით (რელევანტურ) მახასიათებლად ვერ ჩაითვლება; რაც მთავარია, ე.წ. აფრიკატების შემთხვევაში ერთჟამიერად (ერთდროულად) არ გვაქვს ხშვა და ნაპრალი (მსგავსი შერეული რაგვარობა ზოგ სონორს ახასიათებს).

¹¹ ჰ. ფოგტი: "ფუნქციონალური განსხვავება დენტალური ხშულების კლასში წმინდა ხშულებსა და ნახევრადხშულებს შორის ნაკლებად მკაფიოა... დენტალურ ხშულებში ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ საკუთრივ ხშულებს, არამედ სისინა და შიშინა ნახევრადხშულებსაც (აფრიკატებს)".

1.8. ქართული ენის ჩქამიერ თანხმოვანთა დახასიათება მჟღერობა-სიყრუისა და ფშვინვიერობა-მკვეთრობის მიხედვით

ზოგი თანხმოვნის წარმოთქმისას სახმო სიმები ჟღერს, შესაბამისად, ვიღებთ მჟღერ თანხმოვნებს; როგორც თანხმოვანთა დამახასიათებელი ნიშნების განხილვისას ითქვა, ზოგ შემთხვევაში სამეტყველო ბგერის წარმოთქმის ეფექტს ქმნის დიდი მოცულობის ჰაერის ნელი გამოსვლა (მოძრაობა) პირის ღრუდან, ან მცირე მოცულობის ჰაერის სწრაფად (/მკვეთრად) გამოდევნა; შესაბამისად, ვიღებთ ყრუ-ფშვინვიერ (სუნთქვისმიერ, ასპირაციულ; ასპირაცია - ლათ. ასპირატიო - “ქროლა“, “ნიავი“) და ყრუ-მკვეთრ თანხმოვნებს.

მჟღერობა-სიყრუისა და ფშვინვიერობა-მკვეთრობის მიხედვით ქართული ენის სამეტყველო ბგერები ასე დახასიათდება:

წყვილზაგისმიერი ჩქამიერი თანხმოვნებიდან მჟღერია ბ; მისი წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი აჟღერებს სახმო სიმებს, შესაბამისად, ბ მჟღერი ბგერაა; ფ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი მოცულობითი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ფ ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერაა; კ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის: ბგერის წარმოსათქმელად აუცილებელი ხმა მიიღება პირის ღრუში არსებული ჰაერის მკვეთრი გამოდევნით.

კბილისმიერი ჩქამიერი თანხმოვნებიდან მჟღერია დ; მისი წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი აჟღერებს სახმო სიმებს, შესაბამისად, დ მჟღერი ბგერაა; თ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი მოცულობითი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ტ ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერაა; ტ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის: ბგერის წარმოსათქმელად აუცილებელი ხმა მიიღება პირის ღრუში არსებული ჰაერის მკვეთრი გამოდევნით.

წინანუნისმიერი ჩქამიერი თანხმოვნებიდან მჟღერია ძ და ზ; მათი წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი აჟღერებს სახმო სიმებს, შესაბამისად, ძ და ზ მჟღერი ბგერებია; ც-სა და ს-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი მოცულობითი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ც და ს ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერებია; წ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის: ბგერის წარმოსათქმელად აუცილებელი ხმა მიიღება პირის ღრუში არსებული ჰაერის მკვეთრი გამოდევნით.

უკანანუნისმიერი ჩქამიერი თანხმოვნებიდან მჟღერია ჯ და ჟ; მათი წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი აჟღერებს სახმო სიმებს, შესაბამისად, ჯ და ჟ მჟღერი ბგერებია; ჩ-სა და შ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი მოცულობითი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ჩ და შ ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერებია; ჭ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის: ბგერის წარმოსათქმელად აუცილებელი ხმა მიიღება პირის ღრუში არსებული ჰაერის მკვეთრი გამოდევნით.

რბილსასისმიერი ჩქამიერი თანხმოვნებიდან მჟღერია გ; მისი წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი

აჟღერებს სახმო სიმებს, შესაბამისად, გ მჟღერი ბგერაა; ქ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი მოცულობითი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ქ ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერაა; კ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის: ბგერის წარმოსათქმელად აუცილებელი ხმა მიიღება ხახაში არსებული ჰაერის მკვეთრი გამოდევნით.

ხახისმიერი ჩქამიერი ნაპრალოვანი თანხმოვნებიდან მჟღერია ღ; მისი წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი აჟღერებს სახმო სიმებს. ხ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ხ ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერაა. ქართულში არ გვაქვს ხახისმიერი ხშული მჟღერი ბგერა; ჳ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი მოცულობითი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ჳ ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერაა; ყ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის: ბგერის წარმოსათქმელად აუცილებელი ხმა მიიღება ხახის ზემო ნაწილში დარჩენილი ძალიან მცირე მოცულობის ჰაერის მკვეთრი გამოდევნით.

ხორხისმიერი ჩქამიერი თანხმოვნებიდან ქართულ სამწიგნობრო ენას მხოლოდ ჰ ბგერა აქვს; ჰ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან ამომავალი მოცულობითი ჰაერი არ აჟღერებს სახმო სიმებს - ჰ ყრუ ფშვინვიერი (სუნთქვისმიერი) ბგერაა.

მჟღერობა-სიყრუისა და ფშვინვიერობა-მკვეთრობის მიხედვით ქართული ენის სამეტყველო ბგერები ასე დაჯგუფდება:

მჟღერები: ბ დ ძ ჯ გ ზ ქ ღ

ყრუ ფშვინვიერები: ფ თ ც ჩ ქ ს შ ხ ჳ ჰ

ყრუ მკვეთრები: პ ტ წ ჭ კ ყ

მჟღერობა-სიყრუისა და ფშვინვიერობა-მკვეთრობის მიხედვით ქართული ენის სამეტყველო ბგერათა ასეთი კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევს; შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული კვალიფიკაციები არ არის. დავამატებთ მხოლოდ ერთს:

გარკვეული პირობითობით ორ მჟღერ, ორ ყრუ-ფშვინვიერ თუ ორ მკვეთრ მგერასაც შეიძლება ვუწოდოთ ჰომოგენური სამეტყველო ბგერები.

1.9. ქართული ენის სონორ თანხმოვანთა დახასიათება

სონორობა გულისხმობს სახმო სიმების პერიოდულ ჟღერასა და ზესადგამი მილიდან (საარტიკულაციო არეალიდან) დიდი მოცულობით ჰაერის გამოდევნას; მოკლედ, სონორობა ხმასავსეობაა.

მჟღერ ბგერებში სონორობით გამოირჩევა ხმოვნები. ხმოვანთა შორის ყველაზე მეტად ხმასავსეა ა ხმოვანი, რამდენადაც ის ყველაზე ფართოდ გაღებული საარტიკულაციო აპარატით წარმოითქმის - ამ დროს ყველაზე მეტი ხმა გამოდის პირიდან. სონორობის კლების მიხედვით, ხმოვნები ასე ლაგდება: ა > ე > ო > ი > უ.

თანხმოვნებს შორის სახმო სიმების პერიოდული რხევა ახასიათებთ მხოლოდ მ, ნ, რ, ლ და წყვილბაგისმიერ ვ ბგერებს; ამავე დროს, ამ ბგერების წარმოითქმის დროს ფილტვებიდან ამოდის დიდი მოცულობის ჰაერი, შესაბამისად, დასახელებული ბგერები სონორ თანხმოვნებად ითვლება. სონორულ თანხმოვნებად უნდა მივიჩნიოთ ასევე, ი და უ ხმოვნების უმარცვლო ვარიანტები: „ და ჟ/ვ

(რომლებიც ვლინდებიან თანამედროვე ქართულ ზეპირ მეტყველებაშიც)¹².

ხმოვნებისგან განსხვავებით, სონორი ბგერების წარმოთქმისას ჰაერის ნაკადის გამოსვლას აფერხებს საარტიკულაციო აპარატში შექმნილი დაბრკოლებები, ხოლო სხვა მჟდერი თანხმოვნებისგან განსხვავებით, სონორ ბგერებს არ გააჩნიათ იმავე ლოკალურ რიგში ნაწარმოები ყრუ ვარიანტები.

ქართული ენის სონორი თანხმოვნების წარმოთქმა ასე შეიძლება აღვწეროთ:

წყვილბაგისმიერი ვ/ჟ ზედა და ქვედა ბაგეების მიახლოებით შექმნილ ნაპრალში წარმოქმნილი თანხმოვანია; ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი პერიოდულად არხევს სახმო სიმებს; სახმო სიმების პერიოდულ ჟდერას კონკრეტულ ხმად აყალიბებს ბაგეებთან შექმნილი დაბრკოლება.

წყვილბაგისმიერი მ-ს წარმოთქმის დროს ზედა და ქვედა ბაგეების მიბჯენით იქმნება ხშვა; შემართვისა და დაყოვნების პროცესში ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი, რომელიც პერიოდულად არხევს სახმო სიმებს, გამოედინება ცხვირის ღრუდან; მ-ს არტიკულაციის დასრულების (დამართვის) ეტაპზე ხდება განხშვაც. სახმო სიმების ჟდერას კონკრეტულ ხმად აყალიბებს ცხვირის ღრუს (როგორც რეზონატორის) ღია სივრცეც და ბაგეებთან შექმნილი დაბრკოლებაც: მ-ს ერთდროულად ახასიათებს ნაპრალოვნობაც და ხშულობაც, რის გამოც, შესაძლებელია მისი მიჩნევა რთულ თანხმოვნად.

¹² სამეცნიერო ლიტერატურაში მ, ნ, რ, ლ სონორები ზოგჯერ სონანტებად იხსენიება (იხ., მაგ., ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 10); ქართულ სინამდვილეში აუცილებელია, ერთმანეთისგან განვასხვაოთ სონანტი და სონორი; "სონანტი" ზოგჯერ მარცვლოვან ბგერად რეალიზდება, "სონორი" - არასოდეს.

მ სონორის უფრო შესაფერისი სახელია ბაგისმიერ-ცხვირისმიერი სონორი; შდრ. ბაგისმიერ ორ სონორთაგან ერთი მხოლოდ პირისმიერია (ვ), მეორე კი (მ) - პირისმიერ-ცხვირისმიერი.

წინაუნისმიერი ლ თანხმოვნის შემართვისა და დაყოვნების პროცესში ენის წინა ნაწილი მჭიდროდ მიბჯენილია ნუნის ქვედა ნაწილზე (ზოგჯერ - კბილებზეც), ხოლო ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი, რომელიც პერიოდულად აჟღერებს სახმო სიმებს, გამოედინება ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შორის დარჩენილი ნაპრალიდან; ლ-ს წარმოთქმა სრულდება კბილებთან არსებული ხშულობის განხშვით. ჩქამიერი ბგერებისგან განსხვავებით, ლ-ს წარმოთქმისას ერთდროულად არსებობს ხშვაც და ნაპრალიც; შესაბამისად, მ-ს მსგავსად, ლ-ც რთული თანხმოვანია. სახმო სიმების პერიოდულ ჟღერას კონკრეტულ ხმად აყალიბებს ენის გვერდით ნაწილებსა და ლოყის კედელს შუა არსებულ ნაპრალში გამომდინარე ჰაერის მოძრაობაც და კბილებთან არსებული ხშულობის მოშლაც, ამიტომაც ლ სონორის უფრო ზუსტი სახელი იქნება ნუნისმიერ-გვერდითი სონორი. რამდენადაც მხოლოდ ლ-ს წარმოთქმისას მონაწილეობს ენის გვერდითი ნაწილები, შემოკლებით ლ-ს გვერდითს, უცხოურად კი - ლატერალს (ლათ. ლატუს - გვერდი, ლატერალის) უწოდებენ.

წინაუნისმიერი ნ ბგერის წარმოთქმისას ენის წინა ნაწილი და ნუნის ქვედა ნაწილი ქმნიან დახშულ არეს¹³; ნ-ს შემართვისა და დაყოვნების პროცესში ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი პერიოდულად არხევს სახმო სიმებს

¹³ სხვადასხვა ბგერასთან მეზობლობის დროს ნ-ს ხშვა შეიძლება განხორციელდეს წინა კბილებთანაც და ნუნის ზედა ნაწილშიც (ამის გამო, პროფ. თ. უთურგაიძე ნ-ს განიხილავს კბილბაგისმიერებთანაც და უკანანუნისმიერებთანაც).

და გამოედინება ცხვირის ღრუდან; ნ-ს არტიკულაციის დასრულების (დამართვის) ეტაპზე ხდება კბილებთან არსებული დაბრკოლების განხშავა. სახმო სიმების პერიოდულ ჟღერას კონკრეტულ ხმად აყალიბებს ცხვირის ღრუს (როგორც რეზონატორის) ღია სივრცეც და კბილებთან შექმნილი დაბრკოლებაც. შესაბამისად, მ და ლ ბგერების მსგავსად, ნ-ს ერთდროულად ახასიათებს ნაპრალოვნობაც და ხშულობაც, რის გამოც, შესაძლებელია მისი მიჩნევა რთულ თანხმოვნად. ნ სონორის უფრო ზუსტი სახელი იქნება ნუნისმიერ-ცხვირისმიერი სონორი. შდრ. წინანუნისმიერ ორ სონორთაგან ერთი მხოლოდ პირისმიერია (ლ), მეორე კი (ნ) - პირისმიერ-ცხვირისმიერი.

უკანანუნისმიერი რ ბგერის წარმოქმნისას ენის წვერი უახლოვდება უკანა ნუნას. რ-ს შემართვისა და დაყოვნების პროცესში ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი პერიოდულად აჟღერებს სახმო სიმებს და გამოედინება ენის წვერსა და უკანა ნუნას შორის შექმნილ ნაპრალში¹⁴, პარალელურად თრთის (სწრაფად ირხევა - ვიბრირებს) ენის წვერი. სახმო სიმების პერიოდულ ჟღერას კონკრეტულ ხმად აყალიბებს ენის წვერის თრთოლა - ვიბრაცია; შესაბამისად, რ სონორის უფრო ზუსტი სახელი იქნება ნუნისმიერი მთრთოლი სონორი, შემოკლებით - ვიბრანტი.

¹⁴ შდრ., გ. ახვლედიანის მიხედვით, რ-ს წარმოქმნის დროს ხშვა და ნაპრალი მონაცვლეობს, "საბოლოო ანგარიშში, მივიღებთ შერეული რაგვარობის მყოვარ თანხმოვანს". ამ მსჯელობის მიუხედავად, გ. ახვლედიანის ცხრილში რ ლ-ს გვერდით არახშულთა გრაფაშია მოქცეული.


1.10. სამეულები, წყვილები, ცალელები. დისკუსია ყ ბგერის შესახებ. თანხმოვანთა პარადიგმატული ცხრილი¹⁵

შესწავლილი მასალიდან ცხადია, რომ ქართული სამწიგნობრო ენის თითოეული თანხმოვანი შეიძლება დახასიათდეს, სულ მცირე, ერთი და არაუმეტეს - სამი აუცილებელი მახასიათებლით - რელევანტური (დიფერენციალური) ნიშნით; მაგ., ქართულ სალიტერატურო ენაში ერთადერთია ხორხისმიერი თანხმოვანი, შესაბამისად, სხვა ბგერებისგან მის გასამიჯნად სრულიად საკმარისია ჰ-ს ლოკალური რიგის მითითება. სხვა შემთხვევებში, როგორც წესი, აუცილებელია მრავალ მახასიათებელთაგან სამი მახასიათებლის გამორჩევა; მაგ., სხვა ბგერათაგან ძ ბგერის გამოსარჩევად, აუცილებელია სამი ნიშანი: წინანუნისმიერობა, მჟღერობა და ხშულობა, რამდენადაც, მხოლოდ ლოკალური რიგი განასხვავებს მას დ-სგან, მხოლოდ მჟღერობა განასხვავებს მას ც-სგან და მხოლოდ ხშულობა განასხვავებს მას ზ-სგან.

პარადიგმატული ცხრილის აგებისას აუცილებელია ერთმანეთის მეზობლად განლაგდეს ერთმანეთისგან მინიმალურად განსხვავებული თანხმოვნები; მაგ., ზ ბგერა ს-

¹⁵ 1.10 პარაგრაფი შემაჯამებელია; წინა პარაგრაფებში წარმოდგენილი ინფორმაციის შეჯერებით, პარაგრაფის ბოლოს ჩამოვყალიბებთ ქართული ენის თანხმოვანთა ერთიან ცხრილს, სადაც ერთმანეთთან მიმართებით - ერთიან პარადიგმაში - განვალაგებთ ქართული ენის თანხმოვნებს. კარგი იქნება, თუკი სწავლის პროცესში სტუდენტი კრიტიკულად მიუდგება სამეტყველო ბგერების სახელდებასა თუ დახასიათებას და სასწავლო კურსის დასრულების ბოლოს საკუთარ პარადიგმატულ ცხრილს ააგებს.

სგან განსხვავდება მხოლოდ მჟღერობით, ჟ-სგან - მხოლოდ ლოკალური რიგით, ზ-სგან კი - ხშულობით; დასახელებული ბგერების რელევანტური ნიშნები სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



არსებული ტრადიციის მიხედვით, გამოიყოფა თანხმოვნთა ორი ძირითადი ჯგუფი: ჩქამიერები და სონორები; ჩქამიერი თანხმოვნები, თავის მხრივ, იყოფა სამეულებად, წყვილეულებად და ცალეულებად; კერძოდ:

ჰომორგანული ხშული ბგერები ქმნიან ხუთ სრულყოფილ და ერთ ნაკლულოვან სამეულს; ამათგან პირველი მჟღერია, მეორე - ყრუ-ფშვინვიერი, მესამე - ყრუ-მკვეთრი:

ბაგისმიერნი	ბ	ფ	ჰ
კბილისმიერნი	დ	თ	ტ
წინანუნისმიერნი	ძ	ც	წ
უკანანუნისმიერნი	ჯ	ჩ	ჭ
რბილსასისმიერნი	გ	ქ	კ
ხახისმიერნი	--	ჭ	ყ

სამწიგნობრო ქართულის ჰომორგანული ნაპრალოვანი ბგერები კი სამ სრულყოფილ და ერთ ნაკლულოვან წყვილელულს ქმნიან (დიალექტებში ოთხივე წყვილელული სრულფასოვანია); ამათგან პირველი მჟღერია, მეორე - ყრუ-ფშვინვიერი; შდრ.:

წინანუნისმიერნი	ზ	ს
უკანანუნისმიერნი	ჟ	შ
ხახისმიერნი	ღ	ხ
ხორხისმიერნი ¹⁶	ც	ჰ

სონორ თანხმოვნებს /ვ, მ, ლ, ნ, რ/ ჰომორგანული ყრუ და მკვეთრი ვარიანტები არც ახლა მოეპოვებათ და არც ისტორიულად ივარაუდება მათი არსებობა, შესაბამისად, მათ სხვა ბგერებთან მიმართებით ცალკე აღარ განვიხილავთ.

ჩვენეული შემაჯამებელი პარადიგმატული ცხრილის წარმოდგენამდე მოკლედ შევეხებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ დისკუსიას ყ ბგერის შესახებ:

ჰ ტ წ ჭ კ ბგერებისგან განსხვავებით, სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა ყ-ს ყელხშულობა; კერძოდ:

გ. ახვლედიანის აზრით, “ყ არაა წმინდა მეყსეული“, ე.ი. არაა “სავსებით ხშული“; ეს იმიტომ, რომ ყ-ს აქვს სპირანტისებური ჩქამი შემართვაში. მიუხედავად ამისა, მას ყ

¹⁶ ხორხისმიერი მჟღერი ვლინდება ქართველურ კილოებში.

არ შეაქვს არც აფრიკატებში და არც - არახშულებში: ყ-ს წარმოთქმაში ნაპრალის დაშვების მიუხედავად, ცხრილში ყ ხშულთა გრაფაშია მოქცეული და ხასიათდება, როგორც: “მარტივი“, “ხშული“, “მკვეთრი“. სპირანტოიდად მიიჩნევა ყ-ს ს. ჟღენტიც, თ. გამყრელიძეც, თ. უთურგაიძეც...

ყ ხშულ თანხმოვნად მიაჩნიათ: ა. შანიძეს, გ. დოლიძეს, ჰ. ფოგტს, რ. რობინსსა და ნ. ვატერსონს (თუმცა, ეს უკანასკნელნი ხმოვნებშია პოზიციაში ადასტურებენ ნაპრალოვან ალოფონსაც)...

ჩვენი აზრით, ყ გლოტალიზებული და ამავე დროს ხშული ბგერაა, რომელიც, ჰ ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნის მსგავსად, წარმოითქმის ხახის უკანა კედელზე ენის ძირის მიბჯენით წარმოქმნილი ხშულობის განხშვით.

წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებით, ქართული სამწიგნობრო ენის თანხმოვანთა სისტემის ამსახველი პარადიგმატული ცხრილი ასეთ სახეს იღებს:

რიგო	ლიაობა	ხშული			ნაპრალ.		სონორი	
	მჟღ.	ფშ.	მკვ.	მჟღ.	ფშ.	პირი	ცხვრ.	
ბაგისმიერი	ბ	ფ	პ			ვ	მ	
კბილისმიერი	დ	თ	ტ					
წინანუნისმიერი	ძ	ც	წ	ზ	ს	ლ	ნ	
უკანანუნისმიერი	ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ	რ		
რბილსასისმიერი	გ	ქ	კ					
ხახისმიერი		კ	ყ	ღ	ხ			
ხორხისმიერი				ც	ჭ			

შენიშვნა: რიგო - საწარმოთქმო ადგილი;

ლიაობა - რაგვარობა.

სამეტყველო ბგერები შეიძლება დაჯგუფდეს მეტყველების ნაკადში ქცევის მიხედვითაც; კერძოდ, ტექსტი სიტყვათა მოწესრიგებული “ჯაჭვია“, სიტყვა კი - ერთმანეთთან შეგუებულ ბგერათა “ძეწკვი“; მოცემული

სიტყვის უშუალო მეზობლობაში მყოფი ბგერები ერთმანეთზე მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენენ (რამდენადაც მოცემული ბგერის შემართვა ებმის წინამავალის დამართვას); შედეგად, არაიშვიათად, ბგერები ცვლილებებს განიცდიან. მეზობელზე გავლენის მოხდენის უნარისა თუ გავლენისადმი მდგრადობის მიხედვით სამეტყველო ბგერები რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა (ეს და მსგავსი საკითხები გათვალისწინებულია მაგისტრატურის სასწავლო კურსებით).

1.11. ქართულენოვან ტექსტში სამეტყველო ბგერათა გამოვლენის სიხშირე

ტექსტში ბგერების გამოვლენის სიხშირე დამოკიდებულია აფიქსთა შემადგენლობაზეც. ქვემოთ მოცემულია 3 000 გვერდის მოცულობის ელექტრონულ ტექსტში ბგერათა გამოვლენის სიხშირე:

	ასო	რაოდენობა	%
1	ა	334,222	16.56688
2	ბ	220,358	10.92281
3	გ	167,015	8.27868
4	დ	115,568	5.72853
5	ე	115,427	5.72154
6	ვ	112,856	5.59410
7	ზ	103,009	5.10600
8	თ	96,958	4.80606
9	ი	80,796	4.00494
10	კ	79,160	3.92384
11	ლ	75,294	3.73221
12	მ	63,998	3.17228
13	ნ	62,286	3.08742
14	ო	52,653	2.60993
15	პ	46,999	2.32967
16	ჟ	40,137	1.98953
17	რ	31,306	1.55179
18	ს	29,021	1.43853
19	ტ	27,072	1.34192
20	უ	21,367	1.05913
21	ფ	19,682	0.97561
22	ყ	19,505	0.96683
23	ჩ	15,376	0.76216
24	ც	14,997	0.74338
25	ც	13,208	0.65470
26	ძ	12,324	0.61088
27	წ	12,220	0.60573
28	ძ	10,016	0.49648
29	ჭ	9,010	0.44661
30	ხ	5,580	0.27659
31	ჭ	5,317	0.26356
32	ხ	3,557	0.17632
33	ც	1,117	0.05537
	ჯამში	2,017,411	

II თავი

ბგერათკომპლექსი. მარცვალი. მახვილი

2.1. ბგერათმომდევრობის სახეები

ორი სამეტყველო ბგერა (სულ მცირე) ქმნის ბგერათმომდევრობას; თეორიულად მოსალოდნელ ბგერათმომდევრობებს შორის ერთი ნაწილი არასოდეს რეალიზდება მოცემული ბგერების შეუთავსებლობის გამო; მაგ., ერთმანეთთან მიმართებით ასეთია ჰომორგანული და ჰეტეროგენული ბგერები; მაგ.: დ და თ, გ და ქ ქ და შ...

ბგერათმომდევრობის მეორე ნაწილი მოცემული ენისათვის ბუნებრივია; ასეთი ბგერათმომდევრობა ვლინდება ენაში უკვე არსებულ მორფემებში (დაუშლელ მორფოლოგიურ ერთეულებში). როგორც წესი, ბუნებრივ ბგერათკომპლექსს ქმნის: ხმოვანი და თანხმოვანი (ას, აგ, ოქ, სა, გა, ქო, რე...), ჰომოგენური და ჰეტეროგანული ჩქამიერი თანხმოვანი (ბგ, დგ, ფქ, თქ, ჰკ, ტკ) და სხვ.

ბგერათმომდევრობის მესამე ჯგუფს ქმნის ისეთ ჰეტეროგანულ და ჰომოგენურ თანხმოვანთა მიმდევრობა, რომელთაგან პირველი ბაგისმიერი ან წინაენისმიერია, მეორე კი - ლ, ხ ნაპრალოვნები ან ყ. ასეთი მიმდევრობის ელემენტები ერთმანეთთან ისე ჰარმონიულადაა შეთვისებული, რომ მათი წარმოთქმა თითქმის ერთდროულად ხდება; ამის გამო მათ ჰარმონიულ თანხმოვანთკომპლექსებს უწოდებენ; ასეთია, მაგ., ბლ თანხმოვანთმომდევრობა (იხ. ბგერათშეერთების III წესი).

ქართულ ენაში სიტყვათა ძირითადი ნაწილი იქმნება მორფემათა (ფუძისა და აფიქსების) შეერთებით. შესაბამისად, მორფემათა ზღვარზე წარმოიქმნება ახალი ბგერათმომდევრობები, რომელთა ნაწილი შეიძლება საერთოდ არ დასტურდება ერთი მორფემის ფარგლებში /რამდენადაც ასეთი ბგერათმომდევრობა არაბუნებრივია ქართულისათვის/; ასეთ შემთხვევაში ენა ცდილობს, მეტყველების პროცესში ახალწარმოქმნილი არაბუნებრივი ბგერათმომდევრობა დაამსგავსოს ბუნებრივ ბგერათკომპლექსს; ამ დროს ხორციელდება ფონეტიკური პროცესები; მაგ., ა-კეთ-ებ-ს ზმნაში მორფემათა ზღვარზე წარმოიქმნება ბს არაბუნებრივი კომპლექსი; მეტყველებაში ასეთი ბგერათმომდევრობა ვერ გამოითქმის, შესაბამისად, ან ბ ბგერა ყრუვდება და ემსგავსება ს-ს, ან ს მჟღერდება და ვიღებთ რომელიმე ბუნებრივ /ფს, ბზ/ კომპლექსს.

ერთი მორფემის ფარგლებში ქართული ენისთვის ნაკლებდამახასიათებელია ჩქამიერ თანხმოვანთა კომპლექსი და ხმოვანთკომპლექსი, თუმცა, თანხმოვანთკომპლექსთაგან გამონაკლისია ჰარმონიული თანხმოვანთკომპლექსები, ხმოვანთკომპლექსთაგან კი - იდენტურხმოვნისანი ან სონანტური ბუნების ი-სა და უ-ს შემცველი კომპლექსები. ქართული სამწიგნობრო ენის¹⁷ და დიალექტური მასალის ერთი ნაწილის მიხედვით ხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირის პროცენტი ასე გამოიყურება:

	სალიტ. ქართ.	გლ-ოლური	აჭარ.	ხევსურ.	ლეჩხუმ.	ფშ-აური
აა	6,75	11,6	8,49	8	6,75	6
აე	3,29	7,6	0,55	6	—	0,76
აო	2,53	2,4	0,27	6	1,69	9

¹⁷ სალიტერატურო ენის მონაცემები დადგენილია 3000-გვერდიანი ელექტრონული ტექსტის მიხედვით.

აი	10,61	10	15,61	29	1,69	19
აუ	6,12	10	0,27	12	2,95	9
ეა	1,77	1,2	0,55	0,2	—	0,3
ეე	2,23	2,0	1,92	2,9	4,22	5
ეო	3,76	0,4	0,27	0,17	0,42	3
ეი	2,46	1,6	23,29	2,1	24,89	1,3
ეუ	3,26	2	0,82	—	1,26	1
ოა	2,01	6	0,27	0,1	2,95	2
ოე	2,84	2,8	0,27	0,4	0,42	0,5
ოო	0,26	—	0,27	0,7	0,84	0,9
ოი	3,21	8,8	3,56	0,6	0,84	3,2
ოუ	1,59	4,8	0,27	—	26,58	0,3
ია	28,98	7,6	24,38	16	13,08	25
იე	6,51	2,4	9,59	2	4,22	1
იო	3,37	1,6	3,01	2	1,69	3,4
იი	1,75	0,4	1,37	2	—	1,3
იუ	2,09	1,2	—	0,9	1,26	3,4
უა	3,53	15,6	4,93	2,25	1,26	—
უე	0,54	0,4	2,19	0,6	0,42	1,3
უო	0,14	—	0,55	—	0,42	0,2
უი	0,26	—	—	0,1	—	0,6
უუ	0,06	—	—	0,2	2,11	—

საკუთრივ ქართულ მასალაში მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთკომპლექსები ზეპირ მეტყველებასა თუ დიალექტებში ცვლილებებს განიცდიან /წარმოთქმის დროს/; პროცესი ორი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს:

1. კომპლექსის რომელიმე წევრი იქცევა ი-დ ან უ-დ, რაც საშუალებას იძლევა, ხმოვანთკომპლექსი ერთმარცვლოვან სეგმენტად წარმოითქვას;
2. კომპლექსს ქმნის ორი ერთნაირი ხმოვანი, მათი წარმოთქმა კი ხდება ერთი არტიკულაციით (იქმნება გრძელი ხმოვანი; იხ. ბგერათშეერთების I წესი).

ზეპირი მეტყველების დროს ქართველთა ენობრივ სამყაროში არსებული ყველა ქვესისტემის (სტანდარტული ენისა თუ დიალექტების) ხმოვანთკომპლექსი ერთმარცვლოვნობისაკენ მიისწრაფვის; მიზეზი მარტივია: ხმოვანთკომპლექსის იოლად წარმოთქმა - “ენობრივი ეკონომია“ (იხ., აგრეთვე, ბერათშეერთების II წესი). ამავე მიზეზით, მეტყველების ნაკადში თანხმოვნებიც განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს (იხ. ფონეტიკური ცვლილებები).

მეტყველების ნაკადში ბგერების გვერდიგვერდ წარმოთქმა კოარტიკულაციად იწოდება (შდრ. არტიკულაცია - წარმოთქმა). კოარტიკულაციის პროცესში სამეტყველო ბგერათა ურთიერთგავლენით რამდენიმე სახის შედეგი შეიძლება დადგეს:

- ორი დამოუკიდებელი ბგერისგან მივიღოთ ერთი გრძელი ბგერა (ორი მარცვლისგან - ერთი მარცვალი);
- ორი ხმოვნისგან შეიძლება მივიღოთ ხმოვნისა და თანხმოვნის კომპლექსი (ორმარცვლიანი ბგერათმიმდევრობიდან ერთმარცვლიანი ბგერათმიმდევრობა);
- აკრძალული თუ დასაშვები /ჩვეულებრივი/ თანხმოვანთმიმდევრობისგან შეიძლება მივიღოთ ჰარმონიული კომპლექსი;
- ბგერათმიმდევრობის წევრები შეერწყან ერთმანეთს და მივიღოთ სხვა ერთი სამეტყველო ბგერა;
- ბგერათმიმდევრობის ერთმა წევრმა შეიძლება გავლენა მოახდინოს და შეცვალოს მეორე;
- ბგერათმიმდევრობის რომელიმე წევრი შეიძლება საერთოდ დაიკარგოს ან გადაადგილდეს და სხვ.

პირველი სამი სახის ფონეტიკური პროცესის აღსაწერად აკად. გიორგი ახვლედიანმა ჩამოაყალიბა ბგერათშეერთების სამი წესი.

2.2. ბგერათშეერთების I წესი. გრძელი ხმოვნების საკითხი ქართულ ენაში

სიტყვაში თუკი მეზობლად მოხვდება ორი ზუსტად ერთნაირი ბგერა, ერთ-ერთი შეიძლება დაიკარგოს, თუმცა, არაიშვიათად, ისინი ერთმანეთს უერთდებიან და ერთ გრძელ ბგერად გვევლინებიან; კერძოდ: პირველს აქვს თავისი შემართვა და დაყოვნება, მაგრამ აღარ აქვს თავისი დამართვა: მეორე ბგერა უშუალოდ აგრძელებს პირველის დაყოვნებას; მეორე ბგერის დამართვით სრულდება ბგერათკომპლექსის წარმოთქმა; ორივე ელემენტის წარმოთქმისას სახმო სიმები უწყვეტად ჟღერს; აღწერილი მოვლენა სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



ბგერათა შეერთების ამ პროცესს საზიარო წარმოთქმის ანუ საზიარო არტიკულაციის წესი ჰქვია.

ქართულ სალიტერატურო ენაზე ზეპირი მეტყველების დროსაც კი მორფემათა ზღვარზე ერთ გრძელ ხმოვნად წარმოითქმის გვერდიგვერდ მოხვედრილი ორი ერთნაირი ხმოვანი¹⁸; შდრ., მაგ: ააგო, დააგო; კიბეები, მოოქროვილი და სხვ.

ასევე, მორფემათა ზღვარზე საზიარო არტიკულაციით ერთ გრძელ ბგერად წარმოითქმის ორი ერთნაირი ნაპრალოვანი (სონორი თუ ჩქამიერი) თანხმოვანი: ლომმა, ვაზზე, თასს, ბალიშში... ე.წ. გრძელ თანხმოვანს სხვაგვარად გემინირებულ (გაორმაგებულ) თანხმოვნებსაც უწოდებენ.

¹⁸ ქართულში ერთი მორფემის ფარგლებში ორი იდენტური ხმოვანი თუ თანხმოვანი არ დასტურდება.

ხშილი თანხმობენები გემინირებულ ვარიანტებს ვერ წარმოქმნიან, ვინაიდან მათთვის აუცილებელია შემართვისმიერი ხშვა და დამართვის პროცესში არსებული განხშვა; ამ დროს კი უთუოდ გვაქვს პაუზა მეზობელ ბგერებს შორის. შესაბამისად, ბგერათა შეერთება გამორიცხულია.

გ. ახვლედიანის აზრით, საზიარო არტიკულაციის წესით შეერთების თუ შერწყმის ნიმუშს წარმოადგენს აფრიკატები, რომლებიც მიიღებიან ხშილი თანხმობენების მომდევნო ჰომორგანულ სპირანტებთან შერწყმის შედეგად... ასეთი მოსაზრების გაზიარება გაჭირდება, ვინაიდან საზიარო არტიკულაცია ვერ ექნებათ სხვადასხვა ლოკალურ რიგში წარმოქმნილ დ+ზ, დ+ჟ, თ+ს, ჩ+ს... ბგერათმომდევრობებს; გარდა ამისა, აქ პირველ ბგერებს აუცილებლად აქვთ თავიანთი დამართვა.

ზოგ შემთხვევაში მართლაც დასტურდება, მაგ., თ+ს > ც პროცესი: ათსამმეტი > თსამეტი > ცამეტი; მოვლენა უნდა განვიხილოთ ორსაფეხუროვან ფონეტიკურ პროცესად: ჯერ ს იმსგავსებს თ-ს ლოკალური რიგის მიხედვით, შემდეგ კი ორი ჰომორგანული ბგერიდან ერთ-ერთი იკარგება: ათსამმეტი > აცსამეტი > ცამეტი.

საზიარო არტიკულაციით მიღებულ ბგერათშეერთებათაგან ქართული ენისთვის უფრო აქტუალურია გრძელი ხმოვნები. ზეპირ მეტყველებაში გრძელი ხმოვნები სხვა გზებითაც წარმოიქმნება; კერძოდ:

- ა. იდენტურ ხმოვანთა შერწყმით,
- ბ. დაკარგული ხმოვნის საკომპენსაციოდ,
- გ. ტონური მახვილის შედეგად,
- დ. ხმოვნის გამიზნული დაგრძელებით.

იდენტურ ხმოვანთა შერწყმითა თუ დაკარგული ხმოვნის საკომპენსაციოდ მიღებული გრძელი ხმოვნები გვხვდება ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში. რაც შეეხება ტონური მახვილისა და ხმოვნის გამიზნული დაგრძელების შედეგად

მიღებულ გრძელ ხმოვანს, მისი ფუნქცია განისაზღვრება მთლიანი ინტონაციური ქარგის შესაბამისად.

გრძელი ხმოვანი (უფრო ზუსტად: ხმოვნის გაგრძელება) ქართულში (სალიტერატურო ენაშიც და დიალექტებშიც) გამოიყენება წმინდა ექსპრესიული (ემოციური) დანიშნულებითაც; სამაგალითოდ მოვიხმოთ მასალას გ. დოჩანაშვილის მოთხრობიდან:

“მაიკოს თმა ჰქონდა? - შავი (= შავი), წვეტ-წვეტიანი თითები ესხა? - გრძელი (= გრძელი); „ჩამომენძილი თავსაფრიდან სახე უჭკიოდა ისეთური, როომ (= რომ); ან რა გაქცევა შეემლო ხოლმე და მოფერებაც ისე იცოდაა (= იცოდა)...”

2.3. ბგერათშეერთების II წესი. დიფთონგების საკითხი ქართულში

უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ჰეტერორგანული ბგერის ურთიერთშეგუების ერთ-ერთი გზაა საარტიკულაციო ორგანოების მდგომარეობის შეცვლა უმოკლესი გზით. გ. ახვლედიანი ამ წესს უწოდებს არტიკულაციის უმოკლესი გზის წესს. ამ წესის თანახმად, საწარმოთქმო ორგანოები წინა ბგერის წარმოთქმის შემდეგ არ უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას - პირველის დამართვას უშუალოდ აგრძელებს მეორის შემართვა.

კოარტიკულაციის პროცესში საარტიკულაციო ორგანოების განლაგების უმოკლესი გზით შეცვლა განსხვავებულ შედეგებს იძლევა სხვადასხვა სახის ბგერათმომდევრობაში; კერძოდ:

- ბგერათმომდევრობაში ერთმა ბგერამ შეიძლება შეიძინოს მეორის ელფერი; მაგ., წინაენისმიერი ბგერა ბაგისმიერი

ბგერის გავლენით შეიძლება გახდეს ლაბიალიზებული, უკანაენისმიერი ბგერის გავლენით კი - პალატალიზებული და სხვ.

- ხმოვანთკომპლექსის წარმოთქმის გაიოლების მიზნით, პირველი ხმოვნის დამართვას უშუალოდ აგრძელებს მეორე ხმოვნის შემცირებული დაყოვნების პროცესი; შედეგად ორი ხმოვნისგან შეიძლება მივიღოთ ხმოვნისა და თანხმოვნის კომპლექსი (ორმარცვლიანი ბგერათმომდევრობიდან ერთმარცვლიანი ბგერათმომდევრობა). ხმოვანთა ამ წესით შეერთებით წარმოიქმნება დიფთონგი [ბერძნ. დიპჰტონგოს] - ერთ მარცვლად შერწყმული ორი ხმოვანი, ორხმოვანა.

ქართულ ენაში გვერდიგვერდ შეუთავსებელია ორი ხმოვანი (ორმარცვლოვანი სეგმენტი). არაიდენტურ ხმოვანთა მიმდევრობა (აე, აო, ეო, ოე, ეა, ოა...) აუცილებლად ტრანსფორმირდება:

- იდენტურ ხმოვანთა კომპლექსად და წარმოიქმნება ქართულისთვის ბუნებრივი ერთი გრძელი ხმოვანი (ორი მარცვლისგან - ერთი მარცვალი);

- ი-ს ან უ-ს შემცველ ხმოვანთკომპლექსად, რამდენადაც მხოლოდ ი-სა და უ-ს შემცველი კომპლექსი რეალიზდება ერთმარცვლოვან ბგერათმომდევრობად (ორი მარცვლისგან - ერთი მარცვალი); იხ., მაგ.: თეატრი > თიატრი > თაატრი; შდრ. დიალექტური მასალა: დაეჯახა > დეეჯახა (> /დეჯახა) > დიეჯახა > დდეჯახა; გაუგზავნა > გოუგზავნა (> გოჲგზავნა) > გუუგზავნა > გჲგზავნა...

შედეგი ყველა შემთხვევაში ერთია: გრძელი ხმოვნის ან დიფთონგის წარმოქმნა. ორივე შემთხვევაში მცირდება, რედუცირდება რომელიმე ხმოვნის ნაწილი; რედუქცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და “შემცირებას” ნიშნავს. რედუქცია არის ბგერის არტიკულაციური და აკუსტიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ბგერის

საწარმოთქმო გრძლიობის შემცირებით და დაჭიმულობის მოდუნებით (ვ. იარცევა). რედუქციის დროს ხდება მთლიანი საწარმოთქმო ენერჯის შემცირება; ზოგჯერ იმდენად, რომ ხმოვანი მარცვლოვნობას კარგავს ან იკარგება კიდეც; სწორედ ხმოვანთკომპლექსში მარცვლოვნობის დაკარგვის შედეგია დიფთონგის წარმოქმნა.

დიფთონგი ორი სახისაა: აღმავალი და დამავალი. აღმავალი დიფთონგი წარმოიქმნება მაშინ, როცა ბგერათმეერთება იწყება ვიწრო ხმოვნით (მეორე ხმოვანი უფრო ფართოა): ვიწრო ხმოვანი უფრო ვიწროვდება და გადადის თანხმოვანში; შდრ. ია > „ა; იე > „ე; იო > „ო; იუ > „უ; ან კიდეც: უა > ჭა; უე > ჭე...

დამავალი დიფთონგი მიიღება იმ შემთხვევაში, როცა ხმოვანთმიმდევრობა იწყება ფართო ხმოვნით (მეორე ხმოვანი უფრო ვიწროა): ამ შემთხვევაშიც ვიწრო ხმოვანი უფრო ვიწროვდება და გადადის თანხმოვანში: აი > ა“; ეი > ე“; ოი > ო“; უი > უ“... (ვა“, ხე“, დლე“, კალო“, ცრუ“, ყრუ“...). ასეთ დიფთონგს ნამდვილ დიფთონგს უწოდებენ.

დიფთონგი ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული ზეპირი მეტყველებისათვის; არქაულ ქართულ სამწიგნობრო (საეკლესიო) ენაში დიფთონგს გრაფიკულადაც ასახავდნენ; მაგ., ჩვეულებრივი ნორმატიული ფორმებია: დედა“, ხე“, წყარო“, ყრუ“... მეტიც, ე“ დიფთონგის გამოსახატავად საეკლესიო ქართულს შესაბამისი გრაფიკული ნიშანიც გააჩნდა - წ; ჭი დიფთონგის გამოსახატავად კი - ჯ გრაფემა.

V-XI სს. ქართულში დიფთონგი გვხვდებოდა არა მარტო სიტყვის ბოლოში, არამედ შუაშიც ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში: რა“თა, ღმრთისა“თა, წყარო“სა, რუ“-სა, წინა“თ, ზედა“თ, ზემო“თ... ზოგჯერ „ თავშიც არის დადასტურებული; მაგ., „ესე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „-ს ხმარების წესები IX საუკუნიდან ირღვევა, XI საუკუნის ზეპირ მეტყველებაში დიფთონგები აღარ არსებობდა, ხოლო ე.წ. საშუალ ქართულში დიფთონგი დაიკარგა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში კი ის საერთოდ არ არის (ზ. სარჯველაძე). ჩვენი დაკვირვებით, V-XI საუკუნეთა ძეგლებში „ თითქმის ყოველთვის გამოვლინდება **V** (ხმოვანი) - **ჩ** (თანხმოვანი) პოზიციაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ბრუნვის ნიშანთა ხმოვნით ნაწილად. საერთო, IX-XI საუკუნეების ხელნაწერებში ხმოვანთა მომდევნო პოზიციაში „-ს გამოვლენის სიხშირე მაღალია, რაც უნდა მიუთითებდეს მაშინდელ ზეპირ მეტყველებაში პალატალიზებულ („-ს შემცველ) დიფთონგთა არსებობის შესახებ. ამავდეს ადასტურებს IX-XI საუკუნეთა ლაპიდარული წარწერებისა და ისტორიული საბუთების მონაცემები.

„-ს შემცველი დიფთონგი აქტიურად ვლინდება XII-XVIII საუკუნეთა ნუსხურითა თუ ასომთავრულით დაწერილ ლაპიდარულ წარწერებსა და ხელნაწერებში (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ.71-74).

დღეს დიფთონგები ჩვეულებრივია დიალექტებშიც და სალიტერატურო ქართულის ზეპირ მეტყველებაშიც; მაგალითად (მასალას ვიმოწმებთ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაცული დიალექტური ტექსტებიდან, ქართველური დიალექტოლოგიის დიალექტური და ზეპირი მეტყველების ტექსტების ბაზიდან და ბ. ჯორბენაძის ქართული დიალექტოლოგიიდან):

იმერული: წამო“, გარმო“, წყარო“, დრო“, ბიცოლე“, ძმა“, კა“, რა“, შ“ახმა, „ექვსი, სიმატრი, ხნატ, ვლეწატ, ხერხატ, ტარესი, მამტალი, წართტა...

გურული: ბაღანა“, შენისთანა“, უცვათა“, ნენა“, დაწუა, უოცი, უოზურგეთი, ორუე, სხუაი, ჩოუშუენ, თოჟლი...

ლექსუმური: დედა“ე, გოგო“ე, ბიცოლე“ს, შუა, ძუალი, ჩუენ, ბეჟრი, თოჟლი ...

აჭარული: წა“, მო“, ბაბო“, ზეჟიე“, „ალი, ბეგ“ეზი, წ“ელო, შ“ატყო, სიძ“ობა, მ“ორე, აძუა, წამუადუღეფ, დიდუანი, ხობუეზი, სუელი...

იმერხეული: ე“ლე, პაწა“, ჩამო“, დე“ჭირვენ, შამე“ნახა, ტირ“ან, ყაჟს, ერქუა, ხარშუა, გუითხრა, კლაჟს, დეჟნახე ...

კახური: გადა“ხვეტავს, მა“თოხნის, ნუ „ჭრი, გა“ათხოვა, ხვალა“, სუამს, გყუავ, უიტყვი...

ქართლური: გა“დილი, მეფე“, ნა“წავლი, დაწერო“ს, მრცხვენია“, დე-და“ა, ბაჟუჟი, ყაჟლი, ბეჟრი, მარცჟალი, უეტყვი ...

ინგილოური: ჭამა“, მამა“, შა“ (შედი), მზე“, შე“წო (შეიწვა), მასხარა“ (მასხრად), შე“ნახა, დო“ნახ (დავინახე), დო“ზინ (დავიძინე), „ავაშ-“ავაშ (ნელ-ნელა), „ოლდაშ (ამხანაგი), იქი“ (იქი-დან), ხუალ (ხვალ), მოხუელ (მოხვედი), წაჟ (წავიდა)...

ფერეიდნული: გა“გებენ (გაიგებენ), ამა“ტანა (ამოიტანა), გუთხრეს (გვითხრეს), სხუეზი, ბეჟრი, ქუა, მოჟგლეჟავ, დაჟბან, საჟბარი, გოჟხარდა, რუა ...

რაჭული: თეთრონა“, წა“ყვანა, და“ფიცა, დანუკა“, მელა“, კლდე“, კა“, ბლუ“, წა“ყვანა...

მოხეური: „ეკალი, „ერთი, „ემ, ძუელი, ბეწუი, გუერდი, ბეჟრი...

სალიტერატურო ქართული (ზეპირი მეტყველება): შეაქო > შიაქო/შ“აქო, „ატაკი, „ავნანა, ვაჟა“თ, ხუალ, თუალი, უახლოესი, უამრავი, მოახლე > მუახლე/მუახლე...

აქვე აღვნიშნავთ, რომ დიალექტებში ხმოვანთაგან ფონეტიკურ ცვლილებებს ყველაზე ხშირად განიცდის ა, შემდეგ - ე და ო; ი სამეტყველო ბგერამ შეიძლება მოგვცეს „; უ ხმოვანი კი შეიძლება იქცეს ჟ-დ (უ ყველაზე ნაკლებად განიცდის ცვლილებებს). ცვლილების სიხშირის მიხედვით, ქართული ხმოვნები ასე დალაგდება: ა → ე → ო → ი → უ. აღნიშნული მიმდევრობა ზუსტად ემთხვევა ხმოვანთა ღიაობის კლების სქემას.

2.4. ბგერათმეერთების III წესი. ჰარმონიული კომპლექსების საკითხი ქართულ ენაში

მეზობლად მოხვედრილი ჰეტერორგანული და ჰემოგენული თანხმოვნების კოარტიკულაციის გასაიოლებლად, არაიშვიათად, აქტიურდება ბგერათა ერთდროულად წარმოთქმის ტენდენცია: უშუალო მეზობლობაში მყოფი ჰეტერორგანული და ჰომოგენული თანხმოვნები ერთმანეთს რაგვარობის მიხედვით ემსგავსება და თითქმის ერთდროულად - ერთჟამიერად - წარმოითქმის. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ტიპის ბგერათმეერთებას არტიკულაციის ერთჟამიერობის წესი ეწოდება.

ერთჟამიერობის წესით წარმოთქმული თანხმოვანთკომპლექსი, გრძელი ხმოვნებისა და დიფთონგების მსგავსად, ერთ მარცვალში შედის (იხ. მარცვალი, მარცვალთგამყარი).

არტიკულაციის ერთჟამიერობის წესი არ გულისხმობს ბგერათკომპლექსში შემავალ ფონემათა ზუსტად თანადროულ წარმოთქმას; მაგ., გ. ახვლედიანი წერს: თანხმოვანთკომპლექსის არტიკულაციის პირველ ნაწილში - ხშვისა და ნაპრალის დროს - გვაქვს ორივე ბგერის წარმოების ერთჟამიერობა, ხოლო არტიკულაციის მეორე ნაწილში - განხშვისა და ჰაერნაკადის დინების დროს - წინ მდგომი ბგერა ადრე წარმოითქმის; მაგ., ბლ კომპლექსის წარმოთქმისას ბ-ს შემართვა და ღ-ს წარმოსათქმელი ნაპრალის გაჩენა მართლაც ერთდროულად ხდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. ახვლედიანის აზრით, ერთჟამიერად შეიძლება წარმოითქვას ორი ხშული ბგერაც, მაგ., ბგ კომპლექსი); ამ ბოლო თვალსაზრისის გაზიარება გაჭირდება, რამდენადაც შეუძლებელია ბ-ს განხშვამდე გ-ს შემართვის დაწყება.

ერთჟამიერობის წესით წარმოთქმულ თანხმოვანთკომპლექსს ჰარმონიულ (/კეთილხმოვან)

კომპლექსებს უწოდებენ. ჰარმონიულ კომპლექსში შემავალი თანხმოდებისთვის აუცილებელია რამდენიმე მახასიათებლის არსებობა:

1. ჰეტეროგანულობა - კომპლექსში შემავალი ბგერები სხვადასხვა ლოკალურ რიგში უნდა იწარმოებოდეს;
2. ერთგვარობა მჟღერობა-სიყრუს მიხედვით - კომპლექსში შემავალი ბგერები უნდა იყოს ან მჟღერები, ან ყრუ-ფშვინვიერები, ან ყრუ-მკვეთრები.

ჰარმონიულ კომპლექსში შემავალი ფონემების წარმოდგენილი მახასიათებლების აუცილებლობა გაზიარებულია თითქმის ყველა სპეციალისტის მიერ, თუმცა ეს ორი კრიტერიუმი საკმარისი არის ჰარმონიული კომპლექსების დასახასიათებლად; ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში დამატებითი წინაპირობებიცაა დასახელებული: დეცესიურობა, მზარდი ნაპრალოვნობა, ჰომოგენურობა სახმო სიმების მოქმედების მიხედვით და სხვ.

დამატებითი კრიტერიუმების სხვადასხვაობის გამო, სხვადასხვაგვარია სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული ჰარმონიული კომპლექსების რაოდენობაც; კერძოდ:

გ. ახვლედიანი მესამე აუცილებელ კრიტერიუმად დეცესიურობას თვლის:

დეცესიურია თანხმოდანთა ისეთი კომპლექსი, რომლის პირველი წევრი ზესადგამი მილის უფრო წინა არეში იწარმოება, ვიდრე მომდევნო; მაგ.: ბგ, დგ, ჯგ და ა.შ. გ. ახვლედიანთან ასევე არსებითია, პირველი წევრი იყოს ხშული თანხმოდანი; შესაბამისად, ჰეტეროგენურობის, მჟღერობა-სიყრუს მიხედვით ერთგვაროვნობისა და დეცესიურობის გათვალისწინებით გ. ახვლედიანმა ჰარმონიულად მიიჩნია **24** თანხმოდანთკომპლექსი, რომლებიც წარმოადგინა A და B ჯგუფებად; მან A ჯგუფში გააერთიანა ბაგისმიერ-წინაენისმიერ ხშულთა და უკანაენისმიერ ლ, ხ ნაპრალოვანთა (+ ყ ხშული) კომბინაციები მჟღერობა-სიყრუსა და დეცესიურობის გათვალისწინებით.

გ. ახვლედიანის აზრით, A ჯგუფი პირველადია, B ჯგუფის კომპლექსები (ხშული+ნაპრალოვანი) კი - მეორეული, მიღებული მეორე კომპონენტის განაპრალოვნებით:

A			B		
ბგ	ფქ	პკ	ბღ	ფხ	პყ
დგ	თქ	ტკ	დღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

ა. შანიძე ჰარმონიულად მიიჩნევს მხოლოდ გ. ახვლედიანის B ჯგუფის კომპლექსებს. კრიტერიუმების შესახებ მას სპეციალური მსჯელობა არ წარმოუდგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ის ჰარმონიულად არ თვლის ხშული+ხშული კომბინაციას.

გ. მაჭავარიანმა საერთოქართველურ დონეზე გამოყო ექვსი ჯგუფი: A, B , ჩ, D, E და F:

A					B				
ბღ	დღ	ძღ	ძ ₁ ღ	ჯღ	ბგ	დგ	ძგ	ძ ₁ გ	ჯგ
ფხ	თხ	ცხ	ც ₁ ხ	ჩხ	ფქ	თქ	ცქ	ც ₁ ქ	ჩქ
პყ	ტყ	წყ	წ ₁ ყ	ჭყ	პკ	ტკ	წკ	წ ₁ კ	ჭკ

ჩ			D		E		F	
სხ	ზღ	ს ₁ ხ	ფს	ფშ	სკ	ს ₁ კ	სთ	ს ₁ თ
—	—		ბზ	ბჟ/?!/			სტ	
							სწ	

გ. მაჭავარიანი A და B ჯგუფებს ქრონოლოგიურად არ ასხვავებს: მათ თანადროულ არსებობას უშვებს საერთოქართველურ დონეზეც. მან უარყო დეცესიურობისა და ჰეტერორგანულობის კრიტერიუმებიც და შემოიტანა

სახმო სიმებისმიერი ერთგვაროვნობის მისეული გაგება: ჰომოგენურად მიიჩნია ნაპრალოვანი და ხშული ბგერები, კერძოდ, ფშვინვიერი ნაპრალოვნისა და მკვეთრი ხშულის კომბინაცია მიიჩნია ჰარმონიულ კომპლექსად. მანვე ჰარმონიული კომპლექსი განსაზღვრა ისეთ ბგერათმომდევრობად, რომელსაც “უნარი აქვს, დაიკავოს ცალი თანხმოვნის ადგილი ერთი მორფემის ფარგლებში ნებისმიერ გარემოცვაში”.

თ. უთურგაიძე ჰარმონიულად მიიჩნევს ისეთ კომპლექსს, რომლის კომპონენტებს ახასიათებთ: ჰეტერორგანულობა, ჰომოგენურობა, მზარდი ნაპრალოვნობა (მომდევნო ბგერა წინაზე უფრო ღიაა) და არახლეჩადობა; არახლეჩადია კომპლექსი, თუკი ერთი მორფემის ფარგლებში კომპონენტთა შორის სხვა თანხმოვანი არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, კომპლექსი თავდაპირველია თუ რაიმე ფონეტიკური ცვლილებით არის მიღებული. თ. უთურგაიძე ჰარმონიული კომპლექსის კრიტერიუმად არ თვლის დეცესიურობას; შესაბამისად, მის მიერ ჰარმონიულადაა ჩათვლილი გზ, გჟ კომპლექსებიც. საბოლოო ჯამში, თ. უთურგაიძე გამოყოფს ორწევრა ჰარმონიულ კომპლექსთა სამ ჯგუფს. იმის გამო, რომ ს, ზ, შ, ჟ ნაპრალოვნები ჰარმონიულ კომპლექსთა ჯგუფებში მეორე წევრადაც გვევლინებიან (ფს, ფშ, ბზ, ბჟ...) და პირველ წევრადაც (სხ, ზღ, შხ, ჟღ), თ. უთურგაიძე თეორიულად ვარაუდობს ჩქამიერ თანხმოვანთა სამწევრიან ჰარმონიულ კომპლექსებსაც, რომლებიც შეადგენენ IV ჯგუფს; მისი სქემა ასე გამოიყურება:

I				II			III		IV
ფს	ფშ	ბზ	ბჟ	ბღ	ფხ	ჰყ	ზღ	სხ	ფსხ
ქს	ქშ	გზ	გჟ	დღ	თხ	ტყ	ჟღ	შხ	ფშხ
ჟს	ჟშ	—	—	ძღ	ცხ	წყ			ბზღ
				ჯღ	ჩხ	ჩყ			ბჟღ

ჩვენი აზრით, პირველ რიგში “თითქმის ერთჟამიერ“ კომპლექსად უნდა განვიხილოთ მ-სა და ბაგისმიერ ჩქამიერ ხშულ თანხმოვანთა კომბინაციები: მბ მგ მჰ; ასევე, ნ სონორისა და ნუნისმიერ ჩქამიერ ხშულ თანხმოვანთა კომბინაციები: ნდ ნთ ნტ, ნმ ნც ნწ, ნჯ ნჩ ნჭ.

დასახელებული თანხმოვანთკომპლექსებს კომპონენტთაგან პირველის დამართვა, დაყოვნების ნაწილი და მეორის შემართვა-დაყოვნება-დამართვა ერთდროული აქვთ; შესაბამისად, მათი წარმოთქმა არანაკლებად ერთჟამიერი და “ჰარმონიულია“, ვიდრე - ზემოთ განხილულ ჩქამიერთა ჰარმონიული კომპლექსები.

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი თვალსაზრისების გათვალისწინებით, საკუთრივ ჩქამიერ თანხმოვანთა კომბინაციებიდან ჰარმონიულად მივიჩნევთ ჰეტერორგანულ, მჟერობა-სიყრუის მიხედვით ერთგვაროვან და მზარდი ნაპრალოვნობის მქონე ორწევრა თანხმოვანთკომპლექსებს; კერძოდ, ჩვენ გამოვყოფთ ორ ჯგუფს:

1. ბაგისმიერ-წინაენისმიერ ჩქამიერ და ნაპრალოვან უკანაენისმიერ-ხახისმიერ თანხმოვანთა კომბინაცია (ყელხშულელებთან კომბინაციაში შედის ყ ბგერა): ბლ ფხ ჰყ, დლ თხ ტყ, ძლ ცხ წყ...
2. ბაგისმიერ ხშულთა და ნუნისმიერ ნაპრალოვან თანხმოვანთა კომბინაცია: ბზ ფს...

ჰარმონიულ თანხმოვანთკომპლექსთა ცხრილი კი ასეთ სახეს მიიღებს:

I				II	
ბლ	დლ	ძლ	ჯლ	ბზ	ბჟ
ფხ	თხ	ცხ	ჩხ	ფს	ფშ
ჰყ	ტყ	წყ	ჭყ	ჰს	ჰშ
		ზლ	შლ		
		სხ	შხ		

2.5. მარცვლის რაობა. მარცვლის სახეები

ფონეტიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს მარცვალი. დღემდე არ არსებობს მარცვლის საყოველთაოდ მიღებული მეცნიერული განსაზღვრა და ამიტომაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ბგერათა მიმდევრობის დანაწილება ისეთ ერთეულებად, როგორცაა მარცვალი.

მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ მარცვალი მეტყველების ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი ერთეულია. როგორც ცნობილია, ლინგვისტური განათლების არმქონე პირებს გამონათქვამის ფონემებად დანაწევრება უჭირთ, მაშინ როცა ისინი მარტივად ყოფენ სიტყვებს მარცვლებად. გარდა ამისა, პოეზიაში რიტმი ეყრდნობა მარცვალთა რაოდენობას, სიმღერის დროს კი სიტყვები იყოფა მარცვლებად და არა ფონემებად. ეს ჩამონათვალი ლოგიკურად უპირისპირდება მეცნიერთა იმ მოსაზრებას, რომელიც არ ცნობს მარცვლის არსებობას.

ჩვენ ვერ გამოვიცნობთ, თუ რამდენი სიტყვაა უცნობ ენაზე გაბმულად წარმოთქმულ წინადადებაში, მაგრამ რთული არ არის მასში მარცვალთა რიცხვის გამოცნობა. აქედანაც ჩანს, რომ მარცვალი მეტყველების ნაკადის უფრო „ბუნებრივი“ შემადგენელი ელემენტია, ვიდრე სიტყვა (მხედველობაში გვაქვს წარმოთქმა-გაგონების თვალსაზრისი და არა — ფორმისა და მნიშვნელობის); მეტიც, მარცვალი უფრო ბუნებრივი ელემენტია წარმოთქმის ნაკადისა არა მხოლოდ სიტყვასთან, არამედ ცალკეულ ბგერასთან შედარებითაც.

მარცვლის პრობლემასთან დაკავშირებულია შემდეგი საკითხები: 1) რა ფონეტიკური ფაქტორი ქმნის მარცვალს, 2)

როგორია მარცვლის შედგენილობა და 3) სადაა მარცვლათგასაყარი საწარმოთქმო ნაკადში.

პირველი საკითხი ზოგადფონეტიკურია, ე.ი. მარცვლის შემქმნელი ფაქტორი ყოველ ენაში ერთია. რაც შეეხება მარცვლის შედგენილობასა და მარცვლათგასაყარს, ესენი შეიძლება განსხვავებული ჰქონდეს თითოეულ ენას.

მარცვლის სხვადასხვა განმარტება არსებობს: სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოში მარცვალი ასე განისაზღვრება: მარცვალს ქმნის და მის ცენტრს წარმოადგენს ხმოვანი. რამდენი ხმოვანიცაა სიტყვაში, იმდენი მარცვალია მასში. აქედან გამომდინარეობს, რომ მარცვლის მატარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ხმოვანი. ეს განმარტება მიესადაგება ენათა უმრავლესობას, მათ შორის — ქართულს, მაგრამ სინამდვილეში ყოველთვის მხოლოდ ხმოვანი არ შეიძლება ქმნიდეს მარცვალს.

აკაკი შანიძის განმარტებით, მარცვალი არის ერთი ბგერა, ან ჯგუფი რამდენიმე ბგერისა, რომლებიც ჰაერის ერთი ტალღის ამოღების დროს წარმოითქმის.

ქართულ ენაში ხუთი ხმოვანია (ა, ე, ი, ო, უ). ყოველი ხმოვანი ქმნის მარცვალს, მარტო თანხმოვანს მარცვლის შექმნა არ შეუძლია.

ლ. კვაჭაძის განმარტებით, მარცვალი არის სიტყვა ან სიტყვის ნაწილი, რომელიც ერთ ხმოვანს შეიცავს. ყოველ სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც ხმოვანია მასში.

არსებობს რამდენიმე თეორია იმის შესახებ, თუ რა ქმნის მარცვალს:

ადრეულ საენათმეცნიერო ნაშრომებში მარცვალს განიხილავდნენ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. ეს თეორია ეყრდნობოდა ექსპირაციას. ამ თეორიის მიმდევართა აზრით, რადგანაც ჰაერნაკადი ფილტვებიდან ამოედინება არა უწყვეტლივ, არამედ ზედიზედ ჯახებათა რიგით, ამიტომ

თითოეული ჯახება ქმნის მარცვალს. ამ თეორიის თანახმად, მარცვალი არის ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც წარმოითქმის ჰაერნაკადის ერთი მთლიანი ჯახებით.

ამ თეორიას, რომლის მიხედვითაც მარცვალს ქმნის ჰაერნაკადის ჯახება, ვეძახით “ჯახების თეორიას“.

ეს თეორია საყოველთაოდ გაზიარებული არ არის; იგი ვერ ხსნის მარცვლის ბუნებას, ვინაიდან თითოეული ამოჯახება შეიძლება შეესაბამებოდეს არა მარცვალს, არამედ უმთავრესად ცალკეულ ბგერას. მაგ., სიტყვაში: “მგელს“, რომელიც ერთ მარცვალს წარმოადგენს, გვაქვს არანაკლებ სამი “ჯახებისა“.

ზემოაღნიშნულ თეორიასთან შედარებით, უფრო ფართო გავრცელება პოვა ო. იესპერსენის სონორობის თეორიამ. ეს თეორია ემყარება ბგერის აკუსტიკურ ნიშან-თვისებას – სონორობის ზრდას ან კლებას.

სონორობის თეორიის თანახმად, სიტყვაში ან შესიტყვებაში იმდენი მარცვალია, რამდენიც სონორობის მწვერვალია მასში. ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვალს ქმნის მოცემულ სიტყვაში ბგერათკომპლექსის ყველაზე სონორული ბგერა, რომლის, როგორც ცენტრის ანუ მწვერვალის, გარშემო ჯგუფდება ამ კომპლექსის დანარჩენი ყველა ბგერა. აქედან გამომდინარეობს, რომ ხმოვანი არ წარმოადგენს მარცვლის აუცილებელ ელემენტს. ფონემათა მიმდევრობაში მარცვალს ქმნის ის ფონემები, რომლებიც თავიანთი სონორულობით აღემატებიან მეზობელ ბგერებს და ქმნიან მწვერვალს.

ამ თეორიით, მაგ., სიტყვაში: “ქალს“ ერთი მარცვალია იმიტომ, რომ ა, როგორც ყველაზე სონორი ბგერა ამ კომპლექსში, წარმოადგენს ამ ჯგუფის ცენტრს ანუ მარცვლის მწვერვალს (აქ ა-ს) ეძახიან მარცვლის მატარებელს ანუ მარცვლოვანს, ხოლო ჯგუფის დანარჩენ ბგერებს — უმარცვლოს. მოცემულ სიტყვაში (“ქალს“) ლ-ც საკმაოდ

სონორია, მაგრამ იგი უმარცვლოა, აქ ვერ არის მარცვლის მწვერვალი, რადგანაც მის გვერდით მასზე მეტად სონორია ა. სხვა გარემოცვაში, მაგ., სიტყვაში: “რაზმს“ მ ქმნის მეორე მარცვალს ზმს, სადაც იგი (მ) მეტად სონორია როგორც მის წინ მდგომ ზ-ზე, ისე მომდევნო ს-ზეც.

ამ თეორიის მიხედვით, მარცვლის წარმოქმნისათვის მნიშვნელობა აქვს არა სონორობას თავისთავად, არამედ შეფარდებით სონორობას, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ბგერა შესაძლებელია იყოს მარცვლოვანი მასზე ნაკლები სონორობის მქონე ბგერების მეზობლობაში.

მარცვლოვანია, უპირველესად, ხმოვნები; სონორობით ისინი აღემატებიან დანარჩენ ბგერებს, რომლებიც მეტწილად უმარცვლოებია: მეორე რიგში, მარცვლოვანია სონორული თანხმოვნები ანუ სონანტები (რ-ლ-მ-ნ); შემდეგ რიგებში მარცვლოვანია ყველა თანხმოვანი, კლებადი სონორობის კვალობაზე.

ამგვარად, სონორობის თეორიის თანახმად, მარცვალი არის წარმოთქმის მონაკვეთი, რომლის ცენტრს წარმოადგენს ნაკლებ სონორთა შუა მოქცეული მათზე მეტი სონორობის მქონე ბგერა.

სონორობის თეორია უფროა მისაღები, ვიდრე ჯახებისა – მეტადრე მარცვლის შედგენილობის საკითხისათვის; ამ თეორიის საფუძველზე ზოგიერთ შემთხვევაში ხდება გასაგები, თუ რატომაა, რომ ორი ხმოვანი ზოგ ენაში ქმნის ერთ მარცვალს, მაგ., რუს. май-ში ხმოვანი ორია, მაგრამ მარცვალი ერთი; ან: თუ რატომაა, რომ ზოგ ენაში მარცვალს შეადგენს მხოლოდ თანხმოვანთაგან მიღებული ბგერათკომპლექსი; მაგ., სერბ. Прист ‘თითი’, срчн ‘მუხა’, влк მეელი წარმოადგენენ უხმოვნო მარცვლებს.

ამ თეორიას არ შეუძლია ყოველთვის სწორი პასუხი მოგვცეს მარცვლის ბუნების ზოგიერთ საკითხზე.

მაგალითად, მას შეუძლია დაადგინოს მარცვალთა რაოდენობა, მაგრამ არ შეუძლია მარცვალთა შორის საზღვრის დადგენა.

მესამე თეორია წარმოადგენს ამ ორი – ჯახებისა და სონორობის – თეორიის ერთგვარ შერიგებას: ზოგ მარცვალს ქმნის ბგერის გაძლიერება, ზოგს – ბგერის სონორობა. ამ თეორიას შეიძლება ეწოდოს “შემრიგებლობითი“. ამ თეორიის ავტორია ე. ზივერსი. ამ თეორიითაც მარცვლის წარმომქმნელ ფონეტიკურ ფაქტორთაგან უპირატესობა ენიჭება სონორობის ფაქტორს.

მაგ., ორი სხვადასხვა სიფართოვის ხმოვნის შეერთებისას (აი, აუ, აე, ოუ), სონორობის თეორიის თანახმად, გვაქვს თითო მარცვალი, რადგანაც მეტად სონორი (აქ ა და ო) წარმოადგენს მარცვლის ცენტრს, მაშასადამე, მივიღებთ დიფთონგს; მაგრამ განზრახ თუ გავაძლიერებთ ნაკლებ სონორს (აქ ი, უ, ე-ს), მივიღებთ ორ-ორ მარცვალს. ეს რომ, მართლაც, შესაძლებელია, ჩანს იქიდან, რომ ზოგ ენაში (მაგ., ქართულში, ფრანგულში), რომელთაც არა აქვთ დიფთონგისადმი მიდრეკილება, ორ-ორი მარცვალია მოცემულ შემთხვევაში და არა - თითო; ეს იმიტომ, რომ ორივე ხმოვანი თანაბრადაა გაძლიერებული.

ფ. დე-სოსიურმა მარცვლის ბუნების ძიების ჩამოყალიბებული თეორია მოგვცა. მარცვლის თეორიაში მისთვის ერთ-ერთ ამოსავალ ძირითად დებულებას წარმოადგენს ბგერათშეერთება. ავტორი ემყარება ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ პრინციპს - საწარმოთქმო ორგანოთა ღიაობისა და დახშულობის ცვლას. ღიაობისათვის შემოაქვს ტერმინი ექსპლოზია, ხოლო დახშულობისათვის - იმპლოზია. ყოველი ფონემა, გარდა ა ხმოვნისა, შეიძლება იქნეს ექსპლოზიური და იმპლოზიური, მაგ., ეგდო-ში გ – იმპლოზიურია, ხოლო დ – ექსპლოზიური.

ლ. შჩერბა მარცვალს მიიჩნევს მეტყველების ბუნებრივ ერთეულად და მას უწოდებს მეტყველების ნაკადის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება ბგერის გაძლიერებით და მთავრდება მისი შესუსტებით.

არსებობს სხვა თეორიებიც, რომლებიც მარცვალს იხილავს, მაგრამ, დღესდღეობით, ვერც ერთი მათგანი ბოლომდე ვერ ამოწურავს მარცვლის ბუნებას.

ხმოვან ბგერას მარცვლის შედგენილობაში ყოველთვის უპირატესობა აქვს: მაშინაც, როცა იგი მარტო ქმნის მარცვალს (ი-ყო, ა-რის), და მაშინაც, როცა სხვა ბგერათა ჯგუფშია მოქცეული (სა-ხლი, ხელს, ხარს). ყველა ამ შემთხვევაში ხმოვანი მარცვლოვანია (ანუ მარცვლის მატარებელია).

მარცვლის სახეები. მარცვალი თავისი ფონემური შედგენილობით შეიძლება გვქონდეს ღია და დახურული. ღია მარცვალი ეწოდება ისეთ მარცვალს, რომელიც თავდება ხმოვნით ან სხვა მარცვლოვანი ბგერით, ხოლო დახურული მარცვალი - ისეთს, რომელიც თავდება უმარცვლო ბგერით.

ღია მარცვლებია: ცა, კუ, ლა-მა-ზი, ა-რა...

დახურული მარცვლებია: დღეს, ქარს, ქარ-თულს...

მარცვალთა რაოდენობის მიხედვით ქართულში სიტყვა შეიძლება იყოს:

ერთმარცვლიანი: გზა, ხე, ცა, ბრდღვნის...

ორმარცვლიანი: ხი-ლი, ხი-დი, ფე-რი, ქუ-დი...

სამმარცვლიანი: ქა-ლა-ქი, ფურ-ცე-ლი, სარ-კმე-ლი...

ოთხმარცვლიანი: და-უ-ხა-ტა, გა-უ-კე-რა, მო-უვ-ლი-ნა...

ხუთმარცვლიანი: დამ-მარ-ცხე-ბე-ლი, გამ-მზა-დე-ბე-ლი...

ექვსმარცვლიანი: გა-სა-მარ-ჯვე-ბე-ლი, აღ-მა-შე-ნე-ბე-ლი...

შეიძლება შეგვხვდეს შვიდმარცვლიანი სიტყვაც, მაგრამ იგი ქართული ენისათვის იშვიათობაა: გა-სა-კაშ-კა-შე-ბე-ლი, გა-სა-ცის-კროვ-ნე-ბე-ლი.

2.6. მარცვალთგასაყარი. დამარცვლის წესები

მარცვალთგასაყარის ან მარცვლის საზღვრის დადგენა ძალიან რთულია. ვერც ერთმა ზემოთ ხსენებულმა თეორიამ ვერ შეძლო ზუსტად მარცვლებს შორის საზღვრის დადგენა.

სონორობის თეორია არც თვლის საჭიროდ მარცვალთგასაყარის ადგილის ზუსტად ჩვენებას; საერთოდ კი, ამ თეორიით, მარცვლის ბოლო არის მინიმალურად სონორ ბგერაში, რომელიც შეიძლება მიეკედლოს როგორც წინ მდგომს, ისე მომდევნო მარცვალს. მაგ., სიტყვაში: ზაფხული ამ თეორიით, ჩვენ არ ვიცით, თუ სადაა მარცვალთგასაყარი: ზა-ფხუ-ლი თუ ზაფ-ხუ-ლი.

საყურადღებოა ლ. შჩერბას მარცვალთგასაყარის თეორია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: "...თითოეულ თანხმოვანს შეიძლება ჰქონდეს სამი ფორმა: ა) ძლიერდამართვიანი, როცა თანხმოვნის ბოლო (დამართვა) უფრო ძლიერია დასაწყისზე (შემართვაზე); ბ) ძლიერშემართვიანი, როცა თანხმოვნის ბოლო სუსტია მის დასაწყისზე; გ) ორმწვერვალიანი ანუ გაორმაგებული, როცა თანხმოვნის დასაწყისიც და ბოლოც ერთნაირად ძლიერია, ხოლო მისი შუა ნაწილი დასუსტებულია; ორმწვერვალიანი თანხმოვნები შეიძლება მოთავსებული იყოს მარცვალთგასაყარზე: მშვიდ-დება, დიდ-დება...".

ზოგ ენაში ძლიერშემართვიანი თანხმოვნებია ჩვეულებრივი, ზოგში — სუსტშემართვიანი და ა.შ.

რამდენადაც, ლ. შჩერბას თეორიით, მარცვალთგასაყარი ამაზეა დამოკიდებული, ამდენად, ენებიც შესაძლებელია

განსხვავებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან მარცვალთგასაყართ.

ე.ი. მარცვალთგასაყარის საკითხი თითოეული ენისათვის ცალ-ცალკე უნდა ვიკვლიოთ; ცალკეული ენის წარმოთქმის ნორმაზეა დამოკიდებული მარცვლის საზღვრის დადგენა. ზოგ ენაში ხმოვანთა თანმიმდევრობა ქმნის ერთ მარცვალს, ხოლო ზოგ ენაში ორი ხმოვნის თანმიმდევრობა იძლევა ორ მარცვალს.

ქართულში, როგორც წესი, ყველა თანხმოვანს აქვს ნელი შემართვა-დამართვა, გარდა აბრუპტივებისა, რომელთაც ნელ შემართვასთან აქვთ ძლიერი დამართვა. მაშასადამე, ქართულში მხოლოდ აბრუპტივი მიისწრაფვის, მიეკედლოს მომდევნო მარცვალს; დანარჩენი თანხმოვნები ნეიტრალურია ამ თვალსაზრისით: შეუძლიათ მიეკედლონ როგორც წინ მდგომ, ისე მომდევნო მარცვალს. ყოველ შემთხვევაში, ქართულ მარცვალს, გ. ახვლედიანის აზრით, მიდრეკილება აქვს ღიაობისადმი, თუ სხვა ფაქტორი (მაგ., სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა) ხელს არ უშლის; ქართულ მარცვალს ადვილად შეუძლია გათავდეს არა მხოლოდ ხმოვნით (ე.ი. იყოს ღია), არამედ სონორული თანხმოვნებითაც, მაგ.: დარ-დი — და-რდი (არც ერთი არ არღვევს ქართული მარცვლის ბუნებას); მარ-ცვა-ლი — მარცვა-ლი და ა.შ. ლ. შჩერბას თეორია კარგად უდგება გაორკეცებული თანხმოვნის დაშლას; მაგ., დიდ-დება, ლომ-მა. დანარჩენ შემთხვევებში იგი უფრო გამოსადეგია მარცვალთგასაყარის დასადგენად რუსულში, ფრანგულსა და სხვა ისეთ ენებში, სადაც არის ამ ენებისებური შემართვა-დამართვა.

დამარცვლის წესები.

ქართულში მარცვლის ფონეტიკური საზღვრის განხილვასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ აქცესიური და დეცესიური კომპლექსების ბუნება.

გ. ახვლედიანმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაადგინა ბგერათშეერთების მესამე წესი; ის მდგომარეობს თანხმოვანთა კომპლექსის წარმოთქმისას ერთჯამიერობისაკენ მიდრეკილებაში, რაც ნათელს ჰფენს წარმოთქმის ბევრ თავისებურებას.

თანხმოვანთა წარმოთქმისას ერთჯამიერობისაკენ მიდრეკილებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კომპლექსის პირველი კომპონენტი იწარმოება წინა არტიკულაციით, მომდევნო – უკანა არტიკულაციით. მაგ., ბღ, ფთ, წკ, ტკ და ა.შ. აღნიშნული კომპლექსების წარმოთქმა ერთჯამიერია. ამ კომპლექსებს გ. ახვლედიანმა უწოდა დეცესიური ანუ იქითური კომპლექსები. კომპლექსებს, რომლის პირველი კომპონენტი იწარმოება უკანა არტიკულაციით, ხოლო მომდევნო – წინა არტიკულაციით, უწოდა აქცესიური ანუ აქეთური კომპლექსები. მაგ., ლბ, ჯვ, ტბ და ა.შ. ასეთ კომპლექსებში ერთჯამიერობა არ გვაქვს; ცალ-ცალკე ხშვა და სკდომა აქვს როგორც პირველ, ისე მომდევნო თანხმოვანს.

სიძნელეს წარმოადგენს სიტყვის შიგნით თანხმოვანსა და თანხმოვანს შუა მარცვალთგასაყარის დადგენა; მაგ., ა-დგა თუ ად-გა, დო-ქთან თუ დოქ-თან, ზა-ფხული თუ ზაფ-ხული.

პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტადრე სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის საჭიროებისათვის, სულერთია, როგორ დავმარცვლავთ სიტყვას; ოღონდ დამარცვლის წესი უნდა იყოს ადვილი და სავალდებულო უნდა გახდეს ყველასათვის, როგორც ყოველი ორთოგრაფიული წესი. პრაქტიკული დამარცვლის წესებში, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ ხოლმე სიტყვის მორფოლოგიურ შედგენილობას, წესის ადვილად შესწავლის მიზნით, რაც, რა

თქმა უნდა, მართებულია. ამიტომაც, რომ ფონეტიკური დამარცვლა შეიძლება არ ემთხვეოდეს პრაქტიკულს. მაგ., სიტყვა: კაცმა მორფოლოგიური შედგენილობით უნდა დაიმარცვლოს: კაც-მა, მაგრამ ფონეტიკურად (მარცვლის ღიაობისადმი მიდრეკილების გამო) შესაძლებელია ასეთი დამარცვლაც: კა-ცმა.

აქცესიურ-დეცესიურ კომპლექსთა განსხვავებულობა, რომელიც წმინდა ფონეტიკურია, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, პრაქტიკულ დამარცვლაშიც:

როდესაც სიტყვის შიგნით გვაქვს აქცესიური კომპლექსი ორი თანხმოვნისა, პირველი მათგანი მიეკედლება წინმდგომ მარცვალს, ხოლო მეორე – მომდევნო მარცვალს; მაგ.: დოქ-თან (ემთხვევა მორფოლოგიურ დამარცვლას), შახ-ტე-ბი, იღ-ბა-ლი და ა.შ.

როდესაც სიტყვის შიგნით გვაქვს ორი თანხმოვნის დეცესიური კომპლექსი, თანხმოვნები დაუშლელად მიეკედლება მომდევნო მარცვალს; მაგ.: ფა-ცხა; სი-ტყვა (ემთხვევა მორფოლოგიურს, მაგრამ პრაქტიკულად მიუღებელია სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის თვალსაზრისით); ე-პყრო-ბა (აგრეთვე), უ-თხრა (აგრეთვე) და ა.შ.

ქართულში, ისე როგორც ენათა დიდ უმრავლესობაში, მარცვალთგასაყარი სონორობის მიხედვით ყველაზე უფრო კონტრასტულ ბგერებს შორის არის. ამის საფუძველზე ს. ჟღენტმა რამდენიმე წესი ჩამოაყალიბა:

ა. აბრუპტივები, როგორც ყველაზე უფრო მცირე სონორობის მქონე ბგერები, ყოველთვის მიისწრაფვიან მომდევნო მარცვალს მიეკედლონ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს,

აბრუპტივი ცალკეა თუ ჰარმონიულ კომპლექსში, მაგ., მატლი, სა-ვბი-ლო, სი-ყვა-რუ-ლი, მო-ყმე, ა-კლი-ა და სხვა.

ბ. მარცვალთგასაყარი ყოველთვის ჰარმონიულ კომპლექსთა წინაა. მაგ., ა-ბგა, ა-დგა, ა-პვი და ა.შ.

გ. ორ ხმოვანს შუა მოქცეული თანხმოვანი ყოველთვის ძლიერდამართვიანია და მარცვლის ფონეტიკური საზღვარიც მის წინაა, მაგ., ე-ნა, ზე-ნა, ხი-ლი, ა-ვი და სხვა.

დ. თუ ორ ხმოვანს შუა ორი ერთნაირი თანხმოვანი მოექცევა, ასეთი თანხმოვნები ორმწვერვალიანია და მარცვალთგასაყარიც მათ შუა არის, მაგ., სამ-მა, ე-ქიმ-მა, ა-დიდ-და...

ე. ორ ხმოვანს შუა მოქცეული ორი სხვადასხვა თანხმოვნიდან თუ ერთი ძლიერშემართვიანია და მეორე ძლიერდამართვიანი, მაშინ მარცვალთგასაყარი მათ შუა არის, მაგ., ვარ-დი, მარ-ცვა-ლი, სირ-ცხვი-ლი, სარ-ტყე-ლი და სხვ.

ვ. თუ ხმოვნებს შუა მოქცეული ორი ან სამი თანხმოვნიდან პირველი ჩქამიერია და მეორე ან მესამე – სონანტი, მაშინ მარცვლის ფონეტიკური საზღვარი მათ წინ იქნება, მაგ., კა-ცმა, ა-გლე-ჯა, სი-გრი-ლე, სი-გრძე, ნე-დლი, სი-ვრცე და სხვ.

2.7. მახვილი და ინტონაცია

2.7.1. მახვილი

ენაში მეტყველების პროცესში შეიძლება გამოიყოს: ბგერა, მარცვალი, სიტყვა და ფრაზა, ანუ გამონათქვამი. ბგერის, მარცვლის, სიტყვის, ფრაზის ანუ გამონათქვამის სხვადასხვა აკუსტიკური ნიშნით გამოყოფა-გამოჩინებას ეწოდება მახვილი.

დინამიკური მახვილი ეწოდება მეტყველების ელემენტის გამოყოფა-გამოჩინებას სიძლიერით, ხოლო მუსიკალური ანუ ტონური მახვილი — ტონის სიმაღლით; როცა გამოყოფა-გამოჩინება ხდება ხანგრძლივობით, მახვილი ხანგრძლივობისა ანუ კვანტიტატიურია (ლათ. ქვანტიტატის – “რაოდენობა“, “ხანგრძლივობა“).

დინამიკური მახვილის მეორე სახელწოდებაა ექსპირატორული (ან ექსპირაციული) მახვილი. ამ ტერმინს იყენებენ იმ თეორიის მომხრენი, რომლის თანახმად სიძლიერის მახვილის წარმოქმნის ფაქტორია ძლიერი ამოსუნთქვა (ექსპირაცია); ხოლო ტერმინს დინამიკური მახვილი ხმარობენ ამის საწინააღმდეგო თეორიის მომხრენი, რომელთა აზრითაც, ასეთი მახვილის წარმომქმნელია საწარმოთქმო ორგანოთა არტიკულაციური დამაბულობა.

მარცვლის, სიტყვისა თუ შესიტყვების ფარგლებში ორივე სახის მახვილის და, განსაკუთრებით, მუსიკალური ანუ ტონური მახვილის სახეცვალებას ინტონაცია ეწოდება.

ენებში, ჩვეულებრივ, წმინდა დინამიკური ან წმინდა მუსიკალური მახვილი შედარებით იშვიათად გვხვდება (სუფთა დინამიკური მახვილის მაგალითად ასახელებენ ჩეხურ ენას). ენებში, სადაც გვაქვს დინამიკური მახვილი, შესაძლებელია, შეგვხვდეს მუსიკალური მახვილის ელემენტები ან პირიქით: იქ, სადაც გვაქვს მუსიკალური

მახვილი, შესაძლებელია შეგვხვდეს დინამიკური მახვილის ელემენტები.

დინამიკური მახვილი სიტყვაში შეიძლება იყოს ფიქსირებული (უძრავი, მიმაგრებული) ან არაფიქსირებული (მოძრავი, თავისუფალი) რომელიმე ბერასა თუ მარცვალზე. ფიქსირებული მახვილი ყოველთვის ერთსა და იმავე მარცვალზეა.

ლოგიკურ-ემოციური მახვილი და ლინგვისტური მახვილი.

როგორც დინამიკური, ისე მუსიკალური მახვილის სახეცვლილება მრავალფეროვანია მარცვალში, სიტყვასა და შესიტყვებაში; იგი სხვადასხვა სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ რას გამოხატავს მიქმელი: თხრობას, კითხვას, ძახილს, გაკვირვებას, აღტაცებას, სასოწარკვეთილებას, გაჯავრებას, ალერსსა და ა.შ. კიდევ მეტიც: თითოეული ამათგანის გამოხატვა შესაძლებელია მრავალგვარი იყოს; სხვადასხვა ინტონაციით შეიძლება წარმოითქვას თხრობა – იმის მიხედვით, თუ ვის მოვუთხრობთ (დიდსა თუ პატარას, უფროსსა თუ უმცროსს, შინაურულად თუ ოფიციალურად...), დამარწმუნებლობის რა ძალა გვინდა მივცეთ ჩვენს თხრობას (ზღაპარს მოვუთხრობთ თუ ნამდვილს, დადებითი მსჯელობაა თუ კრიტიკულ-უარყოფითი) და ა.შ. თითოეული მათგანის წარმოთქმისათვის დამახასიათებელია თავისებური მახვილი.

ამგვარ მახვილთა ერთობლიობას ეწოდება ლოგიკური ანუ ინტელექტუალური მახვილი, რამდენადაც მას შეუძლია გამოხატოს აზრის ნაირფეროვნება და ემოციური, რამდენადაც იგი გადმოსცემს გრძნობათა ნაირფეროვნებას. საერთოდ, მას უწოდებენ ლოგიკურ-ემოციურს ანუ მოკლედ: ლოგიკურ მახვილს. ძნელია ყოველ კერძო შემთხვევაში

დადგინდეს, თუ როდისაა იგი წმინდა ლოგიკური ან წმინდა ემოციური.

საკუთრივ ლოგიკურ მახვილს ეძახიან შესიტყვებაში რაიმე მხრივ მეტად მნიშვნელოვანი სიტყვის გამოყოფა-ხაზგასმას. მაგ., წინადადებაში: “მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“ (აკაკი წერეთელი) ჩვენ თითოეული სიტყვა, რომელსაც საჭიროდ ვცნობთ, შეგვიძლია გამოვყოთ გაძლიერება-ამაღლებით, მივანიჭოთ მას დანარჩენ სიტყვებზე მეტი მნიშვნელობა: მე (და არა ვინმე სხვას), ჩანგური (და არა ფანდური), მინდა (და არა მაქვს), სიმართლეს (და არა სიყალბეს) და ა.შ. თითოეულ გამოყოფილ სიტყვას შეუძლია ჰქონდეს ლოგიკური მახვილი. ლოგიკურ-ემოციური და საკუთრივ ლოგიკური მახვილები, რომლებიც გამოიხატება მეტყველების ელემენტთა გაძლიერებაში (ე.ი. დინამიკურად) ან სიმალლეში (ე. ი. მუსიკალურად), აქვს მეტ-ნაკლებად ყოველ ენას. მაგრამ, ამასთანავე, ყოველ ენას აქვს ტრადიციულად მასში დამკვიდრებული მახვილის ტიპი, რომელიც დამახასიათებელია მისთვის და ასხვავებს ამ ენას ზოგიერთი სხვა ენისაგან. ასეთ მახვილს ვუწოდებთ ლინგვისტურ მახვილს.

მაშასადამე, ისეთ მახვილს, რომელიც ტრადიციულია მოცემული ენისათვის, ეწოდება ლინგვისტური მახვილი.

ლოგიკურ-ემოციურსა და ლინგვისტურ მახვილებს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი მოქმედებს მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში და დამოკიდებულია იმაზე, თუ აზრის ან გრძნობის რა ელფერია გამოსახატავი, ხოლო მეორე (ლინგვისტური) მოქმედებს ყოველ შემთხვევაში და დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა არის გამოსახატავი. მაგ., რუსულ სიტყვაში: *пыка* ლინგვისტური მახვილი გამოიხატება იმაში, რომ მახვილი ამ სიტყვაში ბოლო მარცვალზეა და

დინამიკურია: ეს სიტყვა როცა ან როგორც არ უნდა წარმოვთქვათ (თხრობით, კითხვით, გაკვირვებით...), მახვილი ბოლოზეა და იგი დინამიკურია. ლინგვისტური მახვილი ზოგიერთ ენაში გამოყენებულია სიტყვათა ან სიტყვის ფორმათა განსასხვავებლად.

მარცვალთმახვილი, სიტყვათმახვილი და ფრაზის (შესიტყვების) მახვილი. ფონეტიკაში გარჩეულია სამი ცნება: მარცვალთმახვილი, სიტყვათმახვილი და ფრაზის (შესიტყვების) მახვილი. მეტყველების დროს სამივე ოდენობა ერთად გამოვლინდება, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშანი.

როდესაც ლაპარაკია მახვილზე, ჩვეულებრივ, გულისხმობენ ხოლმე სიტყვათმახვილს (და არა მარცვალთმახვილს ან შესიტყვების მახვილს) და მხედველობაში აქვთ ორ- ან მეტმარცვლიანი სიტყვა. სინამდვილეში კი თავისებური მახვილი აქვს ერთმარცვლიან სიტყვას და, მაშასადამე, ცალკეულ მარცვალსაც. მარცვალთმახვილი არსებითად განსხვავდება სიტყვათმახვილისგან.

მარცვალთმახვილი. მარცვალთმახვილი ეწოდება ბგერათსიმლიერეს (დინამიკურობის შემთხვევაში) ან ბგერათსიმალეს (მუსიკალურობის შემთხვევაში) და მათ მოდულაციას ერთი მარცვლის ფარგლებში, რითაც ერთი მარცვალი განსხვავდება სხვა მარცვლისაგან ან უპირისპირდება მას. დინამიკური მარცვალთმახვილი შეიძლება იყოს, მაგ.: თანდათან გაძლიერებული (აღმავალი), თანდათან დასუსტებული (დამავალი) და გაძლიერებულ-დასუსტებული (აღმავალ-დამავალი) და სხვ.

მუსიკალური მახვილის სახეებია, მაგ.: თანდათან ამალეებული (აღმავალი), თანდათან დადაბლებული

(დამავალი) და ამაღლებულ-დადაბლებული (აღმავალ-დამავალი) და სხვ.

სიტყვათმახვილი. ერთზე მეტმარცვლიან სიტყვაში ერთ-ერთი მარცვლის დანარჩენ მარცვალთაგან სიძლიერით ან სიმადლით გამოყოფა-გამოჩინებას ეწოდება სიტყვათმახვილი, ხოლო ამგვარად გამოყოფილ მარცვალს — მახვილიანი მარცვალი.

სიტყვათმახვილი განსხვავდება მარცვალთმახვილისაგან იმით, რომ სიტყვათმახვილისათვის მთავარია მახვილიანი მარცვლის გამოყოფა-გამოჩინება ამავე სიტყვის დანარჩენ მარცვალთაგან, ხოლო მარცვალთმახვილისათვის მთავარია სიძლიერე-სიმადლის მოდულაცია ერთი მარცვლის ფარგლებში. სიტყვათმახვილი წარმოადგენს სიტყვის ფონეტიკური მთლიანობის ფაქტორს: მას ექვემდებარება სიტყვის დანარჩენი მარცვლები; მარცვალთმახვილი მხოლოდ უპირისპირდება თავისი სიძლიერე-სიმადლითა და მოდულაციით სხვა მარცვლებს. ერთზე მეტმარცვლიან სიტყვაში სიძლიერე-სიმადლით გამოყოფილი მარცვლის მახვილს ვეძახით სიტყვის მთავარ მახვილს.

ლინგვისტური სიტყვათმახვილი ზოგ ენაში უძრავია, ფიქსირებული, ხოლო ზოგში — მოძრავი, თავისუფალი. უძრავმახვილიან ენებში სიტყვის მთავარი მახვილი მუდამ რომელიმე (პირველ, მეორე, მესამე...) მარცვალზეა ცალკეულ სიტყვაში.

ზოგ ენაში მთავარი სიტყვათმახვილი სიტყვის თავშია (ე.ი. ბოლოდან უკანასკნელ მარცვალზე): ასეთია, მაგ., ჩეხური და ფინური ენები; გერმანულში სიტყვათმახვილი სიტყვის თავშია ან სიტყვის ძირეულ მარცვალზე.

ტიპურად უძრავმახვილიანი ენები კი ყოველ უცხოურ სიტყვას უცვლიან ხოლმე მახვილის ადგილს თავიანთი

სამახვილო ნორმების შესაფერისად. ასეთივეა ქართულიც: ყოველ უცხოურ სიტყვას – საზოგადო თუ საკუთარ სახელს – აძლევს მახვილის ადგილს იქ, სადაც სჩვევია თვითონ ქართულს, მაგ.: ტელეფონი, პროექტორი, პროგრესი, კომპიუტერი, ახმატოვა, ბალზაკი, ტოლერანტი და სხვა.

შესიტყვების მახვილი. შესიტყვების, როგორც სიტყვათა ორგანული შეერთების, მახვილი განსხვავებულია მარცვალთ-და სიტყვათმახვილისაგან. შესიტყვება წარმოადგენს ფონეტიკურ მთლიანობას ყოველთვის: გამოხატავს დამთავრებულ აზრს (ე.ი. წინადადება) თუ აზრის მხოლოდ ნაწილს.

მახვილი შესიტყვების ფონეტიკური მთლიანობის ფაქტორია, ისევე როგორც მარცვლისა და სიტყვის შემთხვევაში. განსხვავება ისაა, რომ შესიტყვებას ამთლიანებს მეტწილად ტონური მახვილი, ინტონაცია, მაშინ როდესაც მარცვალთ- და სიტყვათმახვილი ზოგჯერ დინამიკურია და ზოგჯერ ტონური. ამიტომ შესიტყვების მახვილს ხშირად უწოდებენ შესიტყვების ინტონაციას.

შესიტყვებაში ზოგჯერ მოკლე (ჩვეულებრივ ერთმარცვლიანი) სიტყვები უმახვილოა, რის გამოც ისინი ეკედლებიან მომდევნო ან წინ მდგომ მახვილიან სიტყვას. მაგ., ასეთია: კავშირები, ნაწილაკები, თანდებულები, ზოგიერთი ნაცვალსახელი და სხვა. როცა ისინი ეკედლებიან მომდევნო სიტყვას, მათ უწოდებენ პროკლიტიკებს, ხოლო როცა ეკედლებიან წინ მდგომს – ენკლიტიკებს. “თან წაიყვანეს“ (“თან“ პროკლიტიკა); “მას კი ეძინა“ (“კი“ ენკლიტიკა).

თითოეულ ენას აქვს შესიტყვების მახვილის რამდენიმე ტრადიციულად დამკვიდრებული ტიპი. ესაა შესიტყვების ლინგვისტური მახვილი.

ზოგიერთი მათგანი წერის დროს გამოხატულია სასვენო ნიშნებით. ასეთია, სახელდობრ, შესიტყვების მახვილი თხრობით, კითხვითა და ძახილის შესიტყვებებში.

სასვენი ნიშნები ერთნაირია მრავალ ენაში: თხრობითი შესიტყვების ბოლოს იწერება წერტილი, კითხვითის ბოლოს — კითხვის ნიშანი, ხოლო ძახილის ბოლოს — ძახილის ნიშანი; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული მათგანის შესიტყვების მახვილი ანუ ინტონაცია ერთნაირი იყოს. პირიქით, იშვიათია ორი სხვადასხვა ენა, რომელთაც შესიტყვების ინტონაცია ერთნაირი ჰქონდეთ ერთი და იმავე ტიპის (მაგ., თხრობითის) შესიტყვებაში.

ქართული ენის მახვილი. ქართული სიტყვათმახვილის ბუნებისა და მახვილის ადგილის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება.

ნ. მარის აზრით, ორმარცვლიან სიტყვებში: კაცი, შვილი, ჩემი... მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი, ხოლო სამ და მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზეა; მაგ., ქართველი - ქართველი, მწერალი - მწერალი, ქუთაისი - ქუთაისი, მარგალიტი - მარგალიტი

ოთხსა და ხუთმარცვლიან სიტყვებში ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნდა ორი მახვილის არსებობა. მაგ., მარგალიტი, საქართველო და ა.შ.

ქართული სიტყვათმახვილი ნ. მარს ტონური ბუნების მქონედ მიაჩნდა.

ჰ. ფოგტი და ე. ზელმერი ფიქრობდნენ, რომ ქართულში არა გვაქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არც ტონური მახვილი. მათი აზრით, ქართულში მახვილი ტონურია დინამიკურობის ელემენტებით. მათ მიაჩნდათ, რომ ქართულში მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს - ორმარცვლიან სიტყვებში, ხოლო სამ და მეტმარცვლიან სიტყვებში - ბოლოდან მესამე მარცვალს.

გ. ახვლედიანის მოსაზრებით, ქართულში სიტყვათმახვილი დინამიკურია, ხოლო რაც შეეხება მახვილის ადგილს სიტყვაში, მისი აზრით, ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი, სამ და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მესამე მარცვალი.

ქართული მახვილის საკითხი ფართოდ (არა მხოლოდ მახვილის ადგილის თვალსაზრისით) და შედარებით-ისტორიულად განიხილა არნ. ჩიქობავამ. მისი აზრით, თანამედროვე ქართული სიტყვათმახვილი სუსტდინამიკურია, ხოლო ძველ ქართულში სიტყვათმახვილი ძლიერდინამიკური იყო; ძველ ქართულში მახვილი თავისუფალი იყო, ახალ ქართულში ფიქსირებულია.

ს. ჟღენტს მიაჩნდა, რომ ქართულში სიტყვათმახვილი მუსიკალურ-დინამიკურია და მახვილის საკითხი ქართულში რიტმიკულ ჯგუფებსა და სინტაგმებში უნდა იქნეს განხილული. რაც შეეხება მახვილის ადგილს, მისი აზრით, ქართულში მახვილი სიტყვას ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის.

ქართულში ტონური მახვილის უპირატესობაზე მიუთითებს გ. როგავა. მას მიაჩნია, რომ ქართულში სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში ისტორიულად უნდა გვექონოდა და ამჟამადაც უნდა გვექონდეს ორი განსხვავებული მახვილი — დინამიკური და ტონური; ამჟამად ორივე სუსტია. ადგილის მიხედვით, დინამიკური მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა: ქათამი, ტონური მახვილი კი მეორეზეა ქათამი, ორმარცვლიანში ორივე მახვილი მეორე მარცვალზეა - სახლი.

შ. გაფრინდაშვილიც ქართულში ორ სიტყვათმახვილს ვარაუდობდა: დინამიკურსა და ტონურს: მას მიაჩნდა, რომ დინამიკური პირველ მარცვალზეა, ტონური კი — ბოლოდან მესამეზე.

ი. თევდორაძემ ექსპერიმენტულად გამოიკვლია ქართული ენის სიტყვათმაცხილი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართულში გვაქვს დინამიკური სიტყვათმაცხილი და ეს მაცხილი სიტყვებს თავიდან პირველ მარცვალზე მოუდის; დინამიკურია, აგრეთვე, თანამაცხილიც.

ოთხ- და მეტმარცვლიან სიტყვებში გვაქვს თანამაცხილიც: ოთხმარცვლიანში — ბოლოდან მეორე მარცვალზე, ხუთ და მეტმარცვლიანში — მესამეზე, ექვსმარცვლიანში — უმეტეს შემთხვევაში — მეოთხეზე (შესაძლებელია მესამეზეც); თანამაცხილიც დინამიკურია.

ამრიგად, მაცხილი ქართულში დინამიკურია და სიტყვის დასაწყისს მოუდის. იგი, სხვა ენების მაცხილთან შედარებით, სუსტია.

მაცხილის სახეები ქართულში.

თხრობითი წინადადების მაცხილი ქართულში. ყოველი თხრობითი წინადადება თავდება დაბალი ინტონაციით, რაც წერის დროს აღინიშნება წერტილით. მაგ., “გამოქვაბულში ფაჩუნი გაისმა. იგიმ თვალეზი გაახილა“ (ჯ. ქარჩხაძე).

წინადადებების პირველ სიტყვებში ტონი თანდათან მალდება, ხოლო ბოლოსაკენ დაბლდება. ტონის მოძრაობის საერთო სურათი ასეთია: რაც უფრო ვრცელი და რთულია წინადადება, მით რთულია ტონის მოდულაცია თითოეული ნახევრის შიგნით: “ნამსხვრევები ვიღაცას მოეგროვებინა და ისე მიედო ერთმანეთზე, როგორც მანამ იყო, სანამ დაიმსხვრეოდა, ოღონდ რამდენიმე ნატეხი აკლდა“ (ჯ. ქარჩხაძე). მთავარი და დამოკიდებული წინადადებების მიჯნაზე (აქ სამჯერ: ერთმანეთზე-ს, იყო-ს და დაიმსხვრეოდა-ს ბოლოს) იწერება მძიმე, რაც იმას გამოხატავს, რომ ამ ადგილას ტონი მალდება.

რთულ წინადადებაში ტონი მალდება პირველი წინადადების ბოლოს — სულ ერთია, მთავარია იგი თუ

დამოკიდებული (შდრ.: “ცუდი არ იქნება, თუ წახვალ“ და “თუ წახვალ, ცუდი არ იქნება“).

რთული წინადადების შიგნით ტონის ამაღლებასთან (და, მაშასადამე, მძიმის ხმარებასთან) დაკავშირებით აღვნიშნავთ კიდევ შემდეგს:

მიღებულია მძიმის დასმა რომ-ით დაწყებულ დამოკიდებულ წინადადებაში მხოლოდ რომ-ის წინ; ნამდვილად კი ტონის ამაღლება ხდება რომ-ის შემდეგ; მაგ., “შესაძლოა წინასწარ იცოდე მხატვარმა კიდევაც, რომ შენს სურათს ზედაც არ შეხედავს არავინ, გული საგულეს უნდა გქონდეს მაინც“ (ვ. გამს.). მოყვანილ მაგალითში ინტონაცია იცვლება რომ-ის შემდეგ: ტონი მაღლდება.

საყურადღებოა, აგრეთვე, ტონის ამაღლება წინადადების შიგნით ერთგვაროვან წევრთა განმეორებისას; მაგ.: “...დამერწმუნე, ჭაბუკო, ყველაზე კარგი სურათი იგია, რომელსაც არც უფლისციხეში, არც კონსტანტინეპოლში, არც ქაიროში არ ყიდულობენ ამჟამად“ (ვ. გამს.); თითოეული ერთგვაროვანი წევრი, უკანასკნელის გარდა, წარმოითქმება ამაღლებული ტონით წყვეტილად (ე. ი. ხმა შეწყდება მომდევნო სიტყვის დაწყებამდე). ტონის ასეთ ამაღლებას ვეძახით მოლოდინის ინტონაციას.

ასეთი ინტონაცია გვაქვს თვლისას, სადაც თითოეული ამაღლებული ტონი გვიჩვენებს თვლის გაგრძელებას, ხოლო დადაბლებული – თვლის დასრულებას: ერთი, ორი, სამი, ოთხი.

ამგვარად, თხრობითი ტიპის ყველა შესიტყვებისათვის საერთოა დამავალი ინტონაცია.

კითხვითი წინადადების მახვილი ქართულში. კითხვის ნიშანი იწერება ყოველი კითხვითი შესიტყვების ბოლოს. კითხვითი ინტონაცია ყოველთვის ერთნაირი არაა. მაგ.:

- ვინ გასწავლიდა ბიზანტიონში ფერწერას?
- მხატვართუხუცესი ავრელიუს ალოსტოს.
- ავრელიოს ალოსტოს! როდოსელი ბერძენი, არა?
- როდოსელი ბერძენი, დიახ! (კ. გამს.).

კითხვითი ინტონაციის უმრავლესობა ჯგუფდება ორი მთავარი ტიპის გარშემო: ერთია ის ტიპი, რომლის დროსაც ინტონაცია აღმავალია (ბოლო სიტყვის ტონი მაღლდება: ავრელიოს ალოსტოს! როდოსელი ბერძენი, არა?).

მეორეა ის, რომელშიც ინტონაცია დამავალია შესიტყვების ბოლოს, მაგრამ ტონი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება შესიტყვების შიგნით, კერძოდ, კითხვითს სიტყვაზე: ვინ გასწავლიდა?

პირველი ტიპის ინტონაცია მაშინ გვაქვს, როცა შესიტყვებაში კითხვითი სიტყვა არაა; ხოლო მეორე ტიპისაა, - როცა შესიტყვებაში კითხვითი სიტყვა არის.

საყურადღებოა, რომ მეორე ტიპის კითხვითი წინადადების შიგნით სიძლიერე სჭარბობს სიმაღლეს. იმავე ტიპის შესიტყვებაში ინტონაცია, როგორც ითქვა, დამავალია, მაგრამ არა იმდენად დაბალი, როგორც თხრობითში, ე.ი. კითხვითი შესიტყვების მეორე ტიპის ინტონაცია უფრო მაღალია, ვიდრე თხრობითისა.

აღვნიშნავთ, აგრეთვე, ისეთ შემთხვევას, როცა კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა არის, მაგრამ ინტონაცია აღმავალია. ასეთია ე.წ. განმეორებული შეკითხვის ინტონაცია: როდის მიდიხარ? (ჩვეულებრივი მეორე ტიპის ინტონაცია). მაგრამ როცა ამ შეკითხვის მთქმელმა პასუხი (ხვალ, ზეგ...) ვერ გაიგონა, ან გაიგონა, მაგრამ დაავიწყდა, - ხელმეორედ ჰკითხა: როდის მიდიხარ? - აქ გვაქვს ისეთივე აღმავალი ინტონაცია, როგორც პირველ ტიპში - მიუხედავად იმისა, რომ შესიტყვება მეორე ტიპისაა.

მახილის წინადადების მახვილი ქართულში. მახილის წინადადებაში შეიძლება გამოიხატებოდეს ბრძანება, ნატვრა, თხოვნა, წაქეზება, გაკვირვება, აღტაცება, მწუხარება... ამის კვალობაზე მრავალფეროვანია მახილის წინადადების ინტონაცია. მაგრამ წერაში შესიტყვების ნიშანი ერთია - მახილის ნიშანი:

“მართა წამოდგა! მართა წამოდგა!”; “ვაი, ჩემს თავსა!”; “ღმერთო, მიშველე! ღმერთო მიშველე!”; “მონასტერში წადი, ოფელია, მონასტერში!”(გ. ჩოხელი) ...

მახილის წინადადებაში მახვილი, ძირითადად, შესიტყვების შიგნით ჩანს; ეს მახვილი უფრო ხშირად დინამიკურია და არა ტონური.

2.7.2. ინტონაცია

ინტონაცია ისეთი ენობრივი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც წინადადების გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობა იღებს კონკრეტულ გამოსახულებას.

ინტონაციას შეუძლია წინადადებას მიანიჭოს სხვადასხვა მნიშვნელობა. ინტონაცია ისევე აუცილებელია ენისათვის, როგორც ფონემა. ინტონაცია არის წინადადების მნიშვნელობის აუცილებელი კომპონენტი.

ინტონაციას ქმნის მახვილის, ძირითადი ტონის, ხანგრძლივობის, პაუზისა და ტემპის ერთიანობა დროში. აღნიშნული კომპონენტების როლი წინადადების ინტონაციისათვის არ არის ერთგვარი ღირებულების. ამათგან ძირითადი ტონის მოძრაობა, ინტერვალები ტონებს შორის და მახვილი წინადადების აუცილებელი კომპონენტებია.

ინტონაცია გადმოსცემს მოლაპარაკის ემოციებს, გრძნობებს, სურვილებს.

ინტონაციით შესაძლებელია განვასხვაოთ წინადადების სხვადასხვა კომუნიკაციური ტიპი: თხრობის, კითხვითი,

პასუხის, ჩამონათვალის, დაპირისპირების, ძახილის, გაკვირვების და ა.შ.

III თავი

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხები

3.1. სამეტყველო ბგერათა სინტაგმატური მიმართებები

ხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი. ენის ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით საყურადღებოა ხმოვანთა ის კომპლექსები, რომლებიც რეალიზებულია ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავკიდურად - პაუზის მომდევნო (¹-), ბოლოში - პაუზის წინა (-¹) და სიტყვის შიგნით - თანხმოვანთა შორის (ჩ-ჩ) პოზიციაში.

თეორიულად მოსალოდნელი 50 შესაძლებლობიდან ქართულში სიტყვის თავკიდურად და ბოლოში სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე ქართული წარმომავლობის სიტყვებში რეალიზებულია ხმოვანთა 8 კომპლექსი: ¹ია-, ¹იე-, ¹იო- და -აო¹, -ეო¹, -ოა¹-, -ია¹-, -უა¹ — შესაძლებლობის 16%.

თ. უთურგაიძის აზრით, დადასტურებული ფორმები მეორეულია ქართული ენის სისტემისათვის: მიღებულია სესხების ან მორფემათა შორის გრამატიკულ-ლექსიკური ზღვარის წაშლით. ჩვენი აზრით, ქართულში აკრძალული არ შეიძლება იყოს ი და უ ბგერების შემცველი ხმოვანთკომპლექსები, რამდენადაც ზეპირი მეტყველების დროს ხმოვანთა მეზობლობაში ი და უ უმარცვლო

ვარიანტებად რეალიზდება, თუმცა, მისაღებია დებულება: ქართული ენისათვის დამახასიათებელი არ იყო ხმოვანთა კომპლექსი ერთი მორფემის ფარგლებში.

შდრ.: ქართულში ერთი მორფემის ფარგლებში თანხმოვანთა შორის (ჩ-ჩ პოზიცია) ვოკალური კომპლექსები უფრო ხშირია, ვიდრე სიტყვის თავკიდურად (1-ჩ პოზიციაში), თუმცა, ჩ-ჩ პოზიციაშიც ხმოვანთკომპლექსი ვლინდება ან ნასესხებ ლექსიკაში, ან მიღებულია მორფემათა შეხორცებით (ე.ი. ხმოვნებს შორის ისტორიულად მორფემათა საზღვარი ივარაუდება); ასეთ შემთხვევაში წარმოქმნილია საზიარო არტიკულაციის მქონე ორი ერთნაირი ხმოვანი, ან კომპლექსის ერთ-ერთი წევრი ქცეულია ი-დ, ან უ-დ... მაგ.: ზენაარი (სპარს.-არაბ.), ბაასი (არაბ.), მასლაათი (არაბ.), ვეება/ვეებერთელა (არაბ.), პერპეტუუმ მობილე (ლათ.), მაიმუნი (არაბ.), მუყაითი (არაბ.), ყაირათი (თურქ.), ფაიფური (ბერძნ.), პაიკი (სპარს.), თაიგული (სპარს.), ბაირადი (თურქ.), ყაურმა (თურქ.), აზნაური (სპარს.), ჭიჭნაუხტი (სპარს. სომხურის გზით), ვარაუდი (არაბ.), ჩაუქი (სპარს.)...

რამდენადაც ფონემატური სტრუქტურით აკრძალულია ხმოვანთა უშუალო მეზობლობა, მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა კომპლექსის ცვლილება უნდა წარიმართოს ამ კომპლექსის დაშლისაკენ - მოიშლება ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა. ხმოვანთა კომპლექსების დაშლა ენაში შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვაგვარად: ასიმინაციის გზით (აუ>ოუ>უუ>უ>უ), დიფთონგიზაციისა (რესპ. დისიმინაციისა) (უა>ჟა>ვა>ა) და შერწყმის გზით (აა>ა>ა)¹⁹.

¹⁹ იშვიათ შემთხვევაში ხმოვანთკომპლექსი შენარჩუნებულია ა, ო, ე ხმოვნების შემთხვევაშიც: ნაოჭი (< ნაოჭ-ი), ჭაობი (ჭა-ობ-ი), დაისი (შდრ. ა-ის-ი); და სხვ.. აქ ყველაგან გვაქვს მორფემათა ზღვარი (ნაოჭი შდრ. ძვ. ქართ. შე-ოჭვა; ჭა-ობ-ი შდრ.: ბექ-ობ-ი, ჭყანტ-ობ-ი (ა.

ამრიგად, ფონემატური სტრუქტურის "დაწოლის" გამო ხმოვანთა კომპლექსების სწრაფვა ერთმარცვლონობისაკენ დამახასიათებელია ქართული /ქართველური/ ენობრივი სამყაროსათვის.

თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი. ენის ფონემათა სინტაგმატურ სტრუქტურაში გასარკვევად გამოიყოფა ფონემათა კლასები. კლასი აერთიანებს ფონემებს, რომლებიც სისტემაში ერთიმეორეს ჰგავს ფუნქციით.

ფონემურ კლასთა სინტაგმატური მიმართებანი განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ მორფემათა ზღვარზე და მორფემის ფარგლებში.

პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ სიტყვის თავკიდურა კომპლექსები მორფემების ფარგლებში.

ქართულ ენას ერთი მორფემის ფარგლებში არ ახასიათებს იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსი. ამ ვითარებიდან ამოსვლით, აკრძალული კომპლექსების მიხედვით თ. უთურგაიძემ გამოყო მსგავსი ფუნქციის მქონე ფონემების ოთხი კლასი: ჩ₁ კლასი, რომელიც აერთიანებს ბაგისმიერ თანხმოვნებს: /ბ ფ ვ მ ვ/; ჩ₂ კლასი, რომელშიც შედის წინაენისმიერი თანხმოვნები: /დ თ ტ ძ ც წ ზ ს ჯ ჩ ჭ ქ შ/; ჩ₃ კლასში ერთიანდება რ ლ ნ ფონემები. ეს კლასი გამოყოფილია მხოლოდ ფონემატურ საფუძველზე; კლასის წევრები სიტყვის თავკიდურად ერთი მორფემის ფარგლებში ერთიმეორეს არ მოსდევენ.

ჩ₄ კლასი აერთიანებს უკანაენისმიერებს, ფარინგალებსა და ლარინგალებს — /გ ქ კ ლ ხ ყ ჯ ჰ ჭ/. მართალია, /ჰ/ და /ღ/ მხოლოდ მორფემათა შესაყარზე შედიან სხვა მორფემებთან კომბინაციაში, მაგრამ ისინი შეიძლება გავაერთიანოთ ჩ₄

შანიძე, 1953, გვ. 131), გარდა ამისა, არსებით როლს თამაშობს მარცვალოთგამყარიც.

კლასში, რადგან ვერ არღვევენ აკრძალვის ძირითად ფონემატურ წესს მორფემის ფარგლებში.

საბოლოოდ, ოთხივე კლასისათვის ძირითადი ფონემატური წესი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ერთი და იმავე კლასის წევრები ერთი მორფემის შიგნით კომბინაციაში არ შედის ერთიმეორესთან სიტყვის თავკიდურა პოზიციაში.

არსებობს გამონაკლისებიც, რომლებიც ქმნიან უხერხულობას. თ. უთურგაიძე მიუთითებს ამ ფორმათა ნასესხობაზე ანდა მორფოლოგიურ საზღვარზე კომპლექსის კომპონენტებს შორის.

3. ფოგტმა თანხმომენები სამ კლასად დააჯგუფა: ხშულები, სიბილანტები და სონანტები.

გ. ნებიერიძის კლასიფიკაციით, თანხმომენთა პირველ კლასში ერთიანდება ხშული თანხმომენები (ჩ კლასი), მეორეში — ფრიკატივები (F კლასი), მესამეში — სონორები (შ კლასი). კლასიფიკაცია ხდება სონორობის ხარისხის მიხედვით. ფონემათა მე-4 კლასს ქმნიან ხმომენები (V კლასი).

კლასის ფარგლებში ფონემები დალაგებულია სონორობის მატებით: მომდევნო ფონემა წინას აღემატება სონორობის ხარისხით.

ჩ (ხშულთა კლასი):

პ<ფ<ბ<ტ<თ<დ<წ<ც<ძ<ჭ<ჩ<ჯ<კ<ქ<გ<ყ;

F (ფრიკატივთა კლასი): ს<ზ<შ<ყ<ხ<ღ;

შ (სონორთა კლასი): ვ<მ<ნ<ლ<რ;

V (ხმომენთა კლასი): უ<ი<ო<ე<ა.

კლასთა შორის სონორული მიმართება კი გამოხატულია ფორმულით: ჩ<F<შ<V.

ფონემურ კლასთა მიმართებანი. სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ენისათვის დამახასიათებელი კონსონანტური კომპლექსების განხილვის მიზნით თ. უთურგაიძემ

თანხმოვნები დაყო ორ დიდ კლასად — ხშულთა (ჩ) და ნაპრალოვანთა (არახშულთა) (ჩ⁰) კლასად.

ხშულები (ჩ): /ზ ფ ვ დ თ ტ მ ც წ ჯ ჩ ჭ გ ქ კ ჯ/.

ნაპრალოვნები (ჩ⁰): /ზ ს ჟ შ ღ ხ ყ ვ მ ნ რ ლ/.

ამ ორი კლასის თანხმოვანთა სინტაგმატური მიმართებები განხილულია შემდეგი ფორმულების მიხედვით: ჩჩ⁰, ჩ⁰ჩ, ჩჩ, ჩ⁰ჩ⁰.

ჩჩ⁰ ფორმულა გამოხატავს აღმავალი ანუ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსთა მოდელს, სადაც მეორე წევრი (ნაპრალოვანი) პირველს (ხშულს) აღემატება ნაპრალოვნობით;

ჩ⁰ჩ ფორმულა გამოხატავს დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსთა მოდელს, სადაც ნაპრალოვან თანხმოვანს მოსდევს ხშული;

ჩჩ ფორმულით გამოხატულია ხშულთა (ნულოვანი ნაპრალოვნობის) კომპლექსების მოდელი;

ჩ⁰ჩ⁰ ფორმულის კომპლექსები ნაწილდება მზარდი და დამავალი ნაპრალოვნობის მოდელებს შორის იმის მიხედვით, კომპლექსი აღმავალი ნაპრალოვნობისაა თუ დამავალი ნაპრალოვნობის.

ერთი და იმავე კლასის თანხმოვანთა კომბინაციების გამორიცხვის შედეგად, თ. უთურგაიძემ მიიღო შემდეგი დებულებები:

1. ჩჩ⁰ კომბინაცია დაშვებულია სხვადასხვა კლასის ჰომოგენურ ჩქამიერ თანხმოვნებს შორის;
2. სონორთათვის არ არსებობს ჩჩ⁰ ფორმულაში ჰომოგენურობის შეზღუდვა: ისინი მოსდევნ ნებისმიერ ხშულს.

კომპლექსის კომპონენტთა განსხვავებული კლასის წევრობა და ჰომოგენურობა ჩქამიერთა წყვილში — ესაა შეზღუდვები, რომლებიც საფუძვლად ედება ჩჩ⁰ მოდელის კომპლექსებს.

თ. უთურგაიძეს მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები ქართული ენისათვის დამახასიათებელ კომპლექსებად მიაჩნია.

ჩ⁰ჩ კომპლექსებიდან თეორიულად მოსალოდნელი შესაძლებლობიდან რეალიზებულია 30%. კომპლექსების დიდი ნაწილი ერთი ან ორი ფორმით არის რეალიზებული. ასეთ კომპლექსებს თ. უთურგაიძე ენის არაპირითადი მოდელის კომპლექსებს უწოდებს და მეორეულად მიიჩნევს. ისინი ენაში მიიღება სესხების გზით, მორფემათა შერწყმის ნიადაგზე, ან სხვა რიგის მორფოფონემატური ცვლილებების შედეგად.

ჩჩ ცხრილის კომპლექსებსაც, მსგავსად ჩ⁰ჩ ცხრილის კომპლექსებისა, თ. უთურგაიძე უწოდებს ენის არაპირითადი მოდელის კომპლექსებს, ვინაიდან ამათაც ახასიათებს მცირე რეალიზაცია კომპლექსის ფარგლებში. ამავე დროს, ეს ფორმები დამახასიათებელია ცალკეული ქვესისტემებისათვის და არ წარმოადგენს მთელი ენის კუთვნილებას. ჩჩ ცხრილის ნულოვანი ნაპრალოვნობის კომპლექსები მეორეულია. მაგ., დგ- დეგ (დოგმა, დგამი; შდრ. დავდეგ), ჭდ- ჭიდ (ჭდობა, ჭდომა; შდრ. მოეჭიდა)...

ჩ⁰ჩ⁰ კლასის ფარგლებში კომბინაციათა გამორიცხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ /ზსჟშ/ მეორე კლასის ნაპრალოვან ფონემათაგან თითოეულს შეიძლება მოსდევდეს სხვა კლასის ჩქამიერი ნაპრალოვანი ფონემა, თუ ჰომოგენური იქნება. ლაპარაკია /ღხ/ ფონემებზე; /ყ/, როგორც მკვეთრი ნაპრალოვანი ფონემა, მჟღერთა და ფშვინვიერთა კომბინაციებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მაშასადამე, ჰომოგენურობის დაცვით რეალიზებულია ზღ-, სხ-, ჟღ-, შხ- კომპლექსები.

გამოყოფილია კიდევ ერთი რიგის კომპლექსები. ესაა წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსი: ბრძ- (ბრძენი,

ბრძანება...), ბრჯ- (ბრჯენა), ბრწყ- (ბრწყინავს), ბრდღვ- (ბრდღვინავს), ფრჩხ- (ფრჩხილი) და სხვა.

ამ ტიპის კომპლექსებში მზარდი ნაპრალოვნობა წყდება ხშულით. ხშულს, რომელიც მზარდ ნაპრალოვნობას წყვეტს, შეიძლება მოსდევდეს ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ეს ხშული საწყისი ხდება მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსისა, მაგ.: ბრწყ-, ბრდღვნ-, ბრტყ-, ფრჩხ- კომპლექსებში დასაწყისის წყვილები (ბრ-, ფრ-) და ამავე კომპლექსთა მეორე ნახევრის ხშულით დაწყებული კომპლექსები (-წყ-, დღვნ-, ტყ-, ჩხ-) მზარდი ნაპრალოვნობის მოდელის კომპლექსებია.

ბრტყ-, ბრდღვ- ... ტიპის წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსები ისტორიულად რთული შედგენილობის ჩანს, მიღებული მორფემათა შერწყმით; ამათ შემდეგში განიცადეს მთელი რიგი მორფოფონემატური ცვლილებები. ამ მორფოფონემატურ ცვლილებას შედეგად მოჰყვა ენის ძირითადი ფონემატური სტრუქტურით დაუშვებელი კომპლექსების გაჩენა სიტყვის დასაწყისში და, ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო ნაირ-ნაირი დუბლეტების გაჩენა; მართლაც, ქართული ენის ქვესისტემებში ვხვდებით ასეთ პარალელურ ფორმებს: ვრცელი/ვცელი, ბრდღვნა/ ბდღვნა, ფრჩხილი/ ფჩხილი/მჩხილი, ფჩხვნა/ფშხვნა, ბრტყელი/მტყელი/ პტყელი/ტყელი...

ინტერვოკალური კონსონანტური კომპლექსები. ქართულში V-V პოზიციაში დაშვებულია ნებისმიერი ორი თანხმოვნის ნებისმიერი კომბინაცია. ინტერვოკალურ პოზიციაში, როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ლექსიკაში, ორკომპონენტური კომპლექსი ცვლილებას არ განიცდის, რადგან მარცვლის გამყარი ამ თანხმოვნებს შორის გაივლის. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ფორმაში ორ ხმოვანს შორის შევხვდებით ისეთ კომპლექსებს, რომლებიც არასოდეს

დასტურდება თავკიდურად და სიტყვის ბოლოს; მაგ.: საპალნე, მელან-მელნის, ბალან-ბალნის... ქართულში ღნ საერთოდ არ გვხვდება სიტყვის თავკიდურად და ბოლოში.

V-V პოზიციის თანხმოვანთა კომპლექსები (მათ შორის, სამ- და მეტკომპონენტია) ენაში უნდა აკმაყოფილებდეს დამარცვლის კანონზომიერებებს, ე.ი. უნდა იშლებოდეს ისე, რომ წინა მარცვლის იმპლოზია და მომდევნო მარცვლის ექსპლოზია აკმაყოფილებდეს ენაში მოქმედ დისტრიბუციულ წესებს, ანუ ენის ფონემატური სისტემის მოთხოვნილებებს.

თანხმოვანთა კომპლექსები სიტყვის ბოლოს. მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები სრულად რეალიზდება V-1 პოზიციაში, რაც ადასტურებს იმას, რომ მზარდი ნაპრალოვნობის მოდელი ქართული ენის თანხმოვანთა კომპლექსებისათვის ძირითადია.

ამავე პოზიციაში ნაკლებია არაძირითადი მოდელის კომპლექსთა რეალიზაცია.

სიტყვის ბოლოს არ რეალიზდება დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსთა საკმაოდ დიდი ნაწილი და ხშირად, რაც არის, ისიც მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაშია. რადგან კომპლექსთა რეალიზაცია ხდება მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში, ეს ნიშნავს იმას, რომ თვით ენას, სტრუქტურული თვალსაზრისით, ეს კომპლექსები არ გააჩნია (ამ რიგის კომპლექსთაგან ბევრი საერთოდ არ არის წარმოდგენილი არც საკუთარ და არც ნასესხებ ლექსიკაში!).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თანხმოვანთა კომპლექსებს სიტყვის თავკიდურად და ბოლოში ერთი საერთო წესი არ უყალიბდება და სიტყვის ბოლოკიდურა კომპლექსები არსებითად წარმოადგენენ თავკიდური კომპლექსების სარკისებურ ასახვას.

სამ პოზიციაში (1-V, V-V, V-1) თანხმოვანთა კომპლექსების განხილვის მიხედვით დადგინდა, რომ

თავკიდურადაც და ბოლოკიდურადაც ძირითადია მზარდი ნაპრალოვნობის მოდელის თანხმომავანთა კომპლექსები. ინტერკონსონანტურ პოზიციაში კი თანხმომავნები ისე უნდა ნაწილდებოდეს მარცვლებში, რომ მარცვალთა იმპლოზიასა და ექსპლოზიაში არ მოხვდეს არამძირითადი მოდელის (ნულოვანი და დამავალი ნაპრალოვნობის) კომპლექსები.

3.2. ასიმილაცია

ერთმანეთზე მეტ-ნაკლები გავლენის გამო ხშირია მეზობელ ბგერათა ურთიერმიმსგავსება ანუ ასიმილაცია (ლათ. ასიმილატიო ‘მიმსგავსება’). განასხვავებენ ასიმილაციის შემდეგ სახეებს:

- ა. მანძილის მიხედვით – კონტაქტურსა და დისტანციურს.
- ბ. მიმართულების მიხედვით – რეგრესულსა და პროგრესულს.
- გ. შედეგის მიხედვით – სრულსა და ნაწილობრივს.
- დ. ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით – გამჟღერება-გაყრუებას.
- ე. წარმოების ადგილის მიხედვით.
- ვ. რაგვარობის მიხედვით.
- ზ. რთული ასიმილაცია.
- თ. სინჰარმონიზმი.
- ი. უმლაუტი.

ა. მანძილის მიხედვით არსებობს კონტაქტური და დისტანციური ბგერათასიმილაცია. კონტაქტურია ასიმილაცია, როდესაც ასიმილატორი (ბგერა, რომელიც იმსგავსებს) და ასიმილირებული (ბგერა, რომელიც ემსგავსება) უშუალო მეზობლობაში არიან.

კონტაქტური ასიმილაციის მაგალითები:

თ > დ: ერთგული > ერდგული. მჟღერმა გ-მ ნაწილობრივ და-
იმსგავსა ყრუ თ.

ს > შ: სჯული > შჯული. უკანანუნისმიერმა ჯ-მ ნაწილობრივ
დაიმსგავსა წინანუნისმიერი ს.

გ > კ: გჭირს > კჭირს. ყრუ მკვეთრმა ჭ-მ ნაწილობრივ დაიმ-
სგავსა მჟღერი გ.

ბ > პ: კბილი > კპილი. ყრუ მკვეთრმა კ-მ ნაწილობრივ დაიმ-
სგავსა მჟღერი ბ.

ა > ე: აილო > ეილო. წინა რიგის, მაღალი აწეულობის ი-მ
ნაწილობრივ დაიმსგავსა უკანა რიგისა და დაბალი
აწეულობის ა.

ა > ო: უცნაური > უცნოური. უკანა რიგის, მაღალი
აწეულობის, ლაბიალურმა უ-მ ნაწილობრივ დაიმსგავსა უკანა
რიგისა და დაბალი აწეულობის ა...

დისტანციურია ასიმილაცია, თუ ასიმილატორი და
ასიმილირებული ბგერები ერთმანეთს დაშორებული არიან
ერთი ან რამდენიმე ბგერით.

დისტანციური ასიმილაციის მაგალითებია:

ს > შ: ჭისკარი > ჭიშკარი. უკანანუნისმიერმა ჭ-მ ნაწილობრივ
დაიმსგავსა წინანუნისმიერი ს.

ს > შ: სიში > შიში. უკანანუნისმიერი შ სრულად იმსგავსებს
წინანუნისმიერ ს-ს.

ს > ც: სეცხლი > ცეცხლი. წინანუნისმიერმა ყრუ ც-მ სრულად
დაიმსგავსა წინანუნისმიერი ყრუ ს.

ო > ე: გამოვიღე > გამევიღე. წინა რიგის, მაღალი აწეულობის
ი-მ ნაწილობრივ დაიმსგავსა უკანა რიგისა და საშუალო
აწეულობის ო.

ა > ე: ჩავიცვა > ჩევიცვა. წინა რიგის, მაღალი აწეულობის ი
ნაწილობრივ იმსგავსებს უკანა რიგისა და დაბალი
აწეულობის ა-ს...

ბ. მიმართულების მიხედვით არსებობს რეგრესული და პროგრესული ასიმილაცია. რეგრესულია ასიმილაცია, თუ სიტყვაში ჯერ ასიმილირებული ბგერაა და შემდეგ ასიმილატორი, ანუ როდესაც მომდევნო ბგერა იმსგავსებს წინამავალს:

რეგრესული ასიმილაციის მაგალითები:

ს > ზ: მისდევეს > მიზდევეს. ასიმილატორია კბილისმიერი, მჟღერი დ, ასიმილირებულია წინანუნისმიერი, ყრუ ს.

ს > შ: სეშა > შეშა. უკანანუნისმიერმა, ყრუ შ-მ სრულად დაიმსგავსა წინანუნისმიერი, ასევე ყრუ ს.

გ > ქ: მოგვეცა > მოქვეცა. წინანუნისმიერმა, ყრუ ფშვინვიერმა ც-მ დაიმსგავსა უკანანუნისმიერი, მჟღერი გ.

დ > თ: გვერდში > გვერთში. უკანანუნისმიერმა, ყრუ შ-მ დაიმსგავსა წინამავალი მჟღერი დ.

ბ > ფ: ამბობთ > ამბოფთ. კბილისმიერმა, ყრუ ფშვინვიერმა თ-მ დაიმსგავსა წინამავალი მჟღერი ბ.

დ > თ: დიდხანს > დითხანს. უკანანუნისმიერმა, ყრუ ხ-მ დაიმსგავსა წინამავალი მჟღერი დ.

ასიმილაცია პროგრესულია, თუ სიტყვაში წინ ასიმილატორია, ხოლო მომდევნო - ასიმილირებული; ანუ, როდესაც წინა ბგერა იმსგავსებს მომდევნოს:

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის მაგალითები:

ბ > პ: ტკბილი > ტკპილი. ყრუ მკვეთრი კ იმსგავსებს მჟღერი ბ-ს. მივიღეთ მკვეთრი პ.

დ > ტ: გადაწყდა > გადაწყტა. ასიმილატორია ყრუ მკვეთრი ყ, ასიმილირებული მჟღერი დ. მივიღეთ მკვეთრი ტ.

დ > თ: შეწუხდა > შეწუხთა. ყრუ ხ იმსგავსებს მჟღერ დ-ს. მივიღეთ ყრუ ფშვინვიერი თ.

გ. შედეგის მიხედვით ასიმილაცია შეძლება იყოს სრული და ნაწილობრივი. ასიმილაცია სრულია, თუ

ასიმილირებული სავსებით ემსგავსება ასიმილატორს წარმოების რაიმე ნიშნის მიხედვით;

სრული ასიმილაციის ნიმუშებია:

გ > ქ: გქონდა > ქქონდა. უკანაენისმიერი, მჟღერი გ სავსებით ემსგავსება უკანაენისმიერ ყრუ ქ-ს.

ს > შ: სიმშილი > შიმშილი. ასიმილირებული ს სავსებით ემსგავსება ასიმილატორ შ-ს წარმოების ადგილის მიხედვით.

ა > ე: დაემგვანე > დემგვანე. უკანა რიგის საშუალო აწეულობის ე სრულად იმსგავსებს დაბალი აწეულობისა და უკანა რიგის ა-ს.

ასიმილაციას ვერ აფერხებს თვით I სუბიექტური პირის ნიშანი ვ ან ობიექტური პირის ნიშნები მ, გვ ან გ: დავეცი-დე-ვეცი, ჩაგვეტანა-ჩეგვეტანა, მოგეცა-მეგეცა, წამელო-წემელო...

ნაწილობრივი ასიმილაციის დროს ერთი ბგერა იმსგავსებს მეორეს არა მთლიანად, არამედ წარმოების რაიმე მომენტის მიხედვით: ბგერის სიმკვეთრის, მჟღერობა-სიყრუის, სი-სინისა და შიშინის მიხედვით და ა.შ.

ნაწილობრივი ასიმილაციის ნიმუშებია:

დ > თ: მხდალი > მხთალი. ყრუ ფშვინვიერმა ხ-მ დაიმსგავსა მჟღერი დ .

ღ > ხ: ბაღში > ბახში. ყრუ შ-მ მჟღერი ღ აქცია ყრუ ხ-დ.

დ > ტ: მოკვდა > მოკვტა. ყრუ მკვეთრმა კ-მ ნაწილობრივ და-იმსგავსა მჟღერი დ.

თ > ტ: ქვითკირი > ქვიტკირი. ყრუ მკვეთრმა კ-მ ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად ყრუ ფშვინვიერი თ და აქცია ყრუ მკვეთრ ტ-დ...

დ. ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით განასხვავებენ ასიმილაციურ გამჟღერებასა და ასიმილაციურ გაყრუებას.

მაგ.: ასიმილაციური გამჟღერება გვაქვს ფორმაში: მსგავსი > მზგავსი. ასიმილატორი გ ამჟღერებს მის წინ მდგომ ყრუ ს-ს და აქცევს მას ზ-დ.

ასიმილაციური გამჟღერების ნიმუშებია: მისდევს > მიზდევს; ფეხბურთი > ფელბურთი...

ასიმილაციური გაყრუება გვაქვს სიტყვებში:

ტბა > ტპა: ყრუ ტ ბგერამ ბ მჟღერი დააყრუა და ბ-ს ადგილი დაიჭირა ყრუ პ-მ.

გჭირს > კჭირს; ასიმილატორია ყრუ მკვეთრი ჭ, ასიმილირებული - გ. ასიმილაციის შედეგად მივიღეთ მკვეთრი კ.

თანამედროვე ქართულისათვის, უმეტესწილად, დამახასიათებელია რეგრესული ასიმილაცია.

ე. ბგერათწარმოების ადგილის მიხედვით ასიმილაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს რომელიმე ორგანოსთან, მაგ., (ბ)ჭისკარი > ჭიშკარი პროგრესული, დისტანციური ასიმილაცია გვაქვს. ასიმილატორი ჭ (ალვეოლარული ბგერა) იმსგავსებს დენტალურ ს-ს ადგილის მიხედვით და აქცევს მას ალვეოლარულ შ-დ. მოიტანა > მეიტანა (დიალექტ.); წინა რიგის ხმოვანი ი იმსგავსებს ო-ს და აქცევს მას წინა რიგის ე-დ: ასიმილატორი ასიმილარებულს იმსგავსებს წარმოების ადგილით. ასიმილატორია ი, ასიმილირებული ო.

ვ. ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით. ასიმილაციის დროს ასიმილირებული ბგერა ემსგავსება ასიმილატორს რაგვარობით; მაგ., ქვითკირი > ქვიტკირი: ასიმილატორია კ, ასიმილირებული - თ, რომელიც ასიმილატორს მიემსგავსა აბრუპტივობით; ცეცხლი > სეცხლი: ყრუ ხშულმა ფშვინვიერმა ც-მ სრულად დაიმსგავსა ნაპრალოვანი ს - რეგრესული დისტანციური ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით.

ასიმილაციის ეს სახეები მეტ-ნაკლებად ყველა ენაში მოქმედებს, მაგრამ ასიმილაციის სხვადასხვა სახე ერთნაირად არაა გავრცელებული სხვადასხვა ენაში და ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში. მაგ., ქართულში დღეს მეტადაა გავრცელებული რეგრესული მიმართულების ასიმილაცია, მაგრამ ძველ ქართულში პროგრესულიც იმდენადვე (თუ მეტად არა) იყო გავრცელებული, როგორც რეგრესული,

ზ. რთული ასიმილაცია. ბგერათა ისეთ მიმსგავსებას, როდესაც ასიმილატორი მოქმედებს ასიმილირებულზე არა უშუალოდ, არამედ მათ შუა მდგომი ბგერის მეშვეობით, ეწოდება რთული ასიმილაცია. ასეთია, მაგ., რწყმულად წარმოთქმული რიგზგარეშე, სადაც ასიმილატორია მეორე გ (სიტყვისა გარეშე): ცალკე თქმული რიგს გვადლევს რიქს, რადგანაც მომდევნო ყრუ ს რეგრესულად აყრუებს გ-ს; მაგრამ, თუ სათქმელია რიგსგარეშე, მაშინ მეორე გ რჩება მჟღერადვე. მაშასადამე, ასიმილატორი გ მოქმედებს წინმდგომ გ-ზე გაჟღერებული ს-ს (ე.ი. ზ-ს) შუალობით.

შეადარეთ ამას რწყმულად წარმოთქმული აქებზდადიდეფს (= აქებს და ადიდეფს).

თ. სინჰარმონიზმი ანუ ხმოვანთა ჰარმონია არის ხმოვანთა დისტანციური, პროგრესული ასიმილაცია მთელი სიტყვის მანძილზე. ასიმილაციის ეს სახე განსაკუთრებით არის დამახასიათებელი ურალურ-ალათაური ენებისათვის.

ი. უმლაუტი. უმლაუტი ანუ მეტაფონია (გერმ. *Umlaut*, ბერძნ. მეტაპჰონია ‘გადახმოვანება’) ხმოვანთა ასიმილაციური მოვლენაა. სინჰარმონიზმისაგან განსხვავებით, ის რეგრესული მიმართულებისაა და ნაწილობრივი, ასევე, ხშირად — სემანტიკური და გრამატიკული ფუნქციის მატარებელი.

ფონეტიკურად უმლაუტი არის მომდევნო მარცვლის ხმოვნის გავლენით წინმდგომ მარცვალში ხმოვნის გაფართოება-დავიწროება. უმლაუტი გვაქვს სვანურში.

3.3. დისიმილაცია

დისიმილაცია არის ასიმილაციის საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენა. ბგერათა დისიმილაცია ანუ ბგერათა განსხვავება (ლათ. დისსიმილის ‘განსხვავებული’ დისსიმილატიო ‘განსხვავება’) გულისხმობს სიტყვაში ორი მსგავსი (ან ერთგვარი) ბგერის ერთმანეთისაგან განსხვავებას. დისიმილაცია ემართება როგორც ხმოვნებს, ასევე თანხმოვნებს.

დისიმილაციას, ისევე როგორც ასიმილაციას, განასხვავებენ მანძილისა და მიმართულების მიხედვით. მანძილის მიხედვით დისიმილაცია შეიძლება იყოს კონტაქტური და დისტანციური. მიმართულების მიხედვით კი - პროგრესული და რეგრესული.

საერთოდ, უფრო მეტადაა გავრცელებული დისტანციური დისიმილაცია. მაგალითად: არავინ > არევინ, ლაპარაკი > ლაპარიკი, წლევანდელი > წრევანდელი, კანონი > კალონი, თანდათან > თანდითან...

კონტაქტური დისიმილაციის მაგალითები შედარებით იშვიათია: გოგუები < გოგოები, ღვინუები < ღვინოები, ეზუები < ეზოები, კოლუები < კოლოები, ვათხუე < ვათხოვე, მუახერხა < მოახერხა... ამბავი > ანბავი, სათითოდ > სათითაოდ, ჯანნაბა > ჯანდაბა, მუხამმაზი > მუხამბაზი...

მიმართულების მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, დისიმილაცია პროგრესულია ან რეგრესული. ქართულს ძირითადად ახასიათებს პროგრესული დისიმილაცია, თუმცა დადასტურებულია რეგრესულის შემთხვევებიც. რეგრესულია დისიმი-

ლაცია, როდესაც მომდევნო ბგერა განიმსგავსებს წინას: ეხლა < ახლა, კეკალი < კაკალი, სათითაოდ < სათითოოდ, შექარი < შაქარი, ბიჭედი < ბეჭედი, ტილეფონი < ტელეფონი, დევა < დავა...

პროგრესული დისიმილაციის დროს წინა ბგერა განიმსგავსებს მომდევნოს: ხანდახან > ხანდიხან, თანდათან > თანდითან, ამხანაგი > ამხანიგი, არავინ > არევინ, ლაპარაკი > ლაპარიკი, არაკი > არეკი...

დისიმილაცია მოსდით მეტწილად ა, ე, ო ხმოვნებს და ნ, რ, ლ სონორ თანხმოვნებს; მათგან განსაკუთრებით რ-სა და ლ-ს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სონორი სონორისგან ჩვეულებრივ დისიმილირდება სონორი ბგერით. მაგ.: ლელწამი > ლერწამი (პროგრესული, დისტანციური დისიმილაცია); წლეულს > წრეულს...

სონორი სონორისაგან შეიძლება არასონორი ბგერითაც გადისიმილირდეს; მაგ., ჯანნაბა > ჯანდაბა - კონტაქტური, პროგრესული დისიმილაცია, სადაც ნნ > ნდ; მუხამბაზი > მუხამბაზი: მმ > მბ.

რ-რ-ს დისიმილაცია ქართულში. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში სონორთა დისიმილაცია მეტადაა გავრცელებული თავისი რეგრესული სახით, ვიდრე პროგრესულით, სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსი -ურ-ის რ თითქმის ყოველთვის დისიმილირდება პროგრესულად, ე.ი. რ-ურ > *რ-ულ-ს.

მაგ., კახ-ურ-ი, კაც-ურ-ი, მაგრამ გორ-ულ-ი, იმერ-ულ-ი, რუს-ულ-ი, გურ-ულ-ი, ღორ-ულ-ი; უ-გემ-ურ-ი, მაგრამ უფერ-ულ-ი, უ-ხერხ-ული და ა.შ.

აგრეთვე, “მ-არ“ და “-იერ“ სუფიქსების რ-ც დისიმილირებულია პროგრესულად. მაგ.: მ-დნ-არ-ი, მაგრამ

მქრ-ალ-ი, მყრ-ალ-ი, მშრ-ალ-ი; გონიერ-ი, მაგრამ ხორც-იელ-ი.

ყველა შემთხვევაში გვაქვს რ-რ > რ-ლ. -ურ-ის რ არ დისიმილირდება, თუ სიტყვის ფუძეში გვაქვს რ-ს გარდა ლ-ც (რ-ლ და არა ლ-რ); მაგ.: ქართლ-ურ-ი, ავსტრალი-ურ-ი; მაგრამ პოლარ-ულ-ი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში პროგრესული (და არა რეგრესული) დისიმილაცია განპირობებულია სემანტიკით:

სიტყვის მნიშვნელობა ისე ძლიერაა დაკავშირებული რ-ს შემცვლელ ძირთან, რომ მისი ლ-დ ქცევა (ე.ი. რეგრესული დისიმილაცია) საფრთხეს შეუქმნიდა მის გაგებას.

სემანტიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დისიმილაციაში; ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ იგი ზოგჯერ აბრკოლებს დისიმილაციას; მაგ., დისიმილაციას აბრკოლებს გრძნობა, რომ სიტყვა რთულია, ე.ი. შედგენილია ორი (ან მეტი) სიტყვისაგან: არაფერი, როგორი, რაკრავი, ხარხარი და სხვა (ა. შანიძე).

უცხოურ სიტყვებში ორი რ ჩვეულებრივი მოვლენაა, აქ დისიმილაცია არ ხდება. ასეთი სიტყვებია: კურატორი, პარტნიორი, პროექტორი, სტრუქტურა და სხვა. ასე წარმოიქმნის და იწერება ეს სიტყვები სალიტერატურო ენის ნორმით. რაც შეეხება დიალექტებს, აქ გვხვდება კულატორი, პროჟექტოლი, პროექტოლი...

შედარებით იშვიათად დისიმილაცია ყრუ თანხმოვნებშიც ხდება. ორი ყრუ თანხმოვნიდან დისიმილაციის შედეგად ერთი შეიძლება გამჟღერდეს, რასაც გ. ახვლედიანმა დისიმილაციური გამჟღერება უწოდა. მაგალითად, პატარა > ბატარა. ასეთი სიტყვები მეტწილად დადასტურებულია მთის კილოებში.

დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშად ა. შანიძეს მიაჩნია პატ(რ)ონი > ბატონი, რომლის ფარდი დღესაც არის მეგრულში: პატონი ან პატენი (ა. შანიძე, 1973, გვ. 24).

ბერის დისიმილაციური დაკარგვა და ჰაპლოლოგია. დისიმილირებული ბერა ზოგჯერ შეიძლება დაიკარგოს. მაგ., ერთმანერთი > ერთმანეთი (ერთმანეთი გააზრებულია, როგორც ერთი სიტყვა; მას რომ სემანტიკურად კავშირი გაწყვეტილი აქვს “ერთ“-თან, ჩანს დიალექტური ერთქმანეთი-დან.); ამას ვუწოდებთ სიტყვაში დისიმილაციურ დაკარგვას.

დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშებია, ასევე, მოსული < მოსლული; ამავე ძირისაა სულ < სლულ (შდრ. სრული - რეგრეს. დისიმილაციით); პიჯვარი < პირჯვარი; ბებერი < ბერ-ბერი, კაკანი < კანკანი; ოთოთხი < ოთხოთხი და სხვა.

დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგვის მთელი მარცვალი. დისიმილაციის ნიადაგზე სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას ეწოდება ჰაპლოლოგია ანუ გამარტივება (ბერძ. ჰაპლოს ‘მარტივი, არართული’), მაგ., ბიცოლა < *ბიძი(ს)ცოლა, ფეხშველა < ფეხშიშველა: პირველ შემთხვევაში მომხდარა რეგრესული დისიმილაცია, რომელშიც დისიმილატორია ც, ხოლო დისიმილირებული – ძ; მეორეში – დისიმილატორია მომდევნო შ.

3.4. მეტათეზისი

მეტათეზისი (ბერძ. მეტატჰესის ‘გადაადგილება’) ანუ ბგერათვადასმა ეწოდება სიტყვაში ბგერის გადანაცვლებას.

მეტათეზისი მეტწილად მოსდით მ, ნ, რ, ლ, ვ თანხმოვნებს. იგი უფრო დიალექტებშია გავრცელებული, ვიდრე სალიტერა-

ტურო ქართულ ენაში. მეტათეზისი შეიძლება იყოს კონტაქტური და დისტანციური, მარტივი და საურთიერთო, პროგრესული და რეგრესული.

კონტაქტურია მეტათეზისი, როცა გადასანაცვლებელი ბგერები ერთმანეთის მეზობლობაშია. მაგ.: დაბმა > დამბა, გრილი > რგილი, ხსნის > სხნის, შეკვრა > შეკრვა, რგოლი > გროლი, ბრმა > რბმა...

დისტანციურია მეტათეზისი, როცა გადასანაცვლებელ ბგერებს შორის სხვა ბგერაა მოთავსებული: ბნელი > ბლენი, გადასარევი > გასადარევი, ძლიერი > ძრიელი...

მარტივია მეტათეზისი, თუ სიტყვაში ადგილს იცვლის ერთი ბგერა. მაგ.: ჯირკი > ჯრიკი, გვალვა > გვავლა, შალვა > შავლა...

მეტათეზისი საურთიერთოა, თუ სიტყვაში დისტანციურ მეზობლობაში მყოფი ორი ბგერა ერთმანეთს შეუნაცვლებს ადგილს, მაგ.: ცარიელი < ცალიერი, ზონარი > ზორანი, დაჟინება > დანიჟება, მადლიერი > მადრიელი ...

პროგრესულია მეტათეზისი, როცა ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის ბოლოსაკენ; მაგ.: თავყანისცემა > თავყანისცემა, ვნახე > ნახე... რეგრესულია მეტათეზისი, თუ ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის დასაწყისისაკენ. მაგ.: ათრვამეტი > თრვამეტი > თვრამეტი, შენიშნვა > შენიშვნა, ხრვა > ხვრა, შეკვრა > შეკვრა, ღრმა > რღმა, ეჭვი > ვეჭი ...

ქართულ ენაში უფრო რეგრესული მიმართულების მეტათეზისია გავრცელებული.

3.5. ბგერათმონაცვლეობა და ბგერთი ანალოგია

3.5.1. ბგერათმონაცვლეობა

ბგერათმონაცვლეობა ანუ ალტერნაცია (ლათ. ალტერნატიო) ჰქვია სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ფონემათა კანონზომიერ შენაცვლებას. ბგერათმონაცვლეობა შედეგია უტოლფუნქციო სახესხვაობათა პოზიციურად წარმოქმნისა (გ. ახვლედიანი). არსებობს ბგერათმონაცვლეობის ორი სახე: მოქმედი და ისტორიული, ისევე როგორც გვაქვს მოქმედი და ისტორიული ბგერათცვალებადობა. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ: 1. ცვალებადობის შედეგი ერთნაირია – როგორც სიტყვის ფორმაში, ისე სიტყვის ფუძეში, ხოლო მონაცვლეობის შედეგი შეიძლება სხვა იყოს სიტყვის ფორმაში და სხვა სიტყვის ფუძეში; 2. ბგერათცვალებადობა – სახელდობრ ისტორიული – ცვლის – ენის ფონეტიკურ სისტემას, ხოლო ბგერათმონაცვლეობა არც მოქმედი და არც ისტორიული – არ ცვლის ენის ფონეტიკურ სისტემას; 3. მოქმედი მონაცვლეობა არ ასხვავებს სიტყვის მნიშვნელობას, ხოლო ისტორიული – ასხვავებს, ე. ი. პირველი არაა დისტინქტური, მეორე – დისტინქტურია.

მოქმედი ბგერათმონაცვლეობა გვაქვს, მაგ., სიტყვის შემდეგ ფორმებში: ბავშვები – ბავშვეფს (მონაცვლეობა ბ/ფ), დარდი – დართში (დ/თ), ბარგი – ბარქთან (გ/ქ), ქერქი – ქერგზე (ქ/გ), გაზი – გასთან (ზ/ს) და ა.შ.

ისტორიული ბგერათმონაცვლეობაა, მაგ., სიტყვის შემდეგ ფუძეებში: კრება – კრეფა (ბ/ფ), ჟრიალი – შრიალი (ჟ/შ).

განასხვავებენ თანხმოვანთმონაცვლეობასა და ხმოვანთმონაცვლეობას.

მოქმედი თანხმოვანთმონაცვლეობა და ხმოვანთმონაცვლეობა:

თანხმოვანთმონაცვლეობას წარმოადგენს, მაგ., მჟღერისა და ყრუ ჩქამიერის მონაცვლეობა: გრძნობა – გრძნობდა, მაგრამ გრძნოფს (ბ გაყრუვდა ს-ს წინ); რიგი – რიგზე, მაგრამ რიქში (გ გაყრუვდა შ-ს წინ). მაშასადამე, აქ გვაქვს მონაცვლეობა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში: გ/ფ, გ/ქ.

იმერულში გვაქვს მონაცვლეობა ა/ე და ო/ე: გაქცევა, მაგრამ გეიქცა; გაშვება, მაგრამ გოუშვა...

იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია ერთმანეთს ენაცვლებოდეს ხმოვანი და თანხმოვანი. მაგ., ქართულში გვაქვს ო/ვ მონაცვლეობა ო-ს რედუქციის შედეგად: მაწონი/მაწვნის, ნიორი/ნივრის, წოდ-/წვდ- (მოწოდება/აწვდის).

ყველა ზემოთ მოყვანილ ნიმუშში ბგერათმონაცვლეობა შეპირობებულია მონაცვლე ბგერათა ფონეტიკური პოზიციით (ბ/ფ, გ/ქ სხვადასხვა ფონეტიკურ პოზიციაშია), ე.ი. გვაქვს პოზიციური ბგერათცვლილება. ბ (გრძნობა-ში) ხმოვნის წინაა, რის გამოც დაცულია მისი მჟღერობა; ფ მიღებულია ბ-სგან ყრუ ს-ს წინ...

ასეთი მონაცვლეობით ვერ იქმნება გრამატიკული ან სემანტიკური მნიშვნელობის დიფერენციაცია, ანუ ასეთ ბგერათმონაცვლეობას ენისთვის ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს. აზრისათვის სულ ერთია, წარმოითქმება გრძნობს თუ გრძნოფს – მნიშვნელობა ერთი იქნება. ესაა მხოლოდ, რომ გრძნობს არაა სწორი წარმოთქმა; ასევეა სხვა ნიმუშებშიც.

ისტორიული ბგერათმონაცვლეობა. აბლაუტი. ზოგჯერ ბგერათმონაცვლეობაში არ ჩანს ბგერათცვლილების განპირობებულობა. ასეთია, მაგ., ჟ/შ მონაცვლეობა სიტყვებში: ჟრიალი/შრიალი ან ლ/ნ სიტყვებში სული/სუნი; ორივე წყვილში ერთი და იმავე ძირის სიტყვა გვაქვს, მაგრამ

მნიშვნელობით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულია: “ქრიალი – მრავალთ-ეჟუანთ ჳმა, შრიალი – ქართაგან ფურცლის ჳმა” (საბა). გაურკვეველია, თუ რამ გამოიწვია ჟ-სა და შ-ს ან ლ-სა და ნ-ს ერთმანეთისაგან განსხვავება.

როგორც ჩანს, მონაცვლეობა ჟ/შ და ლ/ნ, რომელიც დამახასიათებელია ქართულისათვის (ვაჟი – ვაშს, კანონი – კალონი, წლეულს - წნეულს ...), გამოიყენება მნიშვნელობათა სადიფერენციაციოდ.

ექვგარეშეა, რომ კრება და კრეფა ერთი წარმოშობისაა, სახელდობრ კრებ-ისაგან; ისტორიულად მომხდარა ბ-ს გაყრუება სიტყვის ბოლოში (ვკრებ > ვკრეფ) ან ყრუ თანხმოვნის წინ (კრებს > კრეფს) და ამ გზით წარმოქნილია ახალი ფუძე კრეფ, რომელსაც დაკავშირებია განსხვავებული მნიშვნელობა (აქ სემანტიკური); კრება ‘შეყრილობა’, კრეფა ‘ხილთა მოწილვა, გინა ყვავილთა მოწყვეტა’ (საბა). ამგვარად განმტკიცებულა ენაში კრებ-ის გვერდით კრეფ- ფუძე. დღეს უკვე კრეფა-ში ფ-ს სიყრუე არაა განპირობებული არც მისი ბოლოში მყოფობით და არც მომდევნო ყრუსთან მეზობლობით.

მაშასადამე, როგორც სიტყვებში: ქრიალი – შრიალი და სული – სუნი, ისე კრებ – კრეფ-ში ვხვდებით ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას.

ისტორიული ხმოვანთმონაცვლეობა გვაქვს, მაგ., ქართულში: გრეხს/გრიხა, ჭყლეტს/ჭყლიტა (ე/ი); თხარა/თხრის ან თალა/თლის (ა/ნული)...

მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას უკავშირდება გრამატიკული ან სემანტიკური განმასხვავებლობის ფუნქცია. ისეთ ბგერათმონაცვლეობას, რომელიც ქმნის გრამატიკული ან სემანტიკური მნიშვნელობის დიფერენციაციას, ეწოდება ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა.

მაგ., გრამატიკულია ე/ი მონაცვლეობა ქართულის ზოგიერთ ზმნაში, რადგანაც იგი დაკავშირებულია აწმყოსა და ნამყო წყვეტილის განსხვავებასთან; ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ბგერათმონაცვლეობა გრამატიზებულიაო.

თუ მონაცვლეობა უკავშირდება სიტყვათა არა გრამატიკულ, არამედ სემანტიკურ განსხვავებას, ამბობენ, ბგერათმონაცვლეობა სემანტიზებულიაო. სემანტიზებულია, მაგ., ლ/ნ მონაცვლეობა სიტყვებში: სული/სუნი, ბ/ფ – კრებ/კრეფ-, ბ/პ – ლბობა/ლპობა, ჟ/შ – ჟრიალი/შრიალი და სხვა. თითოეულ ამ წყვილთაგანში შედის ერთმანეთის ფონეტიკურად მონაცვლე სიტყვები, რომლებიც სემანტიკურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

ისტორიულ ხმოვანთმონაცვლეობას, როგორცაა, მაგ., ე/ი (გრეხს/გრიხა) და სხვა, დაერქვა სპეციალური სახელი “აბლაუტი“ (გერმ. აბლაუტ), ანუ აპოფონია.

ბგერათსუბსტიტუცია. სიტყვის ერთსა და იმავე ფორმაში ბგერის შეცვლას სხვა ბგერით ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე ეწოდება ბგერათსუბსტიტუცია (ლათ. შუბსტიტუციო ‘ჩანაცვლება’) ანუ ბგერათჩანაცვლება. არნ. ჩიქობავას განმარტებით, “სუბსტიტუცია ნიშნავს ერთი ბგერის შეცვლას იმავე რიგის მეორე ბგერით“.

მაგ., ტიმოთეს ნაცვლად ქართულში გვაქვს კიმოთე, პატიჟი > პატიჯი, რამდენი > რამტენი, კოფი > კობი...

იმ ბგერას, რომელიც სხვას ენაცვლება, ბგერისნაცვალი ჰქვია. სუბსტიტუცია “სპონტანური ბგერათცვლილებაა“. ბგერათსუბსტიტუცია წარმოიქმნება ბგერათა არასწორი აკუსტიკური აღქმის ნიადაგზე: ერთმანეთს უმთავრესად ენაცვლებიან აკუსტიკურად მსგავსი ბგერები.

ბგერათჩანაცვლება აუცილებელია მაშინ, როდესაც შემოდის უცხოური სიტყვა, რომლის შემადგენლობაშია მსესხებელი ენის ბგერით სისტემაში არარსებული ბგერა; მაგ., რუს. *цифра* – ქართული ციფრი; *ф* – ქართულში ჩანაცვლებულ იქნა ფ-თი.

სუბსტიტუცია დადასტურებული ფონეტიკური მოვლენაა როგორც თანხმოვნებში, ისევე ხმოვნებში: ე > ო (ამდენი > ამდონი), ე > ი (აბონემენტი > აბონიმენტი), ო > ა (ვითომ > ვითამ), მაგრამ თანხმოვნებში - უფრო დიდი რაოდენობით. ეს ფონეტიკური პროცესი გავრცელებულია არა მარტო ქართულ სალიტერატურო ენაში, არამედ - დიალექტებშიც.

მაგ.: ხავსი>ხამსი, უმცროსი>უნცროსი, მრავალი>ბრავალი, კოვზი>კობზი, რტო>შტო, ჰო>ხო, აბა>აპა... (იმერ.); სავსე>სამსე>სანსე, დამაიწყდა > დამამიწყდა, ბოლომდი>ბოლონდი... (ქართლ.); რომელი>რომენი...(ფშ.); მალავ >მალამ, აწყობ>აყომ, ყოფს>ყომს... (კახ.); კბენა>კმენა, ვიწრო>მიწრო, ვენახი>მენახი... (ინგ.); მგელი>ნგელი, მწუხარ>ნწუხარე... (მესხ.); ავდარი>აბდარი, მეჭეჭი >ბეჭეჭი... (ლეჩხ.); იმზირება>იბზირება, იცნობს>იცნოფს, ვარცხნის>ბარცხნის, მიტინგი>ვიტინგი, წიხლი>წიხრი, ლომთათიძე>ლონთათიძე... (გურ.); ბაყაყი>მაყაყი, მრუდი>ბრუდი, უვლია>უმლია, მიწა>ნიწა, იღბალი >იყბალი... (აჭარ.)...

3.5.2. ბგერითი ანალოგია

ბგერითი ანალოგია ორგვარია: ნეიტრალური და ფუნქციონალური ანუ მადიფერენცირებელი.

ნეიტრალურია ბგერითი ანალოგიის ისეთი მოქმედება, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას არ უკავშირდება; მაგ., მნიშვნელობის მხრივ სულერთია, ვიტყვით: უფროსი თუ უმცროსი, რომელშიც მ ჩართულია ასოციაციურად, უმცროსის გავლენით; დამართი – დადმართი, უკუმართი – უკულმართი, წამართი – წალმართი, სადაც ლ შემოტანილია აღმართის ანალოგიით, აქ იგი წარმოადგენს ძველ აღწინსართს.

ზემოთ მოყვანილ ანალოგიის მაგალითებს, რომლებიც შედეგია ასოციაციურად დაკავშირებული ორი სიტყვის ბგერობრივი შერევისა, ეწოდება კონტამინაცია.

ფუნქციონალური ანუ მადიფერენცირებელი ანალოგია უკავშირდება სიტყვის სემანტიკურსა და გრამატიკულ მნიშვნელობას. ასეთი ანალოგიის მოქმედება ასხვავებს ერთმანეთისაგან ფორმებს: განათლება – განათება, გამარჯვება – გამარჯობა, მალლა – მალლად, ახლა – ახლად...

3.6. ბგერის ჩართვა და დაკარგვა

ბგერის ჩართვა ანუ ეპენტეზისი ბერძნული სიტყვაა და სიტყვის შიგნით თანხმოვნის განვითარებას ნიშნავს. ბგერის ჩართვა (ბგერის განვითარება) სიტყვაში ისეთი ბგერის გაჩენას ჰქვია, რომელიც სხვა ბგერების მიხედვით არ არის მოსალოდნელი. მაგ., “წმინდა“, შდრ., ძველ ქართულში “წმიდა“, “ცხოვრება“ ძვ. ქართულში “ცხოვრება“. ჩართული ბგერა უფუნქციოა, მას სიტყვისათვის გრამატიკული დანიშნულება არა აქვს.

ბგერის ჩართვას ანუ განვითარებას ადგილი აქვს როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე მთელ რიგ დიალექტებში.

ბგერა სიტყვას უვითარდება ხან თავში (მმადლობთ, ვოთხჯერ, ვორი), ხან - შუაში (ცვივოდა, კინოვო, ქალოვო, ის-თევლე), ხანაც - ბოლოში (მერმედ...)

ჩაერთვის ვ, მ, ლ, თ, ნ, ღ, რ, ფ, ბ, ხ, ს... ბგერები, თუმცა ძირითადად ვითარდება სონორი თანხმოვნები.

მ: მბალი, უმფრო, დაამთვალერა, იმცხოვრებს, მცა ...

ლ: მჩალტე, ზღარბლი, დაჯღლაბნა, ლეკალი ...

ნ: ხმიანდი, ანთვალერეფს, ინწრო, დაკუნჭა, სინცრუე ...

რ: არდგილი, სართაკილო, ურცხო, რწყვილი, ...

განსაკუთრებით ხშირია ვ თანხმოვნის ჩართვა. ვ შეიძლება ჩაერთოს გარკვეულ შემთხვევებში:

1. როდესაც ა, ე, ო ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს დაერთვის მე – ე, სა – ე, სი – ე აფიქსები: ტყე – მეტყევე; რძე – მერძევე; კოხტა – სიკოხტავე, ბრმა – სიბრმავე, ფართო – სიფართოვე, ახლო – სიახლოვე (მაგრამ ცრუ – სიცრუე, ყრუ – სიყრუე).

2. ო ხმოვანზე დაბოლოებული სახელებისგან წარმოქნილი ზმნები ვ-ს გაიჩენენ მხოლოდ წყვეტილის ფორმებში: დავაჯილდოვე, დააჯილდოვა, მადროვე, ადროვა...

მაგრამ გვაქვს: ვაჯილდოებ, აჯილდოებს, დაჯილდოება და ა.შ.

მოსწავლეებს დააჯილდოებს, მაგრამ: დაჯილდოვდნენ, ხმაური დაგაყრუებს – მაგრამ: დაყრუვდები, იმედს გაუცრუებს, მაგრამ: გაუცრუვდება.

ბგერათა დაკარგვა - რედუქცია. რედუქცია ლათინური სიტყვაა: რედუცე - უკან ვაბრუნებ. ფონეტიკაში რედუქცია ჰქვია ბგერის დასუსტებას ან მის სრულ დაკარგვას (მაგ., ნიორი-ნივრის, მგელი-მგლის).

ე.ი. რედუქცია გვაქვს ისეთ შემთხვევაში, როდესაც სიტყვაში ესა თუ ის მოსალოდნელი ბგერა აღარ მოიპოვება ან

კიდევ დასუსტების გზით მეორე ბგერამდეა დაყვანილი. რე-
დუქციის დროს იკარგება როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი
ბგერები.

როგორც ქართულ სამწერლობო ენაში, ასევე
დიალექტებში (იმერული, ფშაური, კახური, ინგილოური,
მესხური, რაჭული, ლეჩხუმური, იმერხეული...) ხშირია
თანხმოვნების დაკარგვა.

მაგალითად, იკარგება ჰ:- გონია, კადრებდა, ყავს, ქონდა,
კიდია, კითხავდა, პარავს, პარსავდა, პირდება, შვენის... რაც
უმართებულოა;

თანამედროვე ქართულში ხშირია -ს ბგერის დაკარგვა,
როცა ის მე-3 ირიბი ობიექტური პირის ნიშანია: თხოვა
(სთხოვა), ტაცეს (სტაცეს), მიცა (მისცა)...

იკარგება, მაგალითად: დ: წვედოით < წვედოდით, არსა
< არსად, დავჯდებოით < დავჯდებოდით, ამოი < ამოდი,
საანა < სადანა, ხიისთავი < ხიდისთავი, ვიცოით < ვიცოდით,
წაი < წადი, შეი < შედი, როის < როდის, სა < სად, ლამაზა <
ლამაზად ...

თ: იქი < იქით, ღამი < ღამით, ჯორივი < ჯორივით ...

გ: აი < აგი, ნიადე < ნიადეგ, იი < იგი, რავარი < რავარი, მაი <
მაგი...

ზ: ლამაათ < ლამაზათ, მთაე < მთაზე, შუაღამეე < შუაღამეზე
...

ც: მაინდამაინ < მაინცდამაინც ...

ძ: კოკელაის < კოკელამის, ხერხაის < ხერხამის, გიორგაის <
გიორგამის ...

შ: მა (მაშ)...

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და განსა-
კუთრებით კი დიალექტებში ძალიან ხშირია სონორთა
დაკარგვის შემთხვევები:

მ: დიდარი < მდიდარი, რო < რომ, ხარი < მხარი, სხალი < მსხალი, მაგრა < მაგრამ, რატო < რატომ, თორე < თორემ, წარე < მწარე, შობელი < მშობელი ...

ლ: კდე < კლდე, აკდამა < აკლდამა, სახკარი < სახლ-კარი, ძალზე < ძაღლზე, ამალდა < ამალღდა ...

რ: სამჯე < სამჯერ, ველა < ველარ, ბძენი < ბრძენი, ვცელი < ვრცელი, წფელი < წრფელი, ცხილა < რცხილა, ბილი < რბილი ...

ნ: ჩდება < ჩნდება, არბენა//არბენია< არბენინა, მოატანია < მოატანინა, დააჭრენა < დააჭრევნა ...

განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს ვ ბგერის დაკარგვა:

ვ ბგერის დაკარგვას იწვევს მის მომდევნოდ მოხვედრილი ო და უ ხმოვანები. ამგვარი ზეგავლენა აშკარაა შემდეგ პოზიციებში:

ა. როცა -ობა სუფიქსი დაერთვის ვ ბგერით დასრულებულ ფუძეს: თავი - თაობა; ხევი - ხეობა; ბეჩავი - ბეჩაობა; გამბედავი - გამბეაობა; ბუნებრივი - ბუნებრიობა; პარასკევი - პარასკეობით.

ეს წესი არ მოქმედებს:

ა) თუკი ბოლოკიდურ ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის: ბავშვობა, ბრიყვობა, მორცხვობა...

ბ)-ივ სეგმენტის შემცველ სიტყვებში: უპერსპექტივობა, უინიციატივობა, აქტივობა, პასივობა, ინტენსივობა, მრავალმხრივობა, მუდმივობა, ცალმხრივობა, ხანგრძლივობა...

გ) თავ- ფუძის შემცველ კომპოზიტში: ერისთავობა.

ბ. ვ იკარგება -ურ სუფიქსის დაართვისას, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: ფშავი - ფშაური, კავთისხევი - კავთისხეური, მეჯვრისხევი - მეჯვრისხეული, აქტივი - აქტიური, პასივი - პასიური ... თავი - მეთაური, სათაური;

გამონაკლისია: თავი - თავური, მოსკოვი - მოსკოვური.

თუ ვ-ს თანხმობანი უძღვის, მაშინ ის შენარჩუნდება: ბავშვი - ბავშვური, პირუტყვი - პირუტყვული, ჯაჭვი - ჯაჭვური, ლიტვა - ლიტვური...

გ. ზმნებში ვ იკარგება -ოდ დაბოლოების დართვისას უწყვეტელსა და II თურმეობითში: ყივის - ყიოდა; ჩივის - ჩიოდა; ბღავის - ბღაოდა, ყვავის - ყვაოდა; ეჩვევა - ეჩვეოდა; ირხევა - ირხეოდა; სწვევია - სწვეოდა; დახვევია - დახვეოდა, დართვია - დართოდა (და არა: ყივოდა, ჩივოდა, ბღავოდა და ა.შ.).

შენიშვნა: დასაშვებია პარალელური ფორმები შემდეგ მაგალითებში: დაჰკარგოდა//დაჰკარგვოდა; გაჰპაროდა// გაჰპარვოდა.

დ. არ არის საჭირო ვ ჩაერთოს I თურმეობითის ფორმებში: გაუქრია, გაუშრია, გაუცნია, უგრძნია...(და არა: გაუქვრია, გაუშვრია, გაუცვნია, უგრძვნია).

ე. ვ ასხვავებს ზმნურ ფორმებს: შეცივება და შეციება — აცივებს წყალს და აციებს მას დღეგამოშვებით; პატიება და პატივება _ აპატიებს დანაშაულს და აპატივებს მიწას.

მართლწერასა და მართლმეტყველებაში ძალიან ხშირია ვ ბგერის დაკარგვით გამოწვეული დარღვევები, ამიტომ აუცილებლად უნდა იქნეს გამოყოფილი ის შემთხვევები, როდესაც ამ ბგერის შენარჩუნება აუცილებელია.

ვ-ს შენარჩუნების შემთხვევები. ვ შენარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ -ავ და -ევ სუფიქსთან ზმნებს დაერთვის სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკი: ვბარავ-ო, დავბარავ-ო, დავხნავ-ო, მოვხარშავ-ო, შევახვევ-ო და ა.შ.;

- იმ მიმდებარეებში, რომლებიც -ავ და -ევ სუფიქსებს დაირთავენ: დამხატავო, მხარჯავო, მფრინავო, სულთამხუთავო, გამწევო...

- ბოლოთანხმოვნიან სახელთან მიმართვის ფორმაში, რომელთა ფუძე ვ ბგერით ბოლოვდება: თავი – თავო, ერისთავი – ერისთავო, დათვო, ლეკვო და ა.შ.

- სახელთა უმეტესობაში, რომელთა ფუძე ვ-ზე ბოლოვდება უ-ო ან სა-ო აფიქსთა დართვისას: თავი – უთავო, მზითვი – უმზითვო, დავა – სადავო, მარხვა – სამარხვო, სიტყვა – უსიტყვო, ეჭვი – საეჭვო...

გამონაკლისია: სასაკლაო, სასაფლაო, სამრეცხაო, საპატიო, საკაცობრიო, სანამღეო.

- ზმნურ ფუძეთა თანხმოვნებს შორის თუნდაც ფუძეს წყვილბაგისმიერი ბგერით (ბ, ფ, პ, მ) დაწყებული სუფიქსი მოსდევდეს: მიწვდომა, მოკვდომა, დამხვდური, მხატვრული, ამოვადვრე, დავადვრე, გაძვრება... (მაგრამ ამოდრობა, ამოსადრობი, ამოდრომა, შეძრომა, საძრომი... და არა: ამოძვრომა, ამოძვრობა, ამოსაძვრობი, საძვრომი...)

სწორია წვრთნის და არა წრთნის.

- უწყვეტლის მწკრივის -ოდ და მეორე კავშირებითის -ო სუფიქსების დართვისას, თუ ვ ძირეულია და თანხმოვანს მოსდევს ან ვ სუფიქსისეულია და თანხმოვნებს შორისაა მოქცეული: იწვოდა, იგვოდა, ილტვოდა, ეკვროდა, იძვროდა, იღვწოდა. მაგრამ გვაქვს: ებრძვის – ებრძოდა, ესვრის – ესროდა, ეტყვის – ეტყოდა, უძღვის – უძღოდა, დაისეტყვა – დაისეტყვოს, იელვა – იელვოს..

- ვ თანხმოვანი შენარჩუნებულია -ევ სუფიქსთან ფუძედრეკად ზმნათა წყვეტილის მწკრივის III პირის მრავლობითში. სწორია: შეერივნენ, შეესივნენ, შეეჩვივნენ, დაეწივნენ, მოეხვივნენ... (და არა შეერიენ, შეესიენ, შეეჩვიენ, დაეწიენ, მოეხვიენ...)

- ვ შენარჩუნებულია წყვეტილის მწკრივის მხოლოდობითი რიცხვის I და II პირისა და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმებში იმ ზმნებში, რომლებიც პირველ თურმეობითში ვ ბერას წარმოგვიდგენენ ფუძეში: ვაწყობ - დავაწყვე, დავაწყვეთ, დააწყვეს, დამიწყვია, ვაცხობ - გამოვაცხვე, გამომიცხვია... მაგრამ: განვაგრძობ - განვაგრძე - განმიგრძია; ვამკობ - შევამკე - შემიმკია. ვაქრობ - ჩავაქრე - ჩამიქრია; ვაშრობ - გავაშრე - გამიშრია; ვაცხრობ - დავაცხრე - დამიცხრია. ამ უკანასკნელებში ვ ზედმეტია.
- -ავ და -ევ ბოლოსართიან ზმნებთან შუალობითი კონტაქტის ფორმებში ვ თანხმოვანი არ იკარგება. სწორია: აბედვინებს, ახატვინებს, აკვლევინებს (და არა: აბედინებს, ახატინებს, აკვლეინებს).

3.7. კუმშვა და კვეცა. ფონეტიკურ პროცესებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

3.7.1. კუმშვა

ფუძიდან ხმოვნის ამოღებას კუმშვა ჰქვია. კუმშვა ხდება მხოლოდობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და -ებ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში.

კუმშვისას ფუძის შუიდან ამოვარდება ა, ე, ო ხმოვნები, ზოგჯერ ფუძისეული ო ხმოვანი სუსტდება და ვ თანხმოვნად იქცევა.

ა ვარდება -ალ, -არ, -ამ, იშვიათად, -ან, -ად, -აბ მარცვლებით დაბოლოებული სახელებიდან: მაღალი-მაღლის-მაღლით-მაღლად-მაღლები; მეომარი-მეომრის-მეომრით-მეომრად-მეომრები...

ე ვარდება -ელ, -ერ, -ემ, -ენ მარცვლებით დაბოლოებული სახელებიდან: ირემი-ირმის-ირმით-ირმად-ირმები; სანთელი-სანთლის-სანთლით-სანთლად-სანთლები...

ო ხმოვანი ამოვარდება ან შესუსტდება და გადაიქცევა ვ თანხმოვანად -ოლ, -ორ, -ონ, -ობ მარცვლებით დაბოლოებული სახელებიდან: გოდორი-გოდრის-გოდრით-გოდრად-გოდრები; მინდორი-მინდვრის-მინდვრით-მინდვრად-მინდვრები...

არსებითი სახელი ლიმონი უკუმშველია!

ფუძეთანხმოვნიანი უკუმშველი სახელები ბრუნებისას რაიმე თავისებურებას არ ამჟღავნებენ. ფუძეთანხმოვნიანი სახელთა ბრუნების საერთო წესის მიხედვით იბრუნება გეოგრაფიული სახელებიც: ფუძის შუიდან ამოვარდება ა, ე და ო ხმოვანები ან ო დასუსტდება და იქცევა ვ თანხმოვანად: მტკვარი-მტკვრის-მტკვრით-მტკვრად; იორი-ივრის-ივრით-ივრად ...

შენიშვნა: გეოგრაფიულ სახელებს მრავლობითი რიცხვი არ აქვს, რადგან ისინი საკუთარ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის.

3.7.2. კვეცა

ბრუნებისას ფუძის ბოლო ხმოვნის ჩამოშორებას კვეცა ჰქვია.

იკვეცება ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები. კვეცა ხდება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში.

-ებ-იან მრავლობითში იკვეცება მხოლოდ ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები, ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები მრავლობით რიცხვში არ იკვეცება.

კვეცადია რიცხვითი სახელები: რვა, ცხრა და მათზე დაბოლოებული რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

კვეცადია ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი.

ფუძემოვნიან სახელთა ბრუნების საერთო წესის მიხედვით იბრუნება გეოგრაფიული სახელები: სამტრედია-სამტრედიის-სამტრედიით-სამტრედიად; ჯორჯია-ჯორჯიის-ჯორჯიით-ჯორჯიად...

ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებული სახელების ფუძე ბრუნებისას უცვლელია, ამიტომ მათ უკვეცელ სახელებს უწოდებენ.

უკვეცელ სახელებს ბრუნებისას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს:

ა. ნათესაობით ბრუნვაში, მიცემითის მსგავსად, ბრუნვის ნიშანია -ს: მიცემითი - წყარო-ს, ნათესაობითი - წყარო-ს.

ასეთ შემთხვევაში სიტყვის ბრუნვა უნდა გაირკვეს ფუძეთანხმოვნიანი სახელის ჩანაცვლებით ან კითხვის დასმით:

წყაროს (რას?) მივადექით - მიცემითი ბრუნვა;

წყაროს (რის?) ახლოს ვისხედით - ნათესაობითი ბრუნვა.

ბ. მოქმედებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანია -თი: წყარო-თი, ეზო-თი, ოქროთი...

უკვეცელია:

- ო, უ და ი ხმოვნებზე ფუძედაბოლოებული ყოველგვარი სახელი. გამონაკლისია ღვინო, რომელიც მხოლოდითი რიცხვის ორ ბრუნვაში — ნათესაობითსა და მოქმედებითში — კვეცადია: ღვინის, ღვინით.

- უკვეცელია ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი საზოგადო სახელი მხოლოდით რიცხვში: ბიცოლა, ტოროლა, ენძელა, ჭრიჭინა, დედოფალა და სხვ. მაგრამ მრავლობით რიცხვში ისინიც მოიკვეცენ ფუძისეულ ა ხმოვანს.

სწორია: ტოროლას ხმა (და არა ტოროლის ხმა); მაგრამ მრავლობითში ტოროლები.

- უკვეცელია უცხო ენებიდან შემოსული ე-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები: ტირე, კუპე, ატელიე, ჟელე, კაფე და სხვ. სწორია: კაფეს მეპატრონე (და არა კაფის მეპატრონე).

შენიშვნა: ე-ზე დაბოლოებული ზოგიერთი უცხოური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი ისეთივე თავისებურებას ამჟღავნებს ბრუნებისას, როგორსაც მსგავსი ფუძის უცხოური წარმოშობის საზოგადო სახელები – არ იკვეცება: რიო-გრანდე (ნათ. რიო-გრანდეს), მონ-პელე (ნათ. მონ-პელეს), ვალე (ნათ. ვალეს) და ა.შ.

- უკვეცელია ნათესაური დამოკიდებულების გამომხატველი საზოგადო სახელები (დედა, მამა, ბებია, ბაბუა...), თუ მათ საკუთარი სახელის მნიშვნელობით ვხმარობთ: “დედას ოთახი მეორე სართულზეა“, “შვილმა დედის ამაგი უნდა დააფასოს“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება საკუთარი დედა და ის არ იკვეცება (დედას ოთახი), ხოლო მეორე შემთხვევაში კი იგულისხმება საერთოდ დედა, რომელიც საზოგადო სახელია და იკვეცება (დედის ამაგი).

- ი ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები უკვეცელია მხოლოდით რიცხვში, მაგრამ კვეცადია მრავლობითში. სწორია: დიჯეიმ, დიჯეის, დიჯეით...; მრ. რ.: დიჯეები.

- თუ საზოგადო არსებით სახელს კნინობითის მაწარმოებელი (-უნა, -უკა, -უნია) დაერთო, ასეთი სახელები მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში უკვეცელი იქნება, ხოლო -ებ-იან მრავლობითში კი - კვეცადი. სწორია: დათუნიასი, დათუნიათი; ჩიტუნასი, ჩიტუნათი, მაგრამ მრავლობითი: დათუნ-ებ-ი, ჩიტუნ-ებ-ი.

შენიშვნა: განუსაზღვრელი ნაცვალსახელი რამე ბრუნებისას პარალელურ ფორმებს იჩენს: რამე-ს(ი), რამ-ის; რამე-თი, რამ-ით. ორივე პარალელური ფორმა მართებულია.

კუმშვად-კვეცადი სახელები. რამდენიმე ფუძეხმოვნია არსებითი სახელი ბრუნებისას კიდევ იკვეცება და კიდევ იკუმშება. ასეთ-სახელებს კუმშვად-კვეცადი სახელები ეწოდება.

ერთდროული კუმშვა და კვეცა ხდება მხოლოდითი რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და -ებ-იანი მრავლობითის შვიდივე ბრუნვაში.

კუმშვად-კვეცადი სახელებია: ქვეყანა, ქარხანა, ბეგარა, პეპელა, ფანჯარა, ტომარა, მოყვარე; მაგ.: პეპელა-პეპლის-პეპლით-პეპლად-პეპლები; ქვეყანა-ქვეყნის-ქვეყნით-ქვეყნად-ქვეყნები...

3.7.3. ორთოგრაფია. ფონეტიკურ პროცესებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

ორთოგრაფია (მართლწერა) არის წესების სისტემა, რომელიც საფუძვლად ედება სიტყვათა დაწერილობას და არეგულირებს წარმოთქმასა და წერას შორის ურთიერთობას.

მართლწერის ცოდნას როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა აქვს. ქართული ენა იმ ენათა რიცხვშია, რომლებშიც წარმოთქმა და წერა უმთავრესად ერთმანეთს ემთხვევა; აქ მართლწერის საკითხები არ იწვევს ისეთ სიმწვავეს, როგორც ისეთ ენებში, რომლებშიც წარმოთქმა და მართლწერა ერთმანეთს დაცილებულია (რუსული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული და ა.შ.), თუმცა ორთოგრაფიული პრობლემები თავს იჩენს ქართულშიც.

მაგ.: როგორც წესი, წარმოთქმაში ბგერის ცვლილების მიხედვით გრაფემა არ იცვლება, იგი “კონსერვატიულია”: “ვ“

ბგერა “თ“-ს წინ ისმის როგორც “ტ“, რომლის შესატყვისი ასო ქართულ ანბანს არა აქვს: ნავთი > ნატი, ვთესავ > ტთესავ; აქ იწერება ვ ასო. ასევე, სიტყვაში ვკითხულობ ისმის ფ ბგერა, მაგრამ იწერება ბ გრაფიმა... როგორც ვხედავთ, წერილობითი ნიშანი ზუსტად ვერ გადმოსცემს წარმოთქმის ყველა ნიუანსს.

წესების სისტემა, რომელიც შემუშავებულია ერთი ენის მართლწერისათვის, არ გამოდგება მეორე ენისათვის, ამასთანავე, ერთ ენაში შეიძლება მართლწერის წესებს საფუძვლად ედოს არა ერთი, არამედ რამდენიმე პრინციპი.

ამა თუ იმ ენის მართლწერის პრინციპები შემუშავებულია ამ ენათა ფონეტიკურ-მორფოლოგიური აგებულების, წარმოთქმასა და წერას შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით; მხოლოდ ერთი პრინციპი არც ერთი ენის ორთოგრაფიას არ უძევს საფუძვლად, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ძირითადია, უპირატესია ამა თუ იმ ენის მართლწერაში.

განვიხილოთ ორთოგრაფიის ძირითადი პრინციპები: ფონეტიკური, მორფოლოგიური, ისტორიული, გავრცელებულობის, კეთილხმოვანების:

ა. ფონეტიკური პრინციპი მოითხოვს წერას ისე, როგორც წარმოთქვამენ. ქართული უძველესი სამწერლობო ენაა, მაგრამ მას ფონემატური კონსერვატიზმი ახასიათებს. სწორედ ამიტომ არ დგას ქართულში მწვავედ ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული სიტყვის მართლწერის საკითხი. აქ წარმოთქმასა და წერას შორის განსხვავება მცირეა. სიტყვათა უმეტესობა ქართულში ისე იწერება, როგორც ისმის. ზოგიერთი გამონაკლისი საერთო სურათს ვერ ცვლის - ქართული ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა.

ბ. მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით, სიტყვა იწერება მისი მორფოლოგიური შედგენილობის დაცვით; მაგ., სიტყვა

“ვოცნებობ“ წარმოითქმის, როგორც “ოცნებოფ“, მაგრამ წარმოთქმის მიხედვით კი არ იწერება, არამედ მორფოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით: მე ვ-ოცნებ-ობ - აქ ვ პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, ბოლოკიდური ბ — თემის. პირველი ვ წარმოთქმისას იკარგება ბაგისმიერი ო-ს წინ, ბოლოკიდური ბ კი ყრუვდება და ფ-ში გადადის, მაგრამ ამ სიტყვის დაწერისას ფონეტიკურ პრინციპს კი არ ვუწევთ ანგარიშს, არამედ - მორფოლოგიურს.

ქართულში მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით იწერება ბევრი სიტყვა, ამიტომაც აქ ეს პრინციპი, ფონეტიკურთან ერთად, ძირითადია.

გ. ისტორიული პრინციპის დაცვით წერა ნიშნავს სიტყვის ისეთ დაწერილობას, რომელიც მოცემულ ენაში ტრადიციულია და მნიშვნელობას არ ანიჭებს მორფოლოგიური პრინციპის რღვევას. იგი ქართულში ასე თუ ისე გავრცელებულია და იყენებენ სადავო საკითხის გადასაჭრელად იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ფორმის წარმოშობისა და განვითარების გარკვევა. მაგალითად, XX საუკუნის 30-იან წლებამდე გამოიყენებოდა ფორმები: შეცთომა, მცთარი... ახლა იწერება შეცდომა, მცდარი... გამოირკვა, რომ თავდაპირველი ძირი ამ სიტყვისა ყოფილა ცედ, უხმოვნოდ - ცდ, რომელიც ც-სთან დ-ს დამსგავსების გამო შეცვლილა ცთ-დ. ახლა ეს შეცდომა გასწორებულია და მართებულმა ფორმამ თავისი ადგილი დაიმკვიდრა.

დ. გავრცელებულობის პრინციპი. ზოგმა სიტყვამ დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, უმართებულო სახე მიიღო, მაგრამ ისე გავრცელდა, რომ სამწიგნობრო ქართულში დამკვიდრდა. მაგალითად, “დაღმართი“ მორფოლოგიური თვალსაზრისით უმართებულო ფორმაა, თუმცა იგი დღეს სამწიგნობრო ქართულშია დამკვიდრებული ...

ე. კეთილხმოვანების პრინციპი. მისი დამწერგავი გახლავთ სილოვან ხუნდაძე; ის და შემდეგში ს. გორგაძე განმარტავდნენ, რომ “კეთილხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოსათქმელად ადვილია და სმენისათვის სასიამოვნო“. ენათმეცნიერება ამ პრინციპს ვერ დაემყარება, რამდენადაც ის სუბიექტური საზომია. ენას თავისი კანონები აქვს, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, მიუხედავად იმისა, კეთილხმოვნად გვეჩვენება იგი თუ არა.

სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის საკითხები ხშირად დავის საგანია. ამჟამად სამწიგნობრო ენის ნორმები დგინდება შემდეგი პრინციპების მიხედვით:

ა) ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა.

ბ) გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელად დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მონაცემები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით. რასაც უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს, ის სავამართოდ ვერ იქცევა.

გ) როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი გადაწყდება იმის სასარგებლოდ, რომელიც:

1. უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში,
2. გამართლებულია გრამატიკული სისტემით,
3. წარმოების მიხედვით უფრო მარტივია,
4. მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

დ) ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. ამ შემთხვევაში მოცილე ფორმებიდან უპირატესობა მიეცემა იმას, რომელიც:

1. უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;
2. გამართლებულია ეტიმოლოგიურად;
3. მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზეპირ მეტყველებაში ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმების გამოყენება მართლწერის წესების მიხედვით დაუშვებელია.

ფონეტიკურ პროცესებთან დაკავშირებულია მართლწერის შემდეგი საკითხები:

ა. ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებშიც გარკვეული ბგერები მიღებულია კონტაქტური თუ დისტანციური, პროგრესული თუ რეგრესული, სრული თუ ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად, უნდა ვწეროთ იმ ფორმით, რომელიც დღეს სამწიგნობრო ქართულისთვისაა დამახასიათებელი; მაგ.: ერთგული > ერდგული, გქონდა > ქქონდა, გჭირს > კჭირს, ტბა > ტპა, მისდევს > მიზდევს, მოგვცა > მოქვცა, ბაღში > ბახში, ამბობთ > ამბოფთ, გვერდში > გვერთში, ტკპილი > ტკპილი, დიდხანს > დითხანს, გადაწყდა > გადაწყტა, თბილი > თფილი, ქვითკირი > ქვიტკირი, მოკვდა > მოკვტა... ტიპის ფორმებში, მართალია, ზეპირი მეტყველებისას ისმის მიღებული ვარიანტები, თუმცა უნდა ვწეროთ ამოსავალი ფორმები²⁰.

ბ. ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებშიც გარკვეული ბგერები მიღებულია კონტაქტური თუ დისტანციური, პროგრესული თუ რეგრესული დისიმილაციის შედეგად, უნდა ვწეროთ იმ ფორმით,

²⁰ აღარაფერს ვამბობთ ისეთი აშკარად დიალექტური ფორმების შესახებ, როგორიცაა: აილო > ეილო, უცნაური > უცნოური, ჩავიცვა > ჩევიცვა, წინათ > წინეთ (ასიმილაციის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ 3.1).

რომელიც სამწიგნობრო ქართულისთვისაა დამახასიათებელი დღეს:

მაგ.: ამაღამ > ამელამ, ახლა > ეხლა, ხანდახან > ხანდიხან, თანდათან > თანდითან, არავინ > არევინ, გოგოები > გოგუები, ღვინოები > ღვინუები, ეხოები > ეხუები, კოლოები > კოლუები, ვათხოვე > ვათხუე, მოახერხა > მუახერხა, წლეულს > წრეულს... (დისიმილაციის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ 3.2).

გ. სალიტერატურო ქართულით უნდა ვწეროთ კილოური მეტყველებისთვის დამახასიათებელი დისტანციური თუ კონტაქტური, პროგრესული თუ რეგრესული მეტათეზისის შედეგად მიღებული ისეთი ფორმები, როგორიცაა მაგ.: ღრმა > რღმა, ნერვი > ნევრი, ხვნა > ხნვა, ნახშირი > ნაშხირი, დაფვლა > დაფლვა, ვნახე > ნავხე, ღრუბელი > ღურბელი, ძლიერ > ძრიელ, თავყანისცემა > თაყყანიცემა, ზურგი > ზრუგი, შენიშვნა > შენიშნვა, ხვრა > ხრვა, შეკვრა > შეკრვა, მადლიერი > მადრიელი, ბნელი > ბლენი, დასაბმელი > დასამბელი, ხსნილი > სხნილი, მასხრობს > მახსრობს და ა.შ. (მეტათეზისის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ 3.3).

დ. მართლწერის საკითხებთან არის დაკავშირებული მოქმედი თანხმონაცვლეობისა და ხმონაცვლეობის შედეგად მიღებული ფორმების გადმოცემაც. კერძოდ, ასეთ ფორმებში მიღებული ბგერების ნაცვლად, უნდა ვწეროთ ამოსავალი ბგერები. მაგ.: ბავშვები - ბავშვეს (მონაცვლეობა ბ/ფ), დარდი - დართში (დ/თ), ბარგი - ბარქთან (გ/ქ), ქერქი - ქერგზე (ქ/გ), გაზი - გასთან (ზ/ს) და ა.შ. ფორმებში ბგერათმონაცვლეობის შედეგად მიღებული შესაბამისი ფ, თ, ქ, გ, ს თანხმონაცვლად უნდა ვწეროთ ამოსავალი ბ, დ, გ, ქ, ზ ბგერები (ბგერათმონაცვლეობის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ).

ე. მართლწერის საკითხები, ასევე, დაკავშირებულია სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში გავრცელებულ ისეთ ფონეტიკურ მოვლენასთან, როგორიცაა სუბსტიტუცია:

სუბსტიტუციის შედეგად მიღებული ბგერების ნაცვლად აუცილებლად უნდა დაიწეროს ამოსავალი ბგერები: მაგ., ხავსი > ხამსი, უმცროსი > უნცროსი, კოვზი > კობზი, ტირიფი > ტილიფი, რტო > შტო, ჰო > ხო, აბა > აპა ფორმებში შესაბამისად უნდა ვწერთ ვ, მ, რ, ჰ, ბ ბგერები (სუბსტიტუციის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ).

ვ. მართლწერის საკითხებს მჭიდროდ უკავშირდება, ასევე, ვ ბგერის ჩართვიდან და დაკარგვიდან გამომდინარე ფონეტიკური პროცესები (ვრცლად იხ. ზემოთ).

3.8. ორთოეპია

3.8.1. ორთოგრაფია და ორთოეპია

ორთოგრაფიული პრობლემები ორთოეპიის ნორმებზეა დამოკიდებული და პირიქით; ორთოგრაფიული სიძნელების დამღევაში მნიშვნელოვანი წილი უძევს ორთოეპიის წესების მოწესრიგებულობას.

რამდენადაც ქართული ენისათვის ტრადიციულად დამახასიათებელია ზეპირი და წერითი მეტყველების მაქსიმალური სიახლოვე, მართლწერის ორი ფორმის ასეთი მიმართება, ორთოგრაფიის დამოკიდებულება ორთოეპიაზე განსაკუთრებით აქტუალურია სწორედ ქართულში.

ორთოეპიული პრობლემები ბევრად უფრო სწრაფად ექცევა ცოცხალი ენობრივი პროცესების გავლენის სფეროში, ვიდრე ორთოგრაფიის ნორმები (რომლებიც, ჩვეულებისამებრ, გაცილებით კონსერვატიულია).

მოკლედ ჩამოვაცალიბოთ ის მსგავსება და განსხვავება, რაც ორთოეპიასა და ორთოგრაფიას შორისაა:

1. ზეპირი სათქმელი წარმოითქმის და გაიგონება; წერილობითი ნათქვამი წიკითხება გრაფიკული ნიშნების - ასოების საშუალებით და აღიქმება მხედველობით.

2. ბავშვი ენას იდგამს ზეპირი მეტყველებით. დასაწყისში ზეპირი მეტყველება ვითარდება პრაქტიკული გზით, გამოცდილებით. შემდეგ კი, როცა ბავშვი სკოლაში იწყებს სწავლას, მეტყველების წესებს თანდათანობით, საგანგებოდ ეუფლება, წერას კი სკოლაში შესვლამდე არ სწავლობს, თანაც ეს საგანგებო ღონისძიების - სწავლის გარეშე ვერ ხერხდება.

3. ზეპირი მეტყველებისას მსმენელი იქვე იგულისხმება. მოუბარი მსმენელს მოითხოვს. ზეპირად ნათქვამის მოქმედების მასშტაბი ვიწრო და ხანმოკლეა, ნაწერის მოქმედებისა კი - ხანგრძლივი.

4. ზეპირი მეტყველების ემოციური ეფექტი უფრო მაღალია და თვალსაჩინო, ვიდრე წერითი მეტყველების მონაცემებისა: ზეპირი მეტყველებისას მოუბარზე უშუალოდ მოქმედებს აუდიტორია, რომელსაც შეაქვს მოუბრის ტონში, ტემპსა და მიმართვის ფორმაში ერთგვარი ცვლილებები.

5. ზეპირი მეტყველება შედარებით უფრო თავისუფალია და შეუზღუდავი, ვიდრე წერითი. ზეპირი მეტყველებისას მთქმელი საჭირო შემთხვევაში მონოლოგს ცვლის დიალოგით, იმოწმებს მსმენელებს ნათქვამის სისწორეში, იმეორებს ფრაზებს ან გადმოსცემს მათ შინაარსს სხვადასხვა ფორმით, აკეთებს ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ პაუზებს, მახვილებს, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნათქვამის შინაარსისადმი სათანადო ინტონაციით. ამ საშუალებებს წერითი მეტყველება მოკლებულია.

6. ნაწერი იქმნება ნელი ტემპით, დაკვირვებით. დამწერს საშუალება ექმნება, უკეთ გამართოს ფრაზა გრამატიკულად და სტილისტურად.

7. ნაწერში უკეთ ვლინდება ადამიანის ცოდნა-განათლებისა და აზროვნების დონე, ვიდრე ზეპირმეტყველებისას.

3.8.2. ორთოეპიის ძირითადი საკითხები

სამწიგნობრო ენაში მეტყველების გამოვლენის ორივე სფერო - ზეპირიცა და წერილობითიც - ნორმირებულია. ზეპირმეტყველების ნორმატიულობას განსაზღვრავს ორთოეპია (ბერძნ. ორტპოეპია = ორტპოს – სწორი და ეპოს – მეტყველება), იგივე მართლმეტყველება, ხოლო წერითი მეტყველებისას – ორთოგრაფია (მართლწერა).

ორთოეპია არის იმ წესების სისტემა, რომლებიც აწესრიგებენ წარმოთქმას როგორც დამწერლობასთან ურთიერთობაში, ისე – მისგან დამოუკიდებლად.

ზეპირმეტყველება წინ უსწრებს წერით მეტყველებას: დამწერლობის მეშვეობით ფიქსირდება მეტყველება; სათქმელს ჯერ წარმოვთქვამთ, ბგერით სახეს ვაძლევთ და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს ის წერილობით ფორმას.

ორთოეპიული ნორმების ჩამოყალიბება მიმდინარეობს საუკუნეთა მანძილზე, ხოლო მართლმეტყველების ნორმირების პროცესის შედეგად მიღებულ ფორმათა დამკვიდრება კი სტიქიურად და ბუნებრივად ხდება.

მას შემდეგ, რაც ენა მწიგნობრობის საფუძველზე იწყებს განვითარებას, ბუნებრივია, ორთოეპიული პრობლემების რეგულირება უფრო მეტად შესაძლებელი ხდება.

ცოცხალი ენობრივი პროცესები სწრაფ გავლენას ახდენს ორთოეპიაზე. ეს გავლენა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც რომელიმე კუთხური მეტყველებიდან, ისე უცხოენოვანი გარემოდან. წერილობით მეტყველებასთან შედარებით, დიალექტური ფორმები ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში უფრო მეტია. ბოლო დროს ამ უკანასკნელისათვის უფრო დამახასიათებელია უცხო ენებიდან შემოსული სამეტყველო ელემენტები, ვიდრე სხვადასხვა კილოდან მომდინარე ფორმები. უცხო ენებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ნორმებისა და მანერების ინტენსიურმა შემოჭრამ ქართული მართლმეტყველება არაერთი ახალი პრობლემის წინაშე

დააყენა. სპეციალისტებმა შესაბამისად უნდა შეაფასონ ეს ფაქტები და მათზე რეაგირებაც დროულად უნდა მოახდინონ, თანამედროვე ორთოეპიის თვალსაზრისით, სამწიგნობრო ქართული ფონემურად სრული მეტყველებაა, რომელსაც ეფუძნება პრინციპი: როგორც გამოითქმის, ისე იწერება და — პირიქით. აქედან გამომდინარე, ორთოეპიის ამოცანაა სიტყვის წარმოთქმა ბგერითი სისრულით, ნათლად.

ამრიგად, ორთოეპია სამწიგნობრო ენის იმ საწარმოთქმო ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც სალიტერატურო მეტყველების მთლიანობასა და ერთგვაროვნებას განაპირობებენ. ორთოეპიის ამოცანები მოიცავს როგორც მეტყველების ძირითად ელემენტებს — ბგერებს (ფონემებს), ისე ზესეგმენტურ მონაცემებს (მახვილს, ინტონაციას...); მისი ობიექტია სალიტერატურო ზეპირმეტყველების ნებისმიერი ასპექტი.

3.9. ფონეტიკური ცვლილებებით გამოწვეული ომონიმია

ენაში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ზოგჯერ სხვადასხვა სიტყვა ერთმანეთს ემსგავსება და ვიღებთ ომონიმურ წყვილებს.

მაგალითად: აი ჩვენებითი ნაწილაკია; იგივე აი ზოგ დასავლურ კილოში ფონეტიკურად გამარტივებული აგი ნაცვალსახელია.

აბა სიტყვას კილოებში ენაცვლება აპა, შედეგად ის ემთხვევა ბავშთა ენის აპა-ს.

ბღვრიალი ‘ძლიერი ნათებაც’არის და ‘ბრიყვული ტირილიც’. პირველ შემთხვევაში ამოსავალი ჩანს ფუძე ბდვინ- (შდრ. მბდვინვარე) ბდღვრიალი-ს საფეხურის გავლით (მსგავს გარემოცვაში ღ და რ ბგერების განვითარებაც

ჩვეულებრივია ქართულში და უცხო არაა არც ბდღვრ კომპლექსის გამარტივება დ-ს ამოღებით); მეორე სიტყვა ღრიალ-ს უნდა უკავშირდებოდეს.

თათხავს სიტყვაში ‘ლანძღავს’ მნიშვნელობა ‘დასვრის’ გადატანითი ხმარებიდან არის განვითარებული და ‘თითხნის’ სიტყვის მონათესავეა; მეორე სიტყვა – ‘ფეხების განივრად გაშლას’ რომ გულისხმობს, ჩაჩხავს- სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი ჩანს.

ჩაფულა ‘ფეხსაცმელსაც’ აღნიშნავს და ჩაფურა (‘ჭურჭელია ერთგვარი’) სიტყვის ბგერითი სახესხვაობაც არის.

ძირა, ერთ-ერთი მცენარის სახელი, მიღებულია ზირა-საგან და ფონეტიკურად არის დამსგავსებული ძირა ‘ქვედა’ სიტყვას.

წკანწკარა არის როგორც ნაკადულის ეპითეტი, ისე ერთ-ერთი ჩიტის სახელწოდება. ნაკადულის ეპითეტად ნახმარი სიტყვისათვის ხმაბამვა არის ამოსავალი, ხოლო ჩიტის სახელწოდება თავდაპირველად ჟღერდა როგორც წყალ-წყალა. აქა-იქ ამ სიტყვას ახლაც ვხვდებით ამ ფორმით (ჩიტი წყლის ნაპირას გვხვდება ხოლმე და აქედან შერქმევია ეს სახელიც).

წუა გათუთქული ტყემლის წვენსაც აღნიშნავს და ერთ-ერთ ჩიტსაც; ჩიტის სახელად წუა მეორეულია: მომდინარეობს წოია-საგან.

წუმწუმა იხმარებოდა ასანთის სახელადაც და აღნიშნავდა სითხის მოსაკავებელ ჭურჭელსაც. ორივე სიტყვის ადრინდელი ბგერადობა დადასტურებულია საბას ლექსიკონში: გოგირდის აღსანიშნავად წუნწუბა და ჭურჭლის სახელად წურწუმა.

ხორხორი ‘აურზაურის’ მნიშვნელობით როხროხი და ხორხორი სიტყვების რიგში დგას, ხოლო სხვა ხორხორი – ‘არაფხვიერი მიწა’ - არის სახესხვაობა ხვარხვარი სიტყვისა...

ამრიგად, ფონეტიკური ცვლილებების გამო ერთმანეთს დამსგავსებული სიტყვები - ომონიმები ორ ქვეჯგუფად შეიძლება დაიყოს: ან ერთ-ერთი სიტყვის ცვლის გამო მისი ბგერადობა დაემთხვა მეორე ჯგუფის ბგერადობას (ზირა//ძირა - ძირა; აგი//აი - აი; აბა//აპა - აპა; წოია//წუა - წუა...), ან კიდევ ორი სიტყვა სხვადასხვაგვარი ცვლილებების შედეგად ერთმანეთს დაემთხვა ფონეტიკურად (ბღღვრიალი//ბღვრიალი - ბღვრიალი//ღრიალი; წუნწუბა//წუმწუმა - წუმწუმა//წურწუმა//კუმკუმა//კურკუმა; ხვარხვარი//ხორხორი ხორხორი//როხროხი//ხორხოზი).

3.10. ფონეტიკური ვარიანტები და ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა

ფონეტიკური ვარიანტები შეიძლება საფუძვლად დაედოს ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნას:

ერთი სიტყვის (ისტორიულად და ფონეტიკურად იგივეობრივი ოდენობის) მეშვეობით შესაძლებელია მიეთითოს რამდენიმე განსხვავებულ ობიექტზე. ასეთ შესაძლებლობას ჰქვია პოლისემია, რომელიც აღსანიშნავია (ცნებასა) და აღმნიშვნელს (ბგერათა მიმდევრობა) შორის არაცალსახა დამოკიდებულების შემთხვევებს წარმოგვიდგენს.

პოლისემიურია, მაგალითად, სიტყვა ბეჭი, რომელიც აღნიშნავს: 1. 'სხეულის (ჩონჩხის) ნაწილს' 2. 'საქსოვ იარაღს'; თვალი 'ბორბალსაც' აღნიშნავს და 'ძვირფას ქვასაც' და სხვ.

რაკი მნიშვნელობა არის მიმართება საგანთან, აღსანიშნავთან, — სიტყვის პოლისემიურობის საკითხი თითქოს მარტივად უნდა გადაწყდეს: სიტყვაში იმდენი მნიშვნელობა

უნდა ვივარაუდოთ, რამდენ აღსანიშნთანაც ავლენს იგი მიმართებას. მაგრამ ასეთი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება მართებული, თუ წინასწარ დაზუსტებული გვაქვს “აღსანიშნის” რაობა. რა თქმა უნდა, არავინ იტყვის ვარსკვლავი- სიტყვას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაშიო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვა “მიემართება” თითოეულ ვარსკვლავს. პოლისემიასთან მხოლოდ მაშინ გვექნება საქმე, როდესაც ერთი ფონეტიკური გარსი მიმართებაში აღმოჩნდება საგანთა რამდენიმე კლასთან.

ომონიმიისა და პოლისემიის გამიჯვნის საკითხი საკმაოდ პრობლემატურია.

3.10.1. ფონეტიკური ვარიანტები და ლექსიკური ომონიმია

ლექსიკური ომონიმია ენათმეცნიერებაში სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული: ერთნი ომონიმებად მიიჩნევენ ბგერითად იგივეობრივ, მაგრამ წარმოშობით განსხვავებულ სიტყვებს: ხელი ‘ზედა კიდური’ - ხელი ‘გიჟი’, ან ბალი ‘ერთ-ერთი კურკოვანი ხილი’ - ბალი ‘მეჯლისი’ - ბალი ‘ციფრით გამოხატული შეფასება’.

სხვების ვარაუდით, ომონიმიასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი სიტყვის მნიშვნელობები ძლიერ დაშორდნენ ერთმანეთს: დრკება ‘იღუნება, იხრება’ - დრკება ‘შეშინდება’... რაკი მოლაპარაკებებს უქრებათ წინანდელი კავშირის გრძნობაო.

3.10.2. ფონეტიკური ვარიანტები და მორფემული

აგებულებით განსხვავებული ომონიმები

ომონიმებს წარმოადგენენ ის სიტყვებიც, რომლებიც ფონეტიკურად იგივეობრივნი არიან, მაგრამ მორფემული აგებულება კი განსხვავებული აქვთ:

ასული - ‘ქალიშვილი’ და მიმღეობა ‘ვინც ავიდა’ ვალ ფუძიდან (ა-ს-ვლ-ულ-ი).

აჩეჩა - ‘ხელნებაშეგებული სამთო ურემი’ და აჩეჩს ზმნით გამოხატული მოქმედების სახელი (ა-ჩეჩ-ა).

ბერა - ‘თამაშობაში მონიშნებული ადგილი’ და ბერი- სიტყვის კნინობითი (ბერ-ა).

ზედა არის ზედ- სიტყვისაგან ნაწარმოები ზედსართავი (“ზედა ყბა”, “ზედა ტუჩი”, “ქვედა სართული იყო ქვიტკირის, ზედა კი, ფართოაივნიაანი, ხის”: დ. კლდიაშვილი); იგივე ფუძე -ემფატიკური -ა სუფიქსით - სხვა სიტყვას ქმნის (“ლოგინის ბოლოს ვარცლი დგა, თავით - საპურე გოდორი, ზედა ზის ჭრელი დედალი, მას თავს უმშვენებს ქოჩორი”; ვაჟა; “საფლავში ვარ, თვალით ვერსა ვხედავო, ქვა და ლოდი მაფარია ზედაო” იეთიმ გურჯი).

სვიანი: -იან სუფიქსი აქ ორ განსხვავებულ ფუძეს ერთვის - სვე- და სვი- ფუძეებს და, ცხადია, ორ განსხვავებულ სიტყვას იძლევა; ერთი სიტყვა ‘სვეს, ბედის მქონეს’ აღნიშნავს (“იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი”), მეორეა ‘სვიას საფუარის მქონე’ (“მასვი, მინდიავ, — ეტყვიან, — კაი ლუდია სვიანი”: ვაჟა).

3.10.3. ლექსიკური პარადიგმატიკა და ფონეტიკური ვარიანტების შედეგად მომხდარი ცვლილებანი ლექსიკაში

სინონიმის შექმნის საფუძველი, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, გარეენობრივი მოვლენებია: დიალექტურ დუბლეტთა თავმოყრა (თოკი - ბაწარი; ბუჩქი - ჩირგვი, დეკეული - უშობელი, კნუტი - ცინდალი).

მას შემდეგ, რაც სინონიმია შეიქმნა, სინონიმთა ურთიერთობა, უპირატესად, გარეენობრივ ფაქტორთა ჩაურევლად წესრიგდება. ეს მოწესრიგება სხვადასხვაგვარად ხდება.

სინონიმთა ურთიერთობა არაიშვიათად წესრიგდება მათი მნიშვნელობის დიფერენციაციის გზით.

მნიშვნელობის დიფერენციაციის ნიმუშია ფანჯარა და სარკმელი სიტყვების ურთიერთობა. ადრე ეს უკანასკნელიც (სარკმელი) ‘ფანჯარას’ აღნიშნავდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ფანჯარა სიტყვის გაბატონების გამო შეინიშნება სარკმელი სიტყვის ხმარება რუსული фортыха-ს ფარდად. “ცნობათა ბიუროს სარკმელი”, “სალაროს სარკმელი“...

ცნობილია, რომ ასლი არაბულიდან არის ნასესხები და ‘დედანს’, ‘ნამდვილს’ აღნიშნავს: “ეს ქალი ასლი სამენოა” (ან. ერისთავ-ხოშტარია). ‘დედნის’ აღმნიშვნელი ორი სიტყვის (ასლი, დედანი) თავმოყრამ ხელი შეუწყო მათი მნიშვნელობის დიფერენციაციას: “ასლი დედანთან სწორია” — ამ და ბევრ სხვა გამოთქმაში ასლი სწორედ იმის საპირისპიროს აღნიშნავს, რასაც დედანი ნიშნავს - ‘პირს’, ‘კოპიოს’ (ა. შანიძე). ამ უხერხულობის ასაცილებლად, ცდილობენ, დღეს თავი აარიდონ საზოგადოდ ასლი სიტყვის ხმარებას.

აწ მნიშვნელობით იგივეა, რაც ‘ახლა, ამჟამად’: “აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე”, “რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ, ძნელი არის აწ სათქმელად” (აკაკი)... აწ სიტყვის ფარდი მნიშვნელობით ახლა (თავდაპირველი მნიშვნელობა ახლა სიტყვისა, იქნებ, განსხვავებული ელფერისა იყო. შდრ. “ერთ ავს ფიქრს რომ აიცილებდა, ახლა უფრო უარესს წააწყდებოდა”; ილია). აწ და ახლა სიტყვების სემანტიკური სიახლოვე გახდა, ალბათ, მიზეზი პირველი მათგანის მნიშვნელობის გადაწევისა ზოგ კილოში: გურულსა და იმერულში აწი (აწე) მომავლის ზმნისართია — ნიშნავს “ამის შემდეგ”: “სულაც აღარ გაგეკარები აწი” (ე. ნინოშვილი).

სიმღერა ოდესღაც ‘თამაშს’ ნიშნავდა, გალობა - იმას, რასაც დღეს სიმღერა აღნიშნავს. მას შემდეგ, რაც სიმღერა სიტყვამ ‘გალობის’ მნიშვნელობა მიიღო, ნელ-ნელა მოხდა ამ სინონიმთა მნიშვნელობის დიფერენციაცია: გალობა ‘მხოლოდ სასულიერო, საელესიო გალობას’ აღნიშნავს, სიმღერა კი - საეროს.

სიმღერა და გალობა სიტყვების ფუძეთა სინონიმურობა აქა-იქ მაინც გვხვდება XIX-XX სს. მწერლობაში: “ეგ ზემოაღნიშნული სიტყვები რომ გამოაკლო თავის სიმღერას, უკეთესი მგალობელი იქნება” (ვაჟა), “ერთი და იგივე გალობის მომღერალნი” (ჭ. ლომთათიძე), “დედამისი მღერის ჰგონია, როცა მგალობელი ჩიტის ხმა მოესმის” (ჭ. ლომთათიძე).

სინონიმების მნიშვნელობათა დიფერენციაცია უეჭველი ფაქტია.

სინონიმია ზოგჯერ გრამატიკულ ნიშან-თვისებათა ნიველირებასაც იწვევს.

მას შემდეგ, რაც ჯირით- ფუძემ ჭენება - სიტყვის ფუძის მნიშვნელობა მიიღო, იგი გრამატიკულადაც გაუთანაბრდა ამ ფუძეს და ამჟამად გვხვდება გა-ჭენ-დ-ებ-ა, გა-ა-ჭენ-ებ-ს, ი-ჭენ-ებ-ს და მსგავსი ზმნების ფარდი გა-ჯირით-დ-ებ-ა, გა-ა-ჯირით-ებ-ს, ი-ჯირით-ებ-ს... “მოახტა ვირს და გაიჯირითა” (შ. არაგვისპირელი), “ცხენი ეზოში შემოაჯირითა” (დ. კლდიაშვილი), “ეზოში შემოჯირითდა თავისი ლამაზი წაბლა ცხენით კირილე” (დ. კლდიაშვილი).

დაღერღავს, აგრეთვე, დაროშავს სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა ‘ძალიან მსხვილად დაფქვავს’; შემდეგ გადატანით დაროშავს გამოყენებულ იქნა ‘უადგილოდ თქმისთვისაც’. “თქმისა და როშვის ფუძეთა სინონიმურმა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ამ უკანასკნელს დართვოდა ზმნისწინი წამო-(წამოროშა), რომელიც ‘თქმის’ აღმნიშვნელ ფუძეებთან გვხვდება (წარმოთქვამს, წამოილაპარაკებს, წამოიძახებს, წამოაბოდებს, წამოაკივლებს...) და ‘ფქვის’ აღმნიშვნელთან კი - არა. ამოღერღავს ზმნა ‘გაჭირვებით თქმისათვის’ არის გამოყენებული. მისი ამო- ზმნისწინი ‘ფქვის’ მნიშვნელობით გამოყენებულ ფუძეებში არ გვხვდება, იგი დგას ‘თქმის’ აღმნიშვნელ ფუძეთა რიგში: ამოილაპარაკებს, ამოიკვნესებს, ამოილულულუღებს, ამოიბღავლებს...(”ლექსო, ამოგთქვამ, ოხერო“: ხალხური).

ფონეტიკური ვარიანტების დამოუკიდებელ სიტყვებად ქცევის საუკეთესო ნიმუშებია:
“სული“ და “სუნი“: ლ/ნ მონაცვლეობით წარმოიქმნა ორი დამოუკიდებელი სიტყვა;

კრებს (ადამიანებს) და კრებს (ვაშლს): ბ/ვ მონაცვლეობით წარმოიქმნა ორი დამოუკიდებელი სიტყვა...

აღდგა - ადგა და სხვ.

კიდევ ბევრი მაგალითი შეგვიძლია დავასახელოთ, თუმცა ზემომოყვანილი ფორმებიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ დროთა განმავლობაში ფონეტიკური ვარიანტები შეიძლება იქცეს დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად.

გამოყენებული ლიტერატურა

რ. აბაშია, 2003 - რ. აბაშია, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი (სიბილანტა შესატყვისობის მიხედვით): ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003.

ა. არაბული, 2005 - ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2005.

გ. ახვლედიანი, 1949 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

პ. ბერაძე, 1959 - პ. ბერაძე, მახვილი ქართულ ლექსში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის II სესია, თბ., 1959.

კ. ბერგსლანდი, 3. ფოგტი, 1972 - კ. ბერგსლანდი, 3. ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის; მიმომხილველი, 6/9, თბ., 1972.

თ. გამყრელიძე, 1959 - თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, **1965** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, **1984** - თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, *Индоевропейский язык и индоевропейцы*, Тбилиси, 1984.

ს. გორგაძე, **1916** - ს. გორგაძე, ქართული მართლწერა, ქუთაისი, 1916.

გ. დეეტერსი, **1930** - G. Deeters, Das Kärtveleisckve Verbatum. Verglisckvende Darsckellunge des Verbalbaus der sudkavkasisckven Szrakckven, Lepsig, 1930.

გ. კლიმოვი, **1952** - Г. Климов, О Глохронологическом методе датировки распада языка, ВЯ, Москва, 1952, №2.

დ. კრისტალი, **1989** - D. Kristal, თქვე ჩამზრიდგე Eნცყლოპედიალ ოფ Lანგუაგე, Nეწ Yორკ, 1989.

თანამედროვე ქართული ენა (ნაკვეთი I), ავტორთა კოლექტივი, ქუთაისი, 2004.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1986.

ვ. თოფურია, **1962** - ვ. თოფურია, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.

ვ. თოფურია, **1988** - ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1988.

გ. კაჭარავა, **1971** - გ. კაჭარავა, ფონეტიკური პროცესები ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ ბიბლიოთეკა, თბ., 1971.

კ. კუბლაშვილი, **1985** - კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოთმერული დიალექტი, თბ., 1985.

- კ. კუბლაშვილი, **1959** - კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, XIX, 1959.
- გ. მაჭავარიანი, **1965** - გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
- გ. მაჭავარიანი, **2002** - გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.
- მ. მიქაუტაძე, **2005** - მ. მიქაუტაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.
- მ. მიქაუტაძე, **2005** - მ. მიქაუტაძე, პალატალიზებულ დიფთონგთა საკითხი V-XI საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.
- გ. ნებიერიძე, **1999** - გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1999.
- ს. ჟღენტი, **1956** - ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
- გ. როგავა, **1952** - ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, თბ., 1952.
- გ. როგავა, **1962** - გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962.
- გ. როგავა, **1963** - გ. როგავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში, ქესს, ტ. III, თბ., 1963, გვ. 5-10.
- ზ. სარჯველაძე, **1997** - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
- თ. უთურგაძე, **1976** - თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

ტ. ფუტკარაძე, **1998** - ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ტ. ფუტკარაძე, **2005** - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

ბ. ფოჩხუა, **1978** - ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1984.

ალ. ღლონტი, **1978** - ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1978.

მ. ქურდიანი, **1996** - მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1996.

მ. ქურდიანი, **2003** - მ. ქურდიანი, ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა; საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003.

გ. შალამბერიძე, **1980** - გ. შალამბერიძე, ქართული სწორ-მეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

აკ. შანიძე, **1953** - ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

ა. შანიძე, **1976** - ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

არნ. ჩიქობავა, **1937** - არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, სმამ, ტ. III, 13, თბ., 1942.

არნ. ჩიქობავა, **1952** - არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

მ. ჩუხუა, **2003** - მ. ჩუხუა, ისტორიული ფონეტიკის ზოგიერთი საკითხის თაობაზე სვანურში; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, თბ., 2003.

მ. ჩუხუა, **2003** - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003.

ქ. ძოწენიძე, **1973** - ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.

მ. ძიძიშვილი, **1960** - მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.

ბ. ჯორბენაძე, **1989** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია I, 1989.

ბ. ჯორბენაძე, **1998** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1998.

სილ. ხუნდაძე, **1904** - სილ. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904.

დანართი

1. ქართული ასოთნიშვნების სატრანსლიტერაციო სქემა


ქართული ასოები			საერთო ადართ რისა	ინგლის საურო ასოები	გერმან ული ასოები	თურქ- ული ასოები	ლუკ- ული ასოები
მხედრ ასოები	ასომთ ასოები	მუს. ასოები					
ა	Ⴀ	Ⴁ	a	a	a	a	a
ა			ā		ā	ā	
ა			ä		ä	ä	
ბ	Ⴂ	Ⴃ	b	b	b	b	ბ
ბ	Ⴃ	Ⴃ	g	g	g	g	გ
დ	Ⴄ	Ⴅ	d	d	d	d	დ
ე	Ⴆ	Ⴇ	e	e	e	e	e
ე			ē		ē	ē	
ვ/წ	Ⴈ	Ⴉ	v(w)	v(w)	w	v	ვ
ზ	Ⴊ	Ⴋ	z	z	z	z	ზ
თ	Ⴌ	Ⴍ	t	t	t	t	
ი	Ⴎ	Ⴏ	i	i	i	i	ი
კ	Ⴐ	Ⴑ	k	k	k	k	კ
ლ	Ⴒ	Ⴓ	l	l	l	l	ლ
მ	Ⴔ	Ⴕ	m	m	m	m	მ
ნ	Ⴖ	Ⴗ	n	n	n	n	ნ
ო	Ⴘ	Ⴙ	y	y		y	
ო			o	o	o	o	o
პ	Ⴚ	Ⴛ	p	p	p	p	პ
ჟ	Ⴜ	Ⴝ	ž	dz	dsj	j	ჟ
რ	Ⴟ	Ⴀ	r	r	r	r	რ
ს	Ⴒ	Ⴓ	s	s	s	s	ს
ტ	Ⴔ	Ⴕ	t	t	t	t	ტ
უ	Ⴖ(ჟ)	Ⴗ	u	u	u	u	უ
უ			ü		ü	ü	
უ			ü		ü	ü	
ფ	Ⴚ	Ⴛ	p	p	f(v)	p	ფ
ქ	Ⴜ	Ⴝ	k	k	q	k	
ქ			k°			k°	
ღ	Ⴝ	Ⴞ	ğ	gh		ğ	
ღ			ğ°			ğ°	
ყ	Ⴟ	Ⴀ	q	q		q	
ყ			q°			q°	
შ	Ⴒ	Ⴓ	š	sh	sch	š	შ
ჩ	Ⴔ	Ⴕ	č	ch	tsch	č	ჩ
ც	Ⴖ	Ⴗ	c	ts	c	ts	ც
ძ	Ⴘ	Ⴙ	j	dz		dz	
წ	Ⴚ	Ⴛ	č	ts		ts	
ჭ	Ⴜ	Ⴝ	č	ch	ch	tj	
ხ	Ⴟ	Ⴀ	ħ	kh	ch	kh	x
ც	Ⴒ	Ⴓ	h			h	
ჯ	Ⴔ	Ⴕ	j	j	dsh	c	
ჰ	Ⴖ	Ⴗ	h	h	h	h	
ჰ			ü				

რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, "მიმომხილველი", 4-5, 1968, გვ. 148:


წყვილბავისმიერი: ბ ფ პ მ კ
 კბილისმიერი: დ თ ტ ნ
 წინაენა-ნუნისმიერი: ძ ც წ ზ ს ლ
 უკანანუნისმიერი: რ
 ნუნა-სასისმიერი: ჯ ჩ ჰ ე უ
 ენისმიერი: ვ ქ კ ღ ხ
 უკანაენისმიერი: ყ
 ხორხისმიერი: ჰ

	წყვილბავის- მიერი	კბილისმიერი და ნუნის- მიერი	ნუნა-სასის- მიერი	ენისმიერი	უკანაენისმი- ერი	ხორხისმიერი
მსკდომი { ყელზეული ფშენიერი არაფშენიერი	p p' b	t t' d		k k' g	q	
ატრიკატი { ყელზეული ფშენიერი არაფშენიერი		[ts] [ts'] [dz]	[tʃ] [tʃ'] [dʒ]			
ცხირისმიერი	m	n				
გვერდითი		l				
ნაპრალთენი } და მთრთოლი }	v	s z r	ʃz	xɣ		h


3. ბგერათა ვიზუალური გამოსახულებები -
სპექტროგრამები /მასალა მომზადებულია პროფ. ივანე
ლეჟავას მიერ/:




სურ. 1. [ქაპანაქება] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (მამაკაცი)
ფიგ. 1. [კ'ა კ'ან ა კ ე ბ ა] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (მალე)



სურ. 2. [პაპანაქება] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (ქალი) Fig. 2. [პ'ა პ'ან ა კ ე ბ ა] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (ფემალე)




სურ. 3. [ტიტინი] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (მამაკაცი) Fig. 3. [ტ'ი ტ'ი ნ ი] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (მალე)




სურ. 4. [ტიტინი] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (ქალი)


Fig. 4. [ტ'ი ტ'ი ნ ი] - მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (ფემალე)




სურ. 5. [კაკალი] — თანამედროვე სამწიგნობრო ენა (მამაკაცი)
Fig. 5. [კ'ა კ'ა ლ ი] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (მალე)




სურ. 6. [კაკალი] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (ქალი)
 Fig. 6. [კ'ა კ'ა ლ ი] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (ფემალე)




სურ. 7. [ყაყაჩო] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (მამაკაცი)
 Fig. 7. [ქ'ა ქ'ა ტ'ა] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (მალე)




სურ. 8. [ყაყაჩო] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (ქალი)
 Fig. 8. [ქ'ა ქ'ა ტ'ა] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (ფემალე)



სურ. 9. [წაწალი] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (მამაკაცი)
 Fig. 9. [ტს'ა ტს'ა ლი] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (მალე)




სურ. 10. [წაწალი] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (ქალი)
 Fig. 10. [ტს'ა ტს'ა ლ ი] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (ფემალე)



სურ. 11. [ჭაჭანი] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (მამაკაცი)

Fig. 11. [ტ ა ტ ა ნ ი] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (მაღე)



სურ. 12. [ჭ ა ჭ ა ნ ი] – თანამედროვე სამწიგნობრო ენა (ქალი)

Fig. 12. [ტ ა ტ ა ნ ი] – მოდერნ გეორგიან ლანგუაგე (ფემალე)

4. პრაქტიკული სამუშაოების ნიმუშები

4.1. სამეტყველო ბგერათა დახასიათება

4.1.1. ა-ს დახასიათება სხვადასხვა ავტორის მიხედვით: ა - დაბალი აწეულობის, შუა (გ. ახვლედიანი) ან უკანა (თ. უთურგაიძე) რიგის არალაბიალური, მაქსიმალურად ღია ხმოვანი.

ქართულში ა დაბალი აწეულობის ხმოვანია, რამდენადაც მისი წარმოთქმისას ენა ძევს ქვედა ყბაზე; ასეთ დროს საარტიკულაციო აპარატი მაქსიმალურად ღიაა, შესაბამისად, ა ყველაზე ფართო სამეტყველო ბგერაა.

გ. ახვლედიანის მიხედვით, ქართული ა შუა რიგის ხმოვანია, თუმცა ზოგ პოზიციაში ენა შეიძლება უკანაც დაიწიოს, ამიტომაც ზოგიერთი მკვლევარი მას უკანა

რიგისად მიიჩნევა (თ. უთურგაიძე; ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე).

4.1.2. ბ, პ, ც, გ, ჰ თანხმოვანთა საწარმოთქმო ადგილი, მჟღერობა-სიყრუე და ხშულობა-ნაპრალოვნობა (სხვადასხვა ავტორის თვალსაზრისის გათვალისწინებით); დასახელებული ბგერების დახასიათება ჰომორგანულობის, ჰეტერორგანულობის, ჰომეგენურობისა და ჰეტეროგენურობის მიხედვით.

ბ — საწარმოთქმო ადგილის მიხედვით: წყვილბაგისმიერი (გ. ახვლედიანი, რ. რობინსი და ნ. ვატერსონი, ბაგისმიერი (აკ. შანიძე, თ. უთურგაიძე), ლაბიალური (ჰ. ფოგტი); მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: მჟღერი; ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედვით: ხშული.

პ — საწარმოთქმო ადგილის მიხედვით: წყვილბაგისმიერი (გ. ახვლედიანი, რ. რობინსი და ნ. ვატერსონი, ბაგისმიერი (აკ. შანიძე, თ. უთურგაიძე), ლაბიალური (ჰ. ფოგტი); მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: ყრუ მკვეთრი; ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედვით: ხშული.

ც — საწარმოთქმო ადგილის მიხედვით: წინანუნისმიერი (თ. უთურგაიძე, აკ. შანიძე), ენაკბილისმიერი (გ. ახვლედიანი), წინაენა-ნუნისმიერი (რ. რობინსი და ნ. ვატერსონი), პოსტ-დენტალური (ჰ. ფოგტი); მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: ყრუ ფშვინვიერი; ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედვით: ხშული (ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე) რთული ბგერა - აფრიკატი (გ. ახვლედიანი), აფრიკატი (რ. რობინსი და ნ. ვატერსონი), ნახევრადხშული//აფრიკატი (ჰ. ფოგტი).

გ — საწარმოთქმო ადგილის მიხედვით: პოსტ-დენტალური (თ. უთურგაიძე), უკანაენისმიერი (გ. ახვლედიანი), უკანა სასისმიერი (აკ. შანიძე), პოსტ-პალატალური (ჰ. ფოგტი), ენისმიერი (რ. რობინსი და ნ. ვატერსონი); მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: მჟღერი; ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედვით: ხშული.

ჰ — საწარმოთქმო ადგილის მიხედვით: ხორხისმიერი (გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე, რ. რობინსი და ნ. ვატერსონი), ლარინგალური (ჰ. ფოგტი), სახმოსიმებისმიერი (თ. უთურგაიძე); მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: ყრუ ფშვინვიერი; ხშულობა-ნაპრალოვნობის მიხედვით: ნაპრალოვანი.

ერთმანეთის მიმართ:

ბბ - ჰომორგანული, ჰომოგენური

ბგ - ჰეტერორგანული, ჰომოგენური

ბგ - ჰეტერორგანული, ჰომოგენური

ბჰ - ჰეტერორგანული, ჰეტეროგენური

პგ - ჰეტერორგანული, ჰომოგენური

პგ - ჰეტერორგანული, ჰომოგენური

პჰ - ჰეტერორგანული, ჰეტეროგენური

ცგ - ჰეტერორგანული, ჰომოგენური

ცჰ - ჰეტერორგანული, ჰეტეროგენური

გჰ - ჰეტერორგანული, ჰეტეროგენური

4.2. რამდენიმე ქართული დასახლებული პუნქტი (ცხინვალი, შავშეთი, სოჭი, ცხუმარი, ცხენისწყალი) და ქართული გვარსახელი (დავით აღმაშენებელი) საერთაშორისო ტრანსკრიფციითა და ინგლისური ენის ანბანით:

ცხინვალი — Chinvali; Tskhinvali

შავშეთი — Šavšeti; Shavsheti

სოჭი — Soçi; Sochi

ცხუმარი — Chumari; Tskhumari

ცხენისწყალი — Chenisçqali; Tskhenistsqali

დავით აღმაშენებელი — Davit Aghmašenebeli; Davit Aghmashenebeli

4.3. დიალექტურ ტექსტში შემავალი ფონეტიკურად სახეცვლილი სიტყვების დახასიათება განხორციელებული ფონეტიკური პროცესის მიხედვით

ტაოური მეტყველების ნიმუში:

კაცები, უსკმენ ერთმანეთ კაცები. დეკაცები არ უსკმენ. ასე ვიტყჷთ: ღმერთმა გაგახაროს, ღმერთმა კა“ პურ-წყალზე დაქსჷას, ბერი მოქცეს. მერთმა ასე გაგახაროს. მერთმა შეჭირება არ განახოს, მერთმა ბეჭური ფარა მაგაგებინოს, მერთმა... თჷალები არ დიგიქოროს .

უსკმენ < უსკჷამენ: ჷა მარცვლის ამოვარდნით.

ერთმანეთ < ერთმანეთს: ს ბგერის დაკარგვით.

დეკაცები - < დედაკაცები: და მარცვლის ამოვარდნით.

კა“ < კარგი; სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციამი აი

ხმოვანკომპლექსის გამარტივება დიფთონგიზაციის გზით.

დაქსჟას < დაგსვას; ჩ-V პოზიციაში წყვილბაგისმიერი ჟ დასტურდება; ქს<გს მჟღერი გ-მ ყრუ ს-ს გავლენით რეგრესული, კონტაქტური და ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად მოგვცა ყრუ ქ.

ბერი < ბეჟრი < ბევრი: V-ჩ პოზიციაში დადასტურებული წყვილბაგისმიერი ჟ იკარგება.

მოქცეს < მოგცეს: ქც<გც; მჟღერი გ-მ ყრუ ც-ს გავლენით რეგრესული, კონტაქტური და ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად მოგვცა ყრუ ქ.

მერთმა < ღმერთმა: ლ თავკიდური თანხმოვნის დაკარგვით.

შექირება < შექირვება: რ სონორის შემდეგ ვ-ს დაკარგვით.

მაგაგებინოს < მოგაგებინოს: უკანა (შუა) რიგის, დაბალი აწეულობის, არალაბიალურმა ა-მ დაიმსგავსა უკანა რიგის, საშუალო აწეულობის, ლაბიალური ო. სრული, რეგრესული, დისტანციური ასიმილაცია.

თჟალები < თვალეები: ჩ-V პოზიციაში წყვილბაგისმიერი ჟ დასტურდება.

დიგიქოროს < დაგიქოროს: წინა რიგის, მაღალი აწეულობის, არალაბიალურმა ი-მ დაიმსგავსა უკანა რიგის, დაბალი აწეულობის, არალაბიალური ა; მოხდა სრული, რეგრესული, დისტანციური ასიმილაცია.